ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№260 (12 635) | 5 ნოემბერი ოთხშაბათი 2008 | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქუპერის სამშაბათი სამ ნაწილად



რეპორტაჟი საგურამოდან

»»» 2-3




## 3:3

## მოურინიომ ქეცბაიას ზავი შესთავაზა

ტექნიკური შედეგები »»» 15

## ევროპა რაღას გვერჩის?!

### ბრიტანეთმა ქართველ მოკრივეებს წითელი აუნთო

საოცარი და მეტისმეტად სამწუხარო ფაქტია - საქართველოს მოკრივეთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ვერ იასპარეზებს! გუნდი ლივერპულში დღეს უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ დიდი ბრიტანეთის საელჩომ კახა ჟვანიასა და ლევან ლვამიჩავას ვიზების გაცემაზე უარი უთხრა და მთელმა ქართულმა დელეგაციამ, პროტესტის ნიშნად, ინგლისში ნასვლაზე უარი განაცხადა.

ჩვენი მოკრივეები რუსეთ-საქართველოს ომმა ისედაც ძლიერ დააზარალა. მათ რამდენიმე საერთაშორისო ტურნირი გაუცდათ, ახლა კი ვერც ევროპის ჩემპიონატზე გამოვლენ. მოკლედ, რუსული აგრესიის გამო „ღრმად შეშფოთებული" ევროპა რაღას გვერჩის, ნამდვილად ვერ გაგვიგია...

ლევან ჯანეზაშვილი

## ფინალისტები გაირკვნენ

»»» 12



ეროვნული ბიბლიოთეკა



# კუპერის სამშაბათი: მოქმედება სამ ნაწილად

**გუშინ** საგურამოში, თბილისის „ლოკომოტივის“ ბაზაზე, ექტორ კუპერმა ქართულ გუნდებში მოთამაშე იმ ფეხბურთელებს მოუყარა თავი, რომლებიც უკვე ჰყავდა გამოძახებული ნაკრებში და კიდევ იმათ, რომელთაც ეროვნული გუნდის კანდიდატებად მიიჩნევს. პირველად ასეთი რამ კუპერმა 23 სექტემბერს გააკეთა „მიხეილ მესხზე“, გუშინ კი ქალაქგარეთ გაიყვანა ფეხბურთელები და დაახლოებით ორი საათი ავარჯიშა...

საგურამო განსაკუთრებული ადგილია. აგარაკები, საფეხბურთო ბაზები (თბილისის „ამერის“ მშენებარე ნავსაყუდელიც ხომ იქ არის), სამხედრო ნაწილი - ეს ყველაფერი ზედაზნის მთის ძირშია. ახლა კი იქ კუპერი აგვარებს ეროვნული მნიშვნელობის საკითხებს...

არგენტინელმა ფეხბურთელებს ტაქტიკური ვარჯიში ჩაუტარა. ცხადია, ის გამომცდელის თვალსაც შეავლებდა ქართულ გუნდებში მობურთალთ, თუმც მთავარი მაინც ტაქტიკა იყო. კუპერი ფეხბურთელებისთვის კარგი მატონიზირებელი გამოდგა, ღიმილსა და იუმორს არ იშურებდა... ალბათ, ძალიან ძნელია, ასეთ დროს არ აჰყვე მწვრთნელის შემართებას. საქმიანი იერი, დისტანცია ფეხბურთელებთან - კუპერის ნატურას ეს მადლიც არ მოჰკლებია.

თუ არ ჩავთვლით გახურება-მოთელვას, არგენტინელმა ვარჯიში სამ ნაწილად დაყო. პირველი ნაწილი ფლანგზე თანაგუნდელის გაყვანასა და ჩაწოდებას მოიცავდა. გამოჩნდა, რომ ამ მხრივ ბევრი წუნი აქვთ ჩვენი ჩემპიონატის მოთამაშეებს, სანატრელი გამოდგა ვარჯიშზე კარგი ჩაწოდების ნახვა - ეს ორივე ფლანგიდან პრობლემური გახლდათ. მოულოდნელი ამაში არც არაფერია, საქართველოს ჩემპიონატში არ თამაშობენ სპეციფიკური მცველები თუ ნახევარმცველები, რომლებიც არასტანდარტული სიტუაციიდან ფლანგურ ჩაწოდებებში არიან განაფულნი. მარტო ჩაწოდებაშიც არ არის საქმე, ამას თავისებური ტაქტიკური განათლება სჭირდება და კუპერიც ამაზე აკეთებდა აქცენტს.

წვრთნის მეორე ნაწილი თამაშის ორგანიზაციის დახვეწას ითვალისწინებდა. შეტევას იწყებს ცენტრალური ან განაპირა მცველი, მერე ბურთი ცენტრში ტრიალებს, ამოცანა კი ასეთია - შეტევა მეტოქის საჯარიმოსთან ფლანგიდან მიახლოვებით უნდა დასრულდეს. საინტერესო ელემენტები იყო და მომეჩვენა, რომ ფეხბურთელებისთვის ეს არც თუ ადვილი შესასრულებელი იყო. ვფიქრობ, ეს კარგი საკონსპექტო მასალა იქნებოდა დამწყები თუ მეტ-ნაკლებად გამოცდილი ქართველი მწვრთნელებისთვის, თუმც საგურამოში გუშინ ბევრი მათგანი არ მისულა. შესაძლოა, იმიტომაც, რომ იქ უმანქანოდ მისვლა თითქმის შეუძლებელია...

...და მესამე ნაწილიც: კუპერმა ფეხბურთელები ორად გაყო, ერთ გუნდს მოედნის ნახევარი ბურთიანად უნდა გაევლო და მას სინქრონული პრესინგით უპირისპირდებოდა მეორე გუნდი. კუპერმა ბრძანა - თუ შემტევი გუნდი მოედნის ნახევარს ბურთით ვერ გადაფარავს, სირბილით მინდორს სამ წრეს შემოუვლისო. ვარჯიშის მესამე ნაწილი ისე დასრულდა, წრეების დარტყმამ არავის მოუწია.

მოკლედ, კუპერი მუშაობს და თან ხალისითაც. ზესტაფონელი **ბექა გოცირიძე** კატენაჩოელი მცველივითაც კი შებოჭა - ფეხბურთელობისას კუპერი ხომ მცველი გახლდათ. ახლა კი საქართველოს ეროვნული გუნდი აბარია და თავისი გამრჯეობით გვაიმედებს. კუპერის მეორე სამშაბათობას კი მალე სარუმინეთო (19 ნოემბერს, სტუმრად) შემადგენლობის გამომზეურება მოჰყვება.

**დავით თავართქილაძე**



ზაალ ელიავა, დავით გიგაური

დავით ცაბაძის ფოტოები

ინტერვიუ გიორგი მერებაშვილთან

# კუპერს ფეხბურთელების შერჩევაში არაფერი ეშლება

**ექტორ კუპერის „სამშაბათობაზე“ თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი მერებაშვილი გუშინ პირველად მიიწვიეს. მას ვარჯიშის შემდეგ გავესაუბრეთ...**

**- კუპერმა სამშაბათის ვარჯიშზე პირველად გიხმო. საერთოდ, რა აზრის ხარ ამ იდეაზე?**

- კმაყოფილი ვარ, ნაყოფიერი ვარჯიში გვქონდა. საწვრთნელი პროცესი ტაქტიკური ხასიათისა იყო. ნაკრების მწვრთნელებმა კომბინაციები და სათამაშო ელემენტები დაგვამუშავებინეს, რაც გუნდის ჩამოყალიბების პროცესში აუცილებელი კომპონენტია.

**- როგორ ფიქრობ, რუმინეთთან გასვლით ამხანაგურ მატჩში ეროვნული ჩემპიონატიდან უფრო მეტი ფეხბურთელი იქნება?**

- ჩვენს ჩემპიონატში არაერთი ნიჭიერი მოთამაშეა. ბევრი მათგანი ჩრდილში იყო მოქცეული, მაგრამ ექტორ კუპერის ამ წამოწყებით უკვე ყველას აქვს ნაკრებში მოხვედრის შანსი. ამ მხრივ დღეს სიტუაცია რადიკალურადაა შეცვლილი - მთავარია, საქართველოს პირველობაზე კარგად წარმოჩნდე და ამას არავის დაუკარგავენ.

**- ესე იგი, მსგავსი ვარჯიშები აუცილებელია?**

- აუცილებელიცაა და რაც უფრო ხშირად იქნება ასეთი „სამშაბათობები“, მით უკეთესი. კუპერისგან ძალიან ბევრს ვსწავლობთ. ჩემი აზრით, თუ ვინმეს პრეტენზია აქვს ეროვნულ ნაკრებში თამაშზე, მან წინასწარ უნდა იცოდეს, თუ რა სისტემით თამაშობს კუპერის გუნდი და მერე აღარ გაუჭირდება. ეს ვარჯიშებიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება - ტაქტიკურ ცოდნას ვიღრმავებთ. აქამდე „სამშაბათობაზე“ არ ვყოფილვარ, მაგრამ ნაკრების შეკრებაზე ვიყავი და აშკარაა, რომ საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელებს, შემდგომი პროგრესისა და კლასის ამაღლებისთვის, მსგავსი ვარჯიშები ნამდვილად გვჭირდება.

**- რა სხვაობაა ამ ვარჯიშსა და ნაკრების შეკრებაზე ჩატარებულ წვრთნებს შორის?**

- ეს ვარჯიშები ერთ საქმეს ემსახურება - ნაკრების ძლიერ გუნდად ჩამოყალიბებას. რა თქმა უნდა, ამ წვრთნებს შორის გარკვეული სხვაობა მაინც არის, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეს ვარჯიშები ყველას მოსწონს, სასარგებლოა და იმიტომ. ჩვენ, ფეხბურთელები, ცოდნის თვალსაზრისით, უფრო მეტად ვუახლოვდებით ეროვნულ ნაკრების იმ სისტემას, რომელსაც კუპერი ქმნის.

**- საქართველოს ჩემპიონატის გამორჩეულ ფეხბურთელებს კარგად იცნობ. ამ ვარჯიშისთვის შერჩეულ კონტინგენტზე რას იტყოდი?**

- კუპერს ფეხბურთელების შერჩევაში არაფერი ეშლება. ვინც ახლა აქ არის, ყველა საინტერესო ფეხბურთელია, ყველას აქვს გამორჩეული თვისებები... მათ შეუძლიათ, ეროვნულ ნაკრებში მოხვდნენ. ეს ისევ ჩვენზეა დამოკიდებული. მთავარია, ნაკრების მწვრთნელთა დავალებები და მითითებები ზუსტად შევასრულოთ.

**- და რამდენად იოლად ითვისებთ ამ დავალებებსა და მითითებებს?**

- ნაკრების მწვრთნელი და მისი თანაშემწეები ყველაფერს მარტივი ენით გვიხსნიან. ასე რომ, არ გვიჭირს. მუდმივად იმას ვცდილობთ, რომ სულ უფრო უკეთ შევასრულოთ მწვრთნელების ყველა მოთხოვნა თუ დავალება.

**- რუმინეთთან ამხანაგურ მატჩს რა დატვირთვა ენიჭება?**

- ნაკრების ყველა თამაში მნიშვნელოვანია და თავისი დატვირთვა აქვს. რუმინეთთან ამხანაგური თამაში კია, მაგრამ შედეგთან ერთად, მნიშვნელოვანი იქნება ახალი ფეხბურთელების გამოცდაც. ახალ კომბინაციებს დავამუშავებთ, უკეთ შეთამაშებასა და ცალკეულ პოზიციებზე სხვადასხვა მოთამაშის მოსინჯვაზე გაკეთდება აქცენტი. ესეც არ იყოს, რუმინეთთან მატჩი რეიტინგის გასაუმჯობესებლადაც უნდა გამოვიყენოთ.



ირაკლი კლიმიაშვილი, გიორგი მერებაშვილი

» 3

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo34@mail.ru
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელ-ფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები

თვითმხილველი. ინტერვიუ ზაზა ზამთარაძესთან

# ამაზე კარგი შპარგალკა რაღა გინდა?!

## ქართულ კლუბებში ისეთი ახალგაზრდა ფეხბურთელები მოდიან, ელემენტარულ ტაქტიკურ საკითხებს რომ უხსნი, გაფართოებული თვალებით გიყურებენ



გიორგი კიკნაძე, ზაზა ზამთარაძე

ჰექტორ კუპერის გუშინდელ „სამშაბათობას" მწვრთნელებიდან ოდენ თბილისის „ლოკომოტივის" ერთ-ერთი დამრიგებელი ზაზა ზამთარაძე დაესწრო. „ლოკომოტივი" ეროვნულ ჩემპიონატს ლიდერობს, თუმც მისმა მწვრთნელმა კუპერის ვარჯიშის ყურება არ ითაკილა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ზამთარაძე ეროვნული ნაკრების ვარჯიშით დაინტერესდა. წინა შესარჩევში საქართველო სტუმრად შოტლანდიას რომ ეთამაშა, ეს ახალგაზრდა მწვრთნელი თბილისიდან გლაზგოში საგანგებოდ ჩავიდა, რათა კლაუს ტოპმიოლერის ვარჯიშებისთვის ეყურებინა. ერთი სიტყვით, ზამთარაძე ისეთ მწვრთნელია, საკუთარ თავზე მუშაობა რომ უყვარს. მას საგურამოში გუშინდელი ვარჯიშისას გავესაუბრეთ...

**- რას გაძლევთ ამ ვარჯიშების ყურება?**

- ტოპმიოლერის თუ კუპერის ვარჯიშების ყურება, სხვა თუ არაფერი, ისეც საინტერესოა. ახლა ვარჯიშებს ვადევნებ თვალყურს. ამაზე კარგი „შპარგალკა" რაღა გინდა?! გარდა ამისა, ფეხბურთელებსაც ვაკვირდები. ცხადია, ესეც ძალიან საინტერესოა.

**- „სამშაბათობებზე" კუპერი ტაქტიკურ ვარჯიშებს ანიჭებს უპირატესობას, ფეხბურთელების ტესტირება კი ნაკლებად აინტერესებს. როგორ ფიქრობთ, ეს უფრო მართებულია?**

- ასეთ დროს ტაქტიკური ვარჯიში უკეთესია. საქართველოს ჩემპიონატს მედიაკომპანია „კოლხიდა" ისე სრულყოფილად აშუქებს, მწვრთნელს შეუძლია, ყველა მატჩის ვიდეოჩანაწერი მოიძიოს, ყველა ფეხბურთელს დააკვირდეს და ნახოს, ვის რა შეუძლია. ტაქტიკური ვარჯიშის მიზანი კი სულ სხვაა - თუ კუპერს ამ ფეხბურთელებიდან ვინმე დასჭირდება, ის ტაქტიკურად უკვე მზად უნდა იყოს ნაკრებში სათამაშოდ. სხვა თუ არაფერი, 4-3-2-1 განლაგებას ნაკრების კანდიდატებმა აქედანვე უნდა აუღონ ალღო.

**- დიდი კამათი გამოიწვია იმან, ზედგამოჭრილია თუ არა ასეთი განლაგება საქართველოს ნაკრებისთვის. ჩვენ ხომ, ფაქტობრივად, არ გვყავს გარემარბები...**

- ზოგადად, განლაგება ყალიბდება იმის მიხედვით, თუ როგორი ფეხბურთელებით არის გუნდი დაკომპლექტებული. თუნდაც ბულგარეთთან მატჩი ავიღოთ. მოულოდნელი იყო, რომ იაშვილმა და რაზმაძემ მატჩი ძალიან მაღალ დონეზე ჩაატარეს. აქამდე, იაშვილი თავდამსხმელად ან უკანდახეულ ფორვარდად თამაშობდა, ბულგარეთთან კი გამოჩნდა, რომ გარემარბის პოზიციაზეც ძლიერია.

**- გასაგებია, მაგრამ ლევან ყენიას როგორღა აღიქვამთ გარემარბად?**

- მიმაჩნია, რომ ჯერ ძალიან ადრეა, ყენიას ნაკრების ლიდერობა მოვთხოვოთ. მის ასაკში ეს, უბრალოდ, არ შეიძლება.

**- თქვენი აზრით, რომელია ყველაზე პრობლემური პოზიცია საქართველოს ნაკრებში?**

- ზოგადად, კვალიფიციური ფეხბურთელების დეფიციტი იგრძნობა. გიორგი ლომაიას ლამის ფეხბურთისთვის თავი ჰქონდა დანებებული, ახლა კი ნაკრების პირველი მეკარეა, მაგრამ ჰყავს კი მას კონკურენტი? არადა, კონკურენცია აუცილებელია. თუმცა ჩვენს ნაკრებში ვერც ერთ პოზიციაზე სათანადო კონკურენციას ვერ ვხედავ.

**- თუ ფლანგებს არ ჩავთვლით, თითქოს ნახევარდაცვაში შედარებით უკეთ გვაქვს საქმე. ამ რგოლში ახალი ფეხბურთელებიც გამოჩნდნენ...**

- მოდით, ასე მივუდგეთ საქმეს - საქართველოს ნაკრების სამივე ცენტრალურ ნახევარმცველს კარგად უნდა ესმოდეს, რომ არ შეიძლება, ბურთის ფლობის მხრივ მათგან საუკეთესო ლევან კობიაშვილი იყოს.

**- ლევან ცქიტიშვილი თქვენს გუნდში თამაშობს და როგორ აფასებთ, კვლავ შეუძლია, იყოს ნაკრებისთვის სასარგებლო ფეხბურთელი? ბურთის ფლობაში ხომ მას ბევრი ვერ შეედრება...**

- მან გვიან დაიწყო მოსამზადებელი ეტაპი, მუხლი ცოტათი ახლაც აწუხებს. თუმც დღესაც შეუძლია, 60-70 წუთის განმავლობაში შეასრულოს ის დავალება, რასაც ნაკრებში მოსთხოვენ. სხვათა შორის, არიან სხვა ფეხბურთელებიც, რომელთა გამოყენებაც შეიძლება.

**- მალხაზ ასათიანის გარდა, კიდევ ვის გულისხმობთ?**

- დავით მუჯირს. მას შეუძლია, თამაში გაამწვავოს და გუნდს დიდი სარგებელი მოუტანოს. მთავარია, როგორ გამოვიყენებთ მას. არ ვამბობ, რომ მუჯირი სასტარტო შემადგენლობაში უნდა იყოს, მაგრამ თუ ის ბოლო 20-25 წუთით შევა მოედანზე, მასსავით თამაშს ვერავინ გაამწვავებს.

**- დიმიტრი ტატანაშვილზე რა აზრის ხართ? არ მიგაჩნიათ ნაკრებისთვის საინტერესო თავდამსხმელად?**

- მას პირადად არ ვიცნობ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ფეხბურთელს სათანადო პიროვნული თვისებები თუ არ გააჩნია, მნიშვნელოვანს ვერაფერს მიაღწევს. ტატანაშვილის შესაძლებლობები კი, რა თქმა უნდა, ვიცი და ამის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ ნაკრებში მისი გამოყენება შესაძლებელია.

**- როგორც უნდა იყოს, საქართველოს ნაკრებში, არცთუ იშვიათად, ისეთ ტაქტიკურ შეცდომებს ალმოვაჩენთ ხოლმე, გაკვირვებას იწვევს. ბულგარეთთან მატჩში იყო ასეთი ეპიზოდი - დავით სირაძე მარჯვნიდან შედის საჯარიმოში, აწვდის კარის გასწვრივ, სადაც ჩვენებურთაგან არავინაა, ანუ, ცენტრფორვარდ სირაძის პოზიციას არავინ ავსებს...**

- ქართულ კლუბებში ისეთი ახალგაზრდა ფეხბურთელები მოდიან, ელემენტარულ ტაქტიკურ საკითხებს რომ უხსნი, გაფართოებული თვალებით გიყურებენ. თანამედროვე ფეხბურთში, ფაქტობრივად, აღარ არსებობს მკაცრად განსაზღვრული ნომინალური ამპლუები - მარჯვენა მცველმა, თუ საჭიროა, ცენტრალური ნახევარმცველისა თუ ნებისმიერი სხვა პოზიცია დროულად უნდა შეავსოს. დღეს ფეხბურთის სახელი და გვარი დრო და სივრცეა.

დავით თავართქილაძე



რევაზ თევდორაძე რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან მატჩის შემდეგ

ახალწვეული

რევაზ თევდორაძე

# უკრაინიდან რომ მოვდიოდი, ხელფასზე კი არა, კარიერაზე ვფიქრობდი

## ცხოვრება ერთხელ გაძლევს შანსს და უნდა გამოიყენო

საქართველოს ასაკობრივი და ეროვნული ნაკრებები - ის საფეხურებია, რომლის გასავლელად ფეხბურთელებს წლები სჭირდებათ. რევაზ თევდორაძემ კი ეს 20 წლის ასაკში მოახერხა.

თევდორაძე ბავშვობიდანვე იქცევდა ყურადღებას. ის გია ჯანგავაძის იმ „ნორჩ დინამოელში" გაიზარდა, რომელსაც თავის ასაკში ტოლი არ ჰყავდა და ერთი წლით უფროსებში გამოდიოდა...

ეროვნულის გარდა, თევდორაძემ უკვე ყველა ასაკობრივ ნაკრებში მოსინჯა ძალა. ქვეყნის პირველ გუნდში კი მეორე წელია, იწვევენ, თუმცა დღემდე ერთხელაც არ უთამაშია. „გაგრის" მეკარე ვერ მოხვდა კვიპროს-ბულგარეთის განაცხადში. თევდორაძე არც 23 სექტემბერს, საქართველოს ჩემპიონატიდან მიწვეულ მოთამაშეთა პირველ „სამშაბათობაზე" ყოფილა. ამჯერად, ის მოხვდა კუპერის მიერ შერჩეულ იმ მოთამაშეთა შორის, რომლებმაც გუშინ საგურამოს ბაზაზე ივარჯიშეს...

**- რევაზ, ალბათ, ნაკრებში მოხვედრის იმედი დაგიბრუნდა...**

- რა თქმა უნდა. კუპერი თავიდან არ მიწვევდა. უელსამდე, შესაძლო კანდიდატების სია რომ დაახვედრეს, ეს მისი არჩევანი არ იყო. ახლა შანსი მომცა და მინდა, ის ბოლომდე გამოვიყენო.

**- აქვს კი „გაგრას" ისეთი სავარჯიშო და მოსამზადებელი პირობები, ნაკრების კანდიდატი რომ გაზარდოს?**

- სხვათა შორის, აქვს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რაც სხვა გუნდებში ხდება, მოსამზადებელი პირობების მხრივ „გაგრა" ერთ-ერთი გამორჩეული ქართული კლუბია. ამ პირობებში ჩვენ უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლაც შეგვიძლია.

**- მთლიანობაში, ჩვენთან მაინც არ არის კარგი ფეხბურთელის აღზრდისთვის საჭირო გარემო. შენ ზაპოროჟიეს „მეტალურგში" 18 წლისა ჩაირიცხე. რატომ დაბრუნდი?**

- დარჩენა შეიძლებოდა, მაგრამ არ მილირდა. თამაშის შანსი არ მქონდა და, ტურისტად ხომ არ ვიყავი ჩასული? ორი ისეთი გამოცდილი მეკარე იყო, მათ სკამზე არავინ დასვამდა. ამიტომაც წამოვედი და გორის „დილაში" ჩავირიცხე. უკრაინულ სკამს გორის კარი ვარჩიე. ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ ასე სჯობდა.

**- გორიდანაც მალე წახვედი, და საერთოდაც, ძალიან ხშირად იცვლი კლუბებს...**

- „დილასთან" ერთად პირველ ლიგაში თამაში არ მინდოდა და...

**- 20 წლისამ უკვე მეხუთე კლუბის ფორმა მოირგე - „თბილისი", „მეტალურგი", „დილა", „მერანი", ახლა კი „გაგრა". აქეთ-იქით მოგზაურობა კლასის ამაღლებაში ხელს არ შეგიშლის?**

- ჩემი ნება რომ ყოფილიყო, ვივარჯიშებდი ერთ რომელიმე გუნდში, მაგრამ „დილა" გავარდა და წამოვედი. მერე იგივე მოხდა „მერანშიც", „თბილისი" კი იშლებოდა და უკრაინაში წასვლის შანსი ხელიდან არ გავუშვი.

**- სადაც წახვედი, ლამის ყველა გუნდი გავარდა ან დაიშალა...**

- ის გუნდებიც დაიშალნენ, ას მეტრშიც რომ არ გავკარებივარ. ამ ცოდვას მე ნუ ამკიდებთ (იცინის).

**- ხუმრობა იქით იყოს და, მუდმივად სუსტ გუნდებში გიწევს თამაში...**

- სიმართლე გითხრათ, ძლიერ კლუბში შეგნებულად არ მივდიოდი.

**- და რატომ?**

- მესამე სეზონია, აუტსაიდერ გუნდებში თამაშით სერიოზულ პრაქტიკას ვილებ. მითხარით, არ სჯობდა ეს უკრაინაში სკამზე ჯდომას? თორემ, კლუბების მხრივ გაცილებით კარგი ვარიანტები მქონდა - თბილისის „დინამოც" მიწვევდა და „ზესტაფონიც", მაგრამ... ლიდერ გუნდში ჩემი ასაკის მეკარე ცოდოა.

**- იმიტომ, რომ ნაკლები დატვირთვა აქვს?**

- დიახ, სწორედ ამიტომ. წლევანდელ ჩემპიონატს კიდევ რა უჭირს, დაძაბული თამაშებია... ბოლოს „ზესტაფონს" შევხვდით და როინ კვასხვაძეს ორ-სამჯერ დავურტყით. ასე მეკარე ვერ გაიზრდება, აუტსაიდერ გუნდში კი საქმე არ მაკლდება, სულ თამაშში ვარ. უკრაინიდან წამოსვლისას კარიერაზე ვფიქრობდი და არა ხელფასზე. გორის „დილაში" „მეტალურგზე" გაცილებით ნაკლებს რომ ავილებდი, ძნელი მისახვედრი ხომ არ არის?

**- კუპერი ტოპმიოლერისგან იმითიც განსხვავდება, რომ თინეიჯერ მეკარეებს გამოცდილები ამჯობინა...**

- მესმის და მართალიცაა. თუმცა კუპერმა ვარჯიშზე რომ მიმიწვია, ჩემთვის ესეც დიდი იმედია. ცხოვრება ერთხელ გაძლევს შანსს და უნდა გამოიყენო. ამ შანსისთვის, შესაძლოა, მთელი ცხოვრება ემზადებოდე...

მერაბ მამულაშვილი

# კუპერს ფეხბურთელების შერჩევაში არაფერი ეშლება

« 2

**- მოკლედ, მოსაგებად ხართ განწყობილნი...**

- აბა როგორ?! უელსთან ამხანაგური თამაშის შემდეგ ოთხი მატჩში მოუგებლად ჩავატარეთ, ახლა გამარჯვების დროა, ნავსი უნდა გავტეხოთ და გულშემატკივარი გავახაროთ.

**- ამასწინათ, რუმინეთმა საფრანგეთთან შინ 2:2 ითამაშა და ამ გუნდის სტუმრად ძლევა რამდენად შესაძლებელია?**

- რა თქმა უნდა, რუმინეთს ძლიერი ნაკრები ჰყავს, მაგრამ მთავარი მონდომებაა. თუ ბოლომდე დაიხარჯები, ყველაფერს მიაღწევ. ჩვენ მოსაგებად გავალთ მოედანზე და ვნახოთ, რა და როგორ იქნება.

**- ახლა საკლუბო თემაზე გადავერთოთ. გასულ შაბათს დრამატული მატჩი გქონდათ...**

- „ვიტ ჯორჯიასთან" ჩვენი ყველა თამაში დაძაბული და დრამატულია. ამჯერადაც ასე იყო. ძალიან გვინდოდა ამ პრინციპული თამაშის მოგება, მაგრამ მატჩი ისეთი სცენარით წარიმართა, ორივე გუნდს თანაბარი შანსი ჰქონდა. ვფიქრობ, ეს შეხვედრა მაინც ლოგიკური შედეგით დასრულდა.

**- მომდევნო მატჩიც რთული გექნებათ...**

- დიახ, „მგლებს" სტუმრად ვეთამაშებით. ზუგდიდიდან ქულების წამოღება ყველასთვის რთული საქმეა. თუმცა ჩვენ ისედაც ბევრი ქულა დავკარგეთ და მოგებისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ.

**- ამბობენ, დიდი შანსია, გიორგი მერებაშვილი ამ ზამთარს საქართველოდან წავიდესო...**

- „დინამოსთან" კონტრაქტი მაკავშირებს. არ ვიცი, ახლა ვერაფერს გეტყვით. მოვიდეს ზამთარი და მერე ვილაპარაკოთ.

**- ცნობილია, რომ „ტრაბზონსფორსა" და პაოკ-ს რამდენიმე თვის წინ სურდათ შენი გადაბირება...**

- ეს მეც გავიგე, მაგრამ სიმართლე გითხრათ, პირადად ჩემთან ამ თემაზე არავის ულაპარაკია.

დავით ცაბაძე

ლეგიონერები



# მჭედლიძეს დაგვაკლდება?

## კუპერმა შეიძლება ამისულაშვილს უხმოს...

ბულგარეთის ნაკრებთან მატჩში დაშავებული **ლევან მჭედლიძე** მოედანს ჯერჯერობით ვერ დაუბრუნდა. **ვალენტინ ილიევის** თავური მისთვის მტკივნეული აღმოჩნდა. 18 წლის თავდამსხმელი მძიმე ტრავმას ბეწვზე გადაურჩა. ლევანმა ერთი კვირის წინ დაიწყო მსუბუქად ვარჯიში და ორიოდ დღის უკან ექიმებთან კონსულტაცია ითხოვა - სურდა, გაერკვია, შეეძლო თუ არა დატვირთვების გაზრდა. სამწუხაროდ, მას ამის უფლება არ მისცეს. მართალია, მჭედლიძეს ტვინის მსუბუქი შერყევა ჰქონდა, მაგრამ ჯერ მაინც ფრთხილობენ, რომ გართულება თავიდან აიცილონ.

ამდენად, დიდია შანსი, მჭედლიძემ ვერც 19 ნოემბერს, რუმინეთის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ ითამაშოს. შეგახსენებთ, რომ ტრავმირებულები არიან „შალკეს" ნახევარმცველი **ლევან ყენია** და „ზესტაფონის" ფორვარდი **ბექა გოცირიძეც**. ამ სამეულიდან რუმინეთამდე მომჯობინების მეტი შანსი გოცირიძეს აქვს, რადგან დაჭიმულ კუნთს მხოლოდ დასვენება სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ ბექამ 10 დღე უკვე დაისვენა, გუშინდელი ვარჯიში მაინც გამოტოვა.

თუმცა არც ისაა გამორიცხული, **ექტორ კუპერმა** რუმინეთში მხოლოდ გასასინჯი მოთამაშეები წაიყვანოს. გაჟონა ინფორმაციამ, თითქოს ნაკრების მწვრთნელი ნალჩიკის „სპარტაკის" მცველ **ალეკო ამისულაშვილის** მიწვევასაც აპირებს.

**მერაბ მამულაშვილი**

# წარმატებული ოპერაცია და სატურნის პერსპექტივა

## ბარაბაძეს ვან ბასტენის ექიმმა უშველა. ანჟიდან მხოლოდ ხოჯავა მიდის?

მახაჩყალის „ანჟიში" ქართველების დარჩენა-არდარჩენა მთლიანად **ომარ თეთრაძის** გადაწყვეტილებაზე იყო დამოკიდებული. როგორც ცნობილია, „ანჟის" მთავარი მწვრთნელი სექტემბერში კლუბიდან წასვლას აპირებდა, თუმცა დაღესტნელთა ხელმძღვანელობამ მას აზრი შეაცვლევინა და 39 წლის სპეციალისტმა ახალი ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. აქედან გამომდინარე, „ანჟიში" ქართველი ფეხბურთელებიც (**ედიკ საჯაია, ვალერი აბრამიძე, გიორგი ნავალოვსკი, გოჩა ხოჯავა, ზურაბ არზიანი, რევაზ ჯიქია, რევაზ ბარაბაძე, მიხეილ აშვეთია**) რჩებიან.

შესაძლოა, გამონაკლისი იყოს **გოჩა ხოჯავა**, რომელსაც რუსეთის პრემიერლიგის რამდენიმე კლუბი აკვირდება. როგორც გავიგეთ, ერთ-ერთი მათგანი რამენსკოეს „სატურნია". ამას გარდა, ისიც შევიტყვეთ, რომ 23 წლის ნახევარმცველის მენეჯერს კიდევ რამდენიმე კლუბთან აქვს მოლაპარაკება, თუმცა ამ კლუბთა ვინაობა ჯერჯერობით გასაიდუმლოებულია.

აქამდე, ქართველთაგან ყველაზე მეტ კითხვას **რევაზ ბარაბაძე** ბადებდა. თუკი დანარჩენები ფიქრობდნენ, დარჩენა სჯობდა თუ წასვლა, ბარაბაძემ ზაფხულში მტკიცედ გადაწყვიტა - რუსეთის პირველ ლიგაში დარჩენა არ ულირდა. ჰქონდა კიდეც რეალური იმედი, რადგან მისით, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, „ჩელსის" მწვრთნელი **ლუიშ ფელიპე სკოლარი** დაინტერესდა. „დიდმა ფილმა" მას 31 მაისს (ამ მომენტისთვის სკოლარის „ჩელსიში" დანიშვნა პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო, ოფიციალურად კი ევროპის ჩემპიონატის მიმდინარეობისას გაცხადდა), პორტუგალია-საქართველოს ამხანაგური შეხვედრისას დაადგა თვალი და 20 წლის ქართველზე დასაკვირვებლად კარდიფში (სადაც საქართველომ უელსთან ტესტმატჩი ითამაშა) თავისი ემისარიც გაგზავნა...

სამწუხაროდ, სამომავლო გეგმების განხორციელებაში რეზოს ტრავმამ შეუშალა ხელი. როცა სკოლარის წარმომადგენელი კარდიფს ესტუმრა, ამ დროისთვის ბარაბაძე უკვე დაშავებული იყო და ბუნებრივია, „ჩელსისთან" მოლაპარაკებებიც შეჩერდა. ინგლისური გრანდის ინტერესი თავად რეზომ დაგვიდასტურა.

ბარაბაძე ჯერ რუსეთის ჩემპიონატში დაშავდა, უელსთან შეხვედრამდე კი მუხლის ტრავმა გაუმიზეზდა და ჯვარედინი იოგების გაწყვეტა დაუდგინეს. გუშინ დილით ის დაბრუნდა ანტვერპენიდან (ბელგია), სადაც სახელგანთქმულ დასტაქარ **მარტენსთან** მენისკისა და ჯვარედინი იოგების ურთულესი ოპერაცია გაიკეთა. ცნობისთვის, მარტენსი **მარკო ვან ბასტენის** პირადი ექიმია.

*„ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. მარტენსიც ძალიან კმაყოფილი დარჩა და დამაიმედა, მოედანს მალე დაუბრუნდებიო"*, - გვითხრა ბარაბაძემ.

ახლა ყველაფერი რეაბილიტაციის პროცესზეა დამოკიდებული. თუ ყველაფერი კარგად იქნა, რეზო მოედანს სამ თვეში დაუბრუნდება და ჩვეულებრივ რეჟიმში ივარჯიშებს. ასეთი ტრავმის შემდეგ სამი თვე ლამის სარეკორდოდ მცირე დროა. შეგახსენებთ, რომ ანალოგიური ტრავმის სამკურნალოდ **მალხაზ ასათიანს** მთელი რვა თვე დასჭირდა...

**მერაბ მამულაშვილი**



საქართველოს ჩემპიონატი

პირველი, მეორე და ჭაბუკთა ლიგები

### აღმოსავლეთი

**დინამო 2–ვიტ ჯორჯია 2 0:0**

დინამო 2: ლოსაბერიძე, კეკელია, კაჭკაჭიშვილი, გეთიაშვილი, დარასელია (79. მინდორაშვილი), მამუჩიშვილი, ნემსაძე, ბოლქვაძე (60. ლეკვთაძე), კოპაძე, სიხარულიძე, ჯიშკარიანი.

*სათადარიგოები:* ნადირაძე, ჩიკვაიძე, ქამუშაძე, გ. ჯოხაძე, კაკუბავა

*მთავარი მწვრთნელი:* დავით კეცლიშვილი

ვიტ ჯორჯია 2: მიქაბერიძე, გოგიაშვილი, ადამაძე, კასრაძე, გამრეკლიძე, ვეკუა, მაისაშვილი, სვანიძე (70. ღვინიაშვილი), დვალიშვილი, იოსელიანი (46. ზაქრაძე)

*სათადარიგოები:* იაშვილი, ღურბელეიშვილი, კახაძე, ცხოვრებაძე, რუხაია

*მთავარი მწვრთნელი:* მერაბ კოჭლაშვილი

გაფრთხილებები: ვასაძე, მაისაშვილი, დვალიშვილი, დარასელია, ჯიშკარიანი

არბიტრი: გ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**დილა–ნ. დინამო 1:1**

0:1 ნეფარიძე (54), 1:1 ფაილოძე (90+1)

დილა: დგებუაძე, ცოცხალაშვილი, შარანგია, თარგამაძე, ჩიხრაძე (88. დაჩანიძე), სორდია, ჩერქეზიშვილი (60. ებანოიძე), ანდღულაძე, თოდუა (58. ივანიშვილი), ფაილოძე, იჩქითი

*სათადარიგოები:* კეჩხუაშვილი, მინდიაშვილი, ქარდავა, სურმავა

*მთავარი მწვრთნელი:* პაატა მეტრეველი

ნ. დინამო: გაბრიჩიძე, კალაძე (46. მამარდაშვილი), ცინცაძე, ბოკუჩავა, გურაბანიძე, ედიშერაშვილი, ნეფარიძე (70. დევიძე), კაკულია (55. ბურჭულაძე), ქავთარაძე, ლაბარტყავა, ღვთისავრიშვილი

*სათადარიგო:* კიკალიშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* რევაზ ბარამიძე

გაფრთხილებები: ცინცაძე, გაბრიჩიძე, ნეფარიძე, თარგამაძე

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

**სიონი 2–ამერი 1:0**

1:0 გიორბელიძე (87)

სიონი 2: გავაშელი, იობაშვილი, ნაყოფია, გ. ოქროპირიძე, ჩხეტიანი, ქურასბედიანი, ბუბუტეიშვილი, მ. ოქროპირიძე, ალფაიძე (89. მ. ჭაველაშვილი), გიგინეიშვილი (78. გიორბელიძე), გაბრიჭიძე

*სათადარიგოები:* გურგენიძე, ბ. ჭაველაშვილი, უგულავა, რეხვიაშვილი, ყიფშიძე

*მთავარი მწვრთნელი:* ჯონი ჯაგიდისი

ამერი: ნადირაშვილ, ფუტკარაძე, გვაძაბია, ელბაქიძე, ხატიაშვილი, კაკაბაძე, ხუციძე, ჩიმაკაძე, ტიკურიშვილი, გ. ბენდელიანი, ცხოვრებაშვილი (46. ქებაძე, 80. ბუმბეიშვილი)

*სათადარიგოები:* გვენცაძე, ჯ. ჯოხაძე, ხელაძე

*მთავარი მწვრთნელი:* გიორგი ჩიხრაძე

გაფრთხილებები: ჩხეტიანი, ბენდელიანი, ქურასბედიანი, გავაშელი

არბიტრი: ლ. სილაგავა (თბილისი)

**კახეთი–თბილისი 1:1**

1:0 ტეტიაშვილი (37), 1:1 ზვიადაძე (67)

კახეთი: ქუფარაშვილი, ხიდეშელი, ხუმარაშვილი, მურველაშვილი, ლ. აბდულაევი, ტეტიაშვილი, მელიქიშვილი, კობაიძე, გენგაშვილი, იმერლიშვილი, ძამუკაშვილი

*სათადარიგოები:* მჭედლიშვილი, ხამხაძე, ხუციშვილი, ო. აბდულაევი, ახალბედაშვილი, დეკანოზიშვილი, კობრიაშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* გივი კობაიძე

თბილისი: გიორგობიანი, ჭავაძე, ოდიშარია (51. აფხაზავა), ამისულაშვილი, ბელქანია, სარაჯიშვილი, გურეშიძე, მოდებაძე, ზვიადაძე, სებისკვერაძე, ჯაში

*სათადარიგოები:* ნაჩეშელი, სულუხია

*მთავარი მწვრთნელი:* გელა გომელაური

გაფრთხილებები: ამისულაშვილი, მურველაშვილი

არბიტრი: გ. ვადაჭკორია (თბილისი)

**ჩიხურა–ჰერეთი 1:0**

1:0 კობახიძე (50)

ჩიხურა: დოლაძე, ზივზივაძე, მგალობლიშვილი, ბარაბაძე, ტყებუჩავა, დოლონაძე (37. ნოზაძე), ზაბახიძე, ჩიკვაიძე, პეტრიაშვილი (63. ნ. მაჭარაშვილი), გულიაშვილი (90. ჭილლაძე), კობახიძე

*სათადარიგოები:* მწყერაშვილი, ხვედელიძე, როგავა, ცარციძე

*მთავარი მწვრთნელი:* სოსო ფრუიძე

ჰერეთი: ბილიხოძე, ხარაიშვილი, ლომიძე, გ. მაჭარაშვილი, ფარულავა, თანდაშვილი, შ. ლობჟანიძე (8. ზ. ფოფხაძე), კუპრაშვილი, წვერავა, თოფურია, ვარამიშვილი (72. გვარაძე)

*სათადარიგოები:* გოგოლაძე, ყორღანაშვილი, თაბუკაშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* ზურაბ ფოფხაძე

გაფრთხილებები: გ. მაჭარაშვილი, ნოზაძე

გაძევებები: მაჭარაშვილი

არბიტრი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 10 | 7 | 2 | 1 | 22-7 | 23 |
| 2. ამერი | 10 | 6 | 2 | 2 | 16-7 | 20 |
| 3. ვიტ ჯორჯია 2 | 10 | 5 | 5 | 0 | 18-3 | 20 |
| 4. დინამო 2 | 10 | 5 | 3 | 2 | 14-8 | 18 |
| 5. დილა | 10 | 4 | 4 | 2 | 15-8 | 16 |
| 6. სიონი 2 | 10 | 3 | 3 | 4 | 15-27 | 12 |
| 7. თბილისი | 10 | 3 | 2 | 5 | 14-17 | 11 |
| 8. კახეთი | 10 | 2 | 2 | 6 | 6-17 | 8 |
| 9. გაგრა 2 | 10 | 2 | 2 | 6 | 13-22 | 8 |
| 10. ნ/დინამო | 10 | 1 | 4 | 5 | 12-18 | 7 |
| 11. ჰერეთი | 10 | 1 | 3 | 6 | 7-18 | 6 |

**მომდევნო ტური**

**7 ნოემბერი, პარასკევი**

კახეთი-ამერი

**9 ნოემბერი, კვირა**

სიონი 2-გაგრა 2
დილა-თბილისი
დინამო 2-ნ/დინამო
ჩიხურა-ვიტ ჯორჯია 2

*ჰერეთი ისვენებს*

### დასავლეთი

**გურია–სამტრედია 1:2**

0:1 რ. კუკულაძე (საკ. კარში 28), 1:1 ტ. კუკულაძე (79), 1:2 კვესეიშვილი (90+1)

გურია: მ. გოგუაძე, რ. კუკულაძე, ცინცაძე, ქურიძე, იმნაძე (71. მოდებაძე), ტ. კუკულაძე, მ. კოტრიკაძე (87. ციკოლია), მგელაძე, ჯაყელი, კილაძე, ურუშაძე (76. სულაბერიძე)

*სათადარიგოები:* ხურციძე, შენირული

*მთავარი მწვრთნელი:* ავთანდილ ნარიაშვილი

სამტრედია: ი.ო. შენგელია, გოგია, კვესეიშვილი, ლ. მახარაძე, სამსეიშვილი, ნინუა, ოქრუაშვილი (74. ეცადეიშვილი), ბაკურაძე, ჩომახიძე (90. სალდაძე), ადეიშვილი, მ. კაკალაძე

*სათადარიგოები:* კეკელიძე, სუნიაევი, დარჯანია, ი.გ. შენგელია, მუკბანიანი

*მთავარი მწვრთნელი:* ვალერიან ჩხარტიშვილი

გაფრთხილებები: სამსეიშვილი, ბაკურაძე, ჯაყელი, ოქრუაშვილი

არბიტრი: კ. ჭაჭუა (ქუთაისი)

**ბათუმი–მერანი 2:2**

1:0 ტულუში (8), 2:0 ბალაძე (71), 2:1 ციცხვაია (77), 2:2 პაპადოპულოსი (86)

ბათუმი: თ. კაკალაძე, რამიშვილი, გოგიტაური, ფარტენაძე, ნ. გოგუაძე, გოგიტიძე, ბ. მახარაძე, ტულუში, დემურაძე (57. აბაშიძე), მალაზონია (63. ბალაძე), კალანდაძე (78. გორჯელაძე)

*სათადარიგოები:* ზაქარეიშვილი, ქადიძე, მჭედლიძე, თოთლაძე

*მთავარი მწვრთნელი:* ამირან გოგიტიძე

მერანი: კოდალაევი, ჩხიკვაძე (74. ცაგარეიშვილი), ფარცვანია, ვაშაკიძე, კვიტატიანი, პაპადოპულოსი, წოწორია (46. ენდელაძე), ტორაძე, ჩალაძე, დ. გოგოლაძე (46. კირკიტაძე), ციცხვაია

*სათადარიგოები:* არდაშელია, ჯ. შეროზია

*მთავარი მწვრთნელი:* მალხაზ ჟვანია

გაფრთხილებები: ტულუში, რამიშვილი, ფარტენაძე, ციცხვაია

არბიტრი: ო. ხეცაძე (თბილისი)

**ტორპედო–ზესტაფონი 2 2:0**

1:0 ტიელიძე (17), 2:0 ბიბილაშვილი (54)

ტორპედო: მიგინეიშვილი, გურული, ხარებავა, ბიბილაშვილი, ი. ჭანკვეტაძე, დანელია, ბესარაშვილი, ტორაძე (29. დარსაძე), კობერიძე (80. კოსტავა), ტიელიძე (60. ბ. ჩხეტიანი), იმედაძე

*სათადარიგოები:* კუჭუხიძე, ა. ქობალია, ნიქორიძე, მეტონიძე

*მთავარი მწვრთნელი:* კახა კარანაძე

ზესტაფონი 2: ძაძამია, სანტოსი, ბუკია, ზ. ლობჟანიძე, ჩიხლაძე (46. კამლაძე), სტეფანიშვილი (70. კვირიკეიშვილი), გორგიაშვილი, ბერიძე (54. გაბრიჭიძე), სუხიაშვილი, კეჭაყმაძე, ბერუაშვილი

*სათადარიგოები:* დოგრაშვილი, ხიხაძე, ცხადაძე, გ. ჭანკვეტაძე

*მთავარი მწვრთნელი:* გია ნადირაძე

გაფრთხილებები: ძაძამია, ჩიხლაძე, ი. ჭანკვეტაძე

არბიტრი: დავით ხარიტონაშვილი (თბილისი)

**მეშახტე–ხობი 1:2**

1:0 ავალიშვილი (8 3), 1:1 ფირცხალავა (10), 1:2 ალანია (15)

მეშახტე: გიორგაძე, დონაძე, ბოჭორიშვილი, ყურაშვილი, გ. ქობალია, ჭკუასელი, მაჩაიძე, გოგუა, გვენეტაძე (54. ბ. გვეტაძე), ავალიშვილი, წერეთელი

*სათადარიგოები:* თორთლაძე, ლომთაძე, რ. კალანდაძე

*მთავარი მწვრთნელი:* დავით გვენეტაძე

ხობი: ხარძეიშვილი, გ. გოგენია, ფიფია, ჯამბურია, კვირკველია, ალანია (87. გრიგოლია), კ. გოგენია, ლეფსაია, ფირცხალავა, სართანია, გაგუა

*სათადარიგოები:* ჭურღულია, ჩიტაია, ლატარია, ჩაჩიბაია, შონია, თოდუა

*მთავარი მწვრთნელი:* ლევან ნოდია

გაფრთხილებები: გ. გოგენია, კ. გოგენია, ავალიშვილი

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაია | 10 | 7 | 2 | 1 | 18-4 | 23 |
| 2. მარტვილი | 10 | 6 | 3 | 1 | 16-8 | 21 |
| 3. კოლხეთი | 10 | 6 | 2 | 2 | 14-5 | 20 |
| 4. სამტრედია | 10 | 6 | 1 | 3 | 18-8 | 19 |
| 5. ჭიათურა | 10 | 5 | 1 | 4 | 17-11 | 16 |
| 6. ხობი | 10 | 4 | 3 | 3 | 9-11 | 15 |
| 7. ზესტაფონი 2 | 10 | 3 | 2 | 5 | 9-15 | 11 |
| 8. ტორპედო 2008 | 10 | 3 | 1 | 6 | 5-7 | 10 |
| 9. ბათუმი | 10 | 2 | 3 | 5 | 12-19 | 9 |
| 10. გურია | 10 | 2 | 3 | 5 | 11-20 | 9 |
| 11. მეშახტე | 10 | 0 | 1 | 9 | 6-27 | 1 |

**მომდევნო ტური**

**9 ნოემბერი, კვირა**

კოლხეთი (ფ)-სამტრედია
მეშახტე-ბაია
ბათუმი-ზესტაფონი2
გურია-ჭიათურა
ტორპედო 2008-ხობი

*მარტვილი ისვენებს*

### მეორე ლიგა

**აღმოსავლეთი. IX ტური**

**გადადებული მატჩი**

| | |
|---|---|
| I.B.S.U.-სამგორი | 1:4 |

**4 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| ჰერეთი-ერთობა | 3:4 |
| ბორჯომი-გარეჯი | 1:0 |
| დუშეთი-ალგეთი | 4:0 |
| ლოკომოტივი 2-არაგველები | 2:1 |
| სამგორი-ალაზანი | 2:1 |

*(78-ე წუთზე მატჩი შეწყდა)*

**დღეს**

ზოოვეტი-ლიახვი
ნ/დინამო 2-იმედი
35-ე სკოლა-სპარტაკი 2
ამერი 2-I.B.S.U.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დუშეთი | 9 | 7 | 0 | 2 | 12-9 | 21 |
| 2. ბორჯომი 2 | 9 | 6 | 0 | 3 | 13-12 | 18 |
| 3. ლოკომოტივი 2 | 9 | 5 | 2 | 2 | 20-11 | 17 |
| 4. ერთობა | 9 | 5 | 2 | 2 | 17-13 | 17 |
| 5. სპარტაკი 2 | 8 | 5 | 1 | 2 | 21-11 | 16 |
| 6. გარეჯი | 9 | 5 | 0 | 4 | 13-11 | 15 |
| 7. ამერი 2 | 8 | 4 | 1 | 3 | 10-5 | 13 |
| 8. არაგველები | 9 | 3 | 4 | 2 | 9-7 | 13 |
| 9. ალგეთი | 9 | 3 | 2 | 4 | 11-15 | 11 |
| 10. იმედი | 8 | 3 | 2 | 3 | 12-15 | 11 |
| 11. I.B.S.U. | 8 | 3 | 1 | 4 | 13-14 | 10 |
| 12. ჰერეთი 2 | 9 | 3 | 0 | 6 | 18-19 | 9 |
| 13. ლიახვი | 8 | 2 | 3 | 3 | 11-15 | 9 |
| 14. სამგორი | 8 | 2 | 3 | 3 | 11-15 | 9 |
| 15. ალაზანი | 8 | 2 | 2 | 4 | 7-13 | 8 |
| 16. 35 ს.ს. | 8 | 2 | 2 | 4 | 12-17 | 8 |
| 17. ზოოვეტი | 8 | 2 | 1 | 5 | 10-16 | 7 |
| 18. ნ. დინამო 2 | 8 | 0 | 2 | 6 | 5-20 | 2 |

### ჭაბუკთა ლიგა. 1993–1994 წწ.

**IX ტური**

**1 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| ზესტაფონი-გაგრა | 0:1 |
| მესხეთი-ბორჯომი | 1:1 |
| დინამო-ვიტ ჯორჯია | 5:0 |
| ოლიმპი-სპარტაკი | 2:0 |
| ლოკომოტივი-სიონი | 4:1 |
| ამერი-მგლები | 5:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 9 | 8 | 1 | 0 | 33-1 | 25 |
| 2. ამერი | 9 | 6 | 1 | 2 | 27-10 | 19 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 9 | 5 | 2 | 2 | 12-9 | 17 |
| 4. მგლები | 9 | 4 | 2 | 2 | 27-16 | 14 |
| 5. ლოკომოტივი | 9 | 4 | 2 | 3 | 18-9 | 14 |
| 6. სპარტაკი | 9 | 4 | 2 | 3 | 14-17 | 14 |
| 7. ზესტაფონი | 9 | 3 | 2 | 4 | 7-8 | 11 |
| 8. გაგრა | 9 | 2 | 4 | 3 | 9-12 | 10 |
| 9. ბორჯომი | 9 | 2 | 4 | 3 | 5-12 | 10 |
| 10. ოლიმპი | 9 | 2 | 2 | 5 | 7-16 | 8 |
| 11. მესხეთი | 9 | 1 | 2 | 6 | 3-36 | 5 |
| 12. სიონი | 9 | 0 | 2 | 7 | 5-21 | 2 |

### 1995–1996 წწ.

**IX ტური**

**1 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| ზესტაფონი-გაგრა | 0:6 |
| მესხეთი-ბორჯომი | 0:1 |
| დინამო-ვიტ ჯორჯია | 2:1 |
| ოლიმპი-სპარტაკი | 2:0 |
| ლოკომოტივი-სიონი | 3:1 |
| ამერი-მგლები | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი | 9 | 8 | 0 | 1 | 26-4 | 24 |
| 2. გაგრა | 9 | 7 | 1 | 1 | 26-5 | 22 |
| 3. მგლები | 9 | 5 | 1 | 3 | 18-12 | 16 |
| 4. ბორჯომი | 9 | 5 | 1 | 3 | 17-7 | 16 |
| 5. ოლიმპი | 9 | 4 | 3 | 2 | 9-6 | 15 |
| 6. ზესტაფონი | 9 | 4 | 1 | 4 | 18-17 | 13 |
| 7. დინამო | 9 | 3 | 4 | 2 | 7-9 | 13 |
| 8. ამერი | 9 | 3 | 3 | 3 | 11-9 | 12 |
| 9. ვიტ ჯორჯია | 9 | 3 | 2 | 4 | 13-16 | 11 |
| 10. სიონი | 9 | 2 | 2 | 5 | 12-19 | 8 |
| 11. სპარტაკი | 9 | 0 | 1 | 8 | 2-24 | 1 |
| 12. მესხეთი | 9 | 0 | 1 | 8 | 0-25 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

30 წლის წინ

თარიღი

# დინამოს მეორე ოქრო

...დღეს ხუთი ნოემბერია - ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული თარიღი; 30 წლის წინათ, 5 ნოემბერს, მოსკოვის „ლოკომოტივთან" ფრედ დამთავრებული შეხვედრის მერე, თბილისის „დინამო" მეტოქეთათვის მიუწვდომელი გახდა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა!

...ჯერ იყო 28-წლიანი მოლოდინი; თაობას თაობა ცვლიდა, მაგრამ ჩვენი უპირველესი გუნდი ვერაფრით ახერხებდა ოქროს მედლების მოპოვებას. ხშირად, აშკარად დავუჩაგრივართ კიდეც - მოსკოვში ვერ და არ დაუშვებდნენ იმას, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი „პროვინციული" გუნდი გამხდარიყო. ასეც იყო: 60-იანი წლების დასაწყისამდე ოქროს მედლების მოპოვება არამოსკოვური გუნდებისთვის უტოპიად რჩებოდა. თაობები ვახსენეთ და, ისე დაასრულეს კარიერა ფეხბურთის დიდოსტატებმა (**ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, გაიოზ ჯეჯელავა, შოთა შავგულიძე, ვლადიმერ მარღანია**), სანუკვარი ჩემპიონის ტიტული ოცნებადვე დარჩათ. და აი, 1964 წლის 18 ნოემბერს, ქართული ფეხბურთის ისტორიაში ამ უნიშვნელოვანეს დღეს, თბილისის „დინამომ" შეძლო დიდი ხნის



1978 წლის 11 ნოემბერი. დინამო მშობლიურ სტადიონზე უკვე ჩემპიონის რანგში



დინამოს შტაბი: ნოდარ ახალკაცი, კახი ასათიანი, სერგო კუტივაძე

ოცნების ასრულება! ისე, როგორ შეიძლებოდა, მართლაც „ოქროს თაობა" რომ უტიტულოდ დარჩენილიყო - **სერგო კოტრიკაძე, შოთა იამანიძე, ვლადიმერ ბარქაია, გიორგი სიჭინავა, ილია დათუნაშვილი, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი** - თითოეული მათგანი ევროპის ნებისმიერ გუნდს დაამშვენებდა!

მერე, მორიგი ტრიუმფის მოლოდინი დაიწყო; არანაკლებ ნიჭიერი თაობაც მოვიდა „ოქროს ბიჭების" შემცვლელებად: **კახი ასათიანი, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, გივი ნოდია, გოჩა გავაშელი, რამაზ ურუშაძე, სერგო კუტივაძე**, მაგრამ ჩემპიონატში რამდენჯერმე ბრინჯაოს შევნვდით და სულ ეგ იყო; 1973, 1974 და 1975 წლებში კი „დინამო" კრიზისმა მოიცვა - გუნდი უფრო და უფრო აუარესებდა შედეგს; და, მთავარიც - დაიკარგა „დინამოს" სათამაშო სტილიც, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ისტორიაში ყველასგან განსხვავებული რომ გვქონდა. ჰო, „დინამო" ერთ, ჩვეულებრივ - უსახო გუნდად იქცა - სადღა იყო ლაღი და მაღალტექნიკური ბურთაობა...

ჩვენი უპირველესი გუნდის დაღმასვლის ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, მწვრთნელების გაუთავებელი ცვლაც და ამასთან, ზოგიერთი მწვრთნელის არასაკმარისი კომპეტენციაც გახლდათ. არადა, 70-იანი წლების დასაწყისში გუნდში ერთდროულად რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა მოვიდა, მაგრამ ზოგს თავის გამოჩენის საშუალება არ მისცეს, ზოგს არასწორი პოზიცია შეურჩიეს, ზოგიც, საერთოდ, გუნდიდან გაუშვეს. და აი, 1976 წლიდან ქართულ ფეხბურთში „ახალი კაცის" ხანა იწყება: „დინამოს" მთავარ მწვრთნელად **ნოდარ ახალკაცი** დაინიშნა. ახალკაცი-ფეხბურთელი 60-იან წლებში თბილისის „ლოკომოტივში" თამაშობდა და გონიერი ასპარეზობითაც გამოირჩეოდა. მერე, კარიერა რომ დაასრულა, „ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი იყო; თუმცა, შემდეგ „კაბინეტურ" სამსახურში გადაიყვანეს და წლების განმავლობაში ფეხბურთის სამმართველოს უფროსი იყო. „დინამოში" პირველად 1975 წელს მოვიდა, ოღონდ - გუნდის უფროსად; აი, მომდევნო სეზონიდან კი, როგორც აღვნიშნეთ, უკვე ჩვენი უმთავრესი გუნდიც ჩააბარეს. არ დავმალავთ - სპეციალისტების თუ ჟურნალისტების უმრავლესობა სკეპტიკურად შეხვდა ამ გადაწყვეტილებას. 38 წლის ახალკაცს ასეთ დონეზე მუშაობის გამოცდილება არ ჰქონდა და, უმრავლესობის აზრით, „დინამოს" დაღმასვლის პერიოდი კიდევ უნდა გაგრძელებულიყო. მაგრამ, ახალკაცმა პირველსავე სეზონში დამტკიცა, თუ რა სამწვრთნელო ნიჭი ჰქონდა: საგაზაფხულო და საშემოდგომო ჩემპიონატში „დინამომ" ბრინჯაოს მედლები მოიპოვა; ამას გარდა, 1976 წლის 3 სექტემბერს, პირველად არსებობის ისტორიაში, საბჭოთა კავშირის თასიც დაისაკუთრა! ახალკაცი-მწვრთნელის ბევრი საკადრო გადაწყვეტილება ზოგისთვის საკამათოზემეტი გახლდათ: გუნდიდან ისეთ „სახელიან" ფეხბურთელს გაუშვებდა, ვერავინ რომ წარმოიდგენდა; სანაცვლოდ კი, ისეთს დააწინაურებდა, მანამდე რომ ყველასთვის უცნობი იყო. მაგრამ, უმთავრესი მაინც თითოეული ფეხბურთელისთვის ოპტიმალური პოზიციის შერჩევა გახლდათ. ამას გარდა, ეტაპობრივად ხდებოდა გუნდში ახალი ფეხბურთელების ჩარიცხვაც და უკვე 1978 წლის დასაწყისისთვის „დინამოში" თითოეულ პოზიციაზე არნახული კონკურენცია იყო. საჩემპიონო სეზონამდე კი გუნდი გეგმაზომიერად მიიწევდა, ნელ-ნელა საერთაშორისო გამოცდილებასაც იღებდა (1977 წელს მილანის „ინტერს" ვაჯობეთ!) და ქართველი ქომაგიც უკვე ყველა შეხვედრაში გამარჯვებას ითხოვდა. ისე, თუ კი რაიმე საფეხბურთო „სამართალი" არსებობს, „დინამოს" 1977 წელსაც ეკუთვნოდა ჩემპიონობა, მაგრამ სამწუხაროდ, ოქროს მედლები, ფაქტობრივად, ძალით წაგვართვეს. სეზონის დასრულებამდე სამი ტური რჩებოდა, მოსკოვში „ტორპედოსთან" შეხვედრაში საქვეყნოდ რომ „გვითხრეს" - წლეულს „ვერცხლით" დაკმაყოფილდითო. არნახულად არაობიექტური მსაჯობის ფონზე „დინამომ" შეუძლებელი შეძლო და ანგარიშში სხვაობა ჯერ მინიმუმამდე (2:3) შეამცირა, ბოლო წუთებზე კი მესამე გოლიც გაიტანა. მაგრამ, მსაჯებმა **შოთა ხინჩაგაშვილზე** არარსებული „თამაშგარე" დააფიქსირეს.

მომდევნო სეზონში კი „დინამოს" შემჩერებელი ვერავინ იყო - გუნდმა სტაბილურად გაიარა მთელი ჩემპიონატი და დამსახურებულად მოიპოვა ოქროს მედლები. არადა, თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში ნოდარ ახალკაცს საკადრო პრობლემები ჰქონდა: „დინამოს", ოპტიმალური შემადგენლობით, ფაქტობრივად, არც ერთი მატჩი არ ჩაუტარებია. თუმცა, მწვრთნელის გამჭრიახობა ამ საკითხშიც გამოჩნდა: წინა სეზონში დაწყებული ექსპერიმენტები კვლავაც გაგრძელდა და პოზიციაშეცვლილი ფეხბურთელებიც მხოლოდ საუკეთესო კუთხით წარმოჩნდნენ. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: შოთა ხინჩაგაშვილი კარიერის დასაწყისში მარცხენა მცველი იყო და ახალკაცის ხელმძღვანელობით „ლიბეროს" პოზიციაზე დაიწყო თამაში; თანაც, როგორ - საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში, ალბათ, ყველას აღემატებოდა! **ალექსანდრე ჩივაძე**, პერსპექტიული მარჯვენა ნახევარმცველი, საერთაშორისო დონის „სტოპერად" ჩამოყალიბდა; ნახევარმცველი **გოჩა მაჩაიძე** მარცხენა მცველად გადაიყვანა; **ნოდარ ხიზანიშვილს** ერთნაირი წარმატებით შეეძლო მარჯვენა და ცენტრალურ მცველად თამაში; აღარაფერს ვამბობთ **ვიტალი დარასელიაზე** - 21 წლის უნივერსალი ნახევარდაცვასა და თავდასხმაში ნებისმიერ პოზიციაზე უაღრესად სასარგებლო და ეფექტიანი გახლდათ. ახალკაცის მოსვლის მერე ძირითადში დამკვიდრდნენ **ფირუზ კანთელაძე** და **ვახტანგ ქორიძე** - გუნდისთვის მეტისმეტად საჭირო ამ ორ ფეხბურთელს წინა მწვრთნელები ნაკლებად ენდობოდნენ, ისე როგორც **ვახტანგ კოპალეიშვილსა** და **დავით მუჯირს**. ფაქტობრივად, გუნდში ოთხი ფეხბურთელი იყო დარჩენილი, ამპლუა რომ არ შეუცვლიათ და ისევე როგორც წინა წლებში, კვლავაც გუნდის ლიდერებად რჩებოდნენ: **დავით გოგია, მანუჩარ მაჩაიძე, ვლადიმერ გუცაევი** და **დავით ყიფიანი**. ნუ დავივიწყებთ ერთ არცთუ უმნიშვნელო ნიუანსსაც: 1976-77-78 წლებში „დინამოში" მოსულმა ყველა ახალწვეულმა ძირითადშიც დაიმკვიდრა ადგილი და სულ მალე გუნდისთვის შეუცვლელ ფეხბურთელებად იქცნენ. ჯერ, **რევაზ ჩელებაძე** გამოჩნდა, მომდევნო სეზონში - **ოთარ გაბელია, თამაზ კოსტავა** და **რამაზ შენგელია**; ბოლოს, კონკრეტულად კი 78-ის აგვისტოში - **თენგიზ სულაქველიძე**. უფროსი თაობის ქომაგებს, ალბათ, ემახსოვრებათ, თუ რამხელა აჟიოტაჟი მოჰყვა სულაქველიძის „დინამოში" ჩარიცხვას. უმრავლესობის აზრით, ეს ათლეტური სტილის ფეხბურთელი ჩვენი უპირველესი გუნდის სათამაშო სქემას ვერ მოერგებოდა. თუმცა, ახალკაცი-მწვრთნელი ყოველთვის დროს უსწრებდა და იცოდა, ვინ და რატომ უნდა ჩაერიცხა გუნდში. სულაქველიძემ ჯერ კიდევ სადებიუტო სეზონში, მეკარის გარდა, ლამის ყველა პოზიციაზე ითამაშა და აი ასე, ჩამოყალიბდა საერთაშორისო დონის უნივერსალად. ჰო, გუნდში, რომლის წინა ხაზზეც, რომანტიკოსი (დავით ყიფიანი), ფინტების ოსტატი (ვლადიმერ გუცაევი) და გოლეადორი (რამაზ შენგელია) თამაშობდნენ; გუნდში, რომლის შუა ხაზშიც ბურთის „დაჭერა" თუ შეტევის ორგანიზება ყველას (მანუჩარ მაჩაიძე, ვახტანგ ქორიძე, ვიტალი დარასელია, ვახტანგ კოპალეიშვილი) ეხერხებოდა, საჭირო იყო „მუშა" ფეხბურთელიც. არადა, იმ დროს „საყრდენი ნახევარმცველის" ტერმინის არსებობა ვინმემ იცოდა?.. თენგიზ სულაქველიძის გარდა საჩემპიონო სეზონში დებიუტი კიდევ ხუთ ფეხბურთელს ჰქონდა. განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ 18 წლის **ილია რუხაძის** ასპარეზობა - ნიჭიერმა მარჯვენა მცველმა უპრობლემოდ დაიკავა დაცვის მარჯვენა ფლანგზე ადგილი, მაგრამ 22 ივლისს, ოდესაში უმძიმესი ტრავმა მიიღო. სამწუხაროდ, ეს ტრავმა რუხაძეს, ფაქტობრივად, კარიერის დასრულებად დაუჯდა...

1978 წლის სეზონი სხვა რამითაც იყო გამორჩეული: პირველიდან ბოლო ტურამდე „დინამოს" ლიდერობა არ დაუთმია! მოკლედ, ის შემთხვევა გახლდათ, რომ ჩვენი გუნდის გამჩერებლები ვერც მსაჯები იქნებოდნენ და ვერც მოსკოვური თუ უკრაინული გუნდები. ჩემპიონობა, შთამბეჭდავი თამაშის გარდა, სხვა „დანარჩენითაც" დავიმსახურეთ: „დინამომ" ყველაზე მეტჯერ გაიმარჯვა და ყველაზე ნაკლები წაგებაც ჰქონდა; ამას გარდა, მეტოქეთა კარშიც ყველაზე მეტი გოლი გაიტანა.

...1978 წლის 27 ოქტომბერს, ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურით ადრე, თბილისის „დინამოს" ერთი ქულაღა სჭირდებოდა ოქროს მედლების მოსაპოვებლად. სამწუხაროდ, ლენინგრადში „ზენიტთან" მინიმალური სხვაობით დავმარცხდით და ზეიმიც ერთი კვირით გადაიდო. და აი, 5 ნოემბერს, მოსკოვში ჩვენთვის სასურველ შედეგს მივაღწიეთ და ისტორიაში მეორედ შევძელით ჩემპიონობის მოპოვება. ერთი დეტალიც: „ზენიტსა" და „ლოკომოტივთან" შეხვედრებს შორის „დინამოს" არანაკლებ მძიმე და პრინციპული მატჩი ჰქონდა: 1-ელ ნოემბერს თბილისში დასავლეთ ბერლინის (მაშინ, ასე მოვიხსენიებდით) „ჰერტას" შევხვდით უეფას თასზე. სამწუხაროდ, რამაზ შენგელიას ზღაპრული გოლი შემდეგ წრეში გასასვლელად საკმარისი არ აღმოჩნდა, მაგრამ ოთხ დღეში მოპოვებულმა ჩემპიონობამ ყველაფერი დაგვავიწყა!

დაბოლოს იმ სეზონში „დინამოს" დუბლშემადგენლობამაც იყოჩაღა და ჩემპიონატი პირველ ადგილზე დაასრულა!

**გია ტუხაშვილი**

1978 წლის საჩემპიონო სეზონის „დინამოს" ფეხბურთელთა მონაგარი: **მანუჩარ მაჩაიძე** - 30 მატჩი (2 გოლი), **ვახტანგ ქორიძე** - 30 (8), **რამაზ შენგელია** - 28 (15), **ფირუზ კანთელაძე** - 26, **ალექსანდრე ჩივაძე** - 26, **ვლადიმერ გუცაევი** - 26 (4), **დავით ყიფიანი** - 25 (7), **დავით გოგია** - 24, **გოჩა მაჩაიძე** - 23 (1), **შოთა ხინჩაგაშვილი** - 21, **ვიტალი დარასელია** - 18 (5), **ნოდარ ხიზანიშვილი** - 15, **დავით მუჯირი** - 15, **თამაზ კოსტავა** - 14, **რევაზ ჩელებაძე** - 12 (3), **ოთარ გაბელია** - 9, **თენგიზ სულაქველიძე** - 8, **ვახტანგ კოპალეიშვილი** - 6, **ილია რუხაძე** - 4, **ტარიელ დურდიაძე** - 3, **ნოდარ ბაზაზაშვილი** - 3, **ამირან მინაშვილი** - 3, **გიორგი ჭილაია** - 1, **დიმიტრი გოგოლაძე** - 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბრუნება

ინტერვიუ გია იმედაძესთან

# ჩემი ბრალია, რომ მაღალ დონეზე ვერ ვითამაშე

## იმედაძეს მიაჩნია, რომ საქართველოდან წასვლა ნაადრევი იყო

გია იმედაძე 17 წლის იყო, ქუთაისის „ტორპედოში“ რომ გამოჩნდა და სპეციალისტები აალაპარაკა. „ტორპედოში“ მისი მისვლა გუნდის აღმასვლას დაემთხვა. იმედაძემ მშობლიურ კლუბთან ერთად ჯერ საქართველოს თასი მოიპოვა, მერე კი ორჯერ საქართველოს ჩემპიონიც გახდა. მაშინ, იმერული გუნდის თავდასხმაში გია მეგრელაძე, ზურაბ იონანიძე და დავით ჯანაშია თამაშობდნენ, ცოტა მოგვიანებით გუნდში მალხაზ ასათიანიც გამოჩნდა, თუმცა ასეთი კონკურენციის მიუხედავად, იმედაძეს „ტორპედოში“ ფეხის მოკიდება არ გასჭირვებია. დავით ყიფიანი ახალგაზრდა ფორვარდს ენდობოდა და ისიც, ქუთაისელ ქომაგებს გოლებით ახარებდა. მისი მოხდენილი, აგრესიული თამაშის სტილი და საგოლე ალღო ხალხს რწმენას უსახავდა, რომ იმედაძის სახით ნაკრებს ძლიერი მეგოლე ეზრდებოდა...

თუმცა შემდეგ მისი კარიერა ისე ვერ განვითარდა, როგორც ამას ქომაგები და თავად ფეხბურთელი ისურვებდა. კლუბიდან კლუბში ხშირმა მოგზაურობამ მის კარიერას დაღი დაასვა და მაღალ დონეზე თამაში ვეღარ მოახერხა. ამჟამად, გია „ტორპედო 2008“-ის რიგებში საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში ასპარეზობს, თუმცა არც ეს გუნდია მისი ბოლო ნავსაყუდელი. იმედაძეს საღორიის საწვრთნელ ბაზაზე ვესტუმრეთ და ეს ინტერვიუ ჩავწერეთ...



**- გია, კარიერის განმავლობაში იმდენი კლუბი გამოიცვალეთ, სათვალავი აგვერია. კარგი იქნება, თუ შეგვახსენებთ, რომელ კლუბებში თამაშობდით...**

- პირველი კლუბი ქუთაისის „ტორპედო“ იყო და საუკეთესო წლები სწორედ ამ გუნდში მაქვს გატარებული. მერე ვლადიკავკაზის „ალანიაში“ გადავედი. იქაც საკმაოდ კარგად ვთამაშობდი და გოლებიც გამქონდა... შემდეგ ვიყავი თურქულ „ქოჯაელისფორში“, იქიდან კი სიმფეროპოლის „ტავრიას“ მივაშურე. უკრაინიდან ისევ საქართველოში დავბრუნდი და „ზესტაფონში“, „ოლიმპსა“ და „ლოკომოტივში“ ვითამაშე.

**- როგორც ვიცით, ბოლოს ისრაელში აპირებდით წასვლას...**

- ერთ-ერთი იქაური კლუბის ვარიანტი მართლაც მქონდა, მაგრამ არ გამოვიდა და „ტორპედო 2008“-ში მივედი.

**- ალბათ, დიდხანს ქუთაისურ გუნდშიც არ გაჩერდებით. როგორც ამბობენ, ისევ ისრაელში აპირებთ ბედი სცადოთ...**

- „ტორპედოსთან“ დეკემბრამდე მაქვს ხელშეკრულება. წინასწარ ვერაფერს გეტყვით. შესაძლოა, ისრაელის ვარიანტი კიდევ მქონდეს. ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი. ვნახოთ, რა მოხდება ერთი თვის შემდეგ, ჯერჯერობით კი აქ ვარ და ვცდილობ, ქუთაისურ კლუბს დავეხმარო.

**- როცა „ტორპედოში“ თამაშობდით, სპეციალისტები დიდ მომავალს გიწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ რატომღაც თქვენი კარიერა ისე ვერ აეწყო, როგორც სპეციალისტები ვარაუდობდნენ. რა იყო ამის მიზეზი? უიღბლობა თუ...**

- გასაგებია კითხვის არსი. რა თქმა უნდა, მიზეზი პირველ რიგში საკუთარ თავში უნდა ვეძებო, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ამ თემაზე ლაპარაკი ახლა აღარც ღირს. უფრო მაღალ დონეზე რომ ვერ ვითამაშე, ჩემი ბრალია, აბა, ამაში სხვა ვინ უნდა დავადანაშაულო?!

**- ცოტა ადრე ხომ არ მოგივიდათ საქართველოდან წასვლა? იმ დროს, ჩემპიონობისთვის მებრძოლ „ტორპედოშიც“ შეიძლებოდა კარგ დონეზე თამაში და, ალბათ, ჯობდა, ცოტა რომ მოგეცადათ...**

- ამაზე მეც ბევრჯერ მიფიქრია... გეთანხმებით, საქართველოდან წასვლა ადრე იყო. უცხოეთისთვის არ ვიყავი მზად და ჯობდა, ერთ-ორი წელი კიდევ აქ მეთამაშა.

**- საქართველოს 18-წლამდელთა იმ ნაკრების წევრი იყავით, რომელმაც ვახტანგ კოპალეიშვილის ხელმძღვანელობით ევროპის ჩემპიონატზე თამაშის უფლება მოიპოვა. მერე ახალგაზრდულ ნაკრებშიც თამაშობდით და ეროვნულის კანდიდატიც იყავით, თუმცა კლუბების ხშირმა ცვლამ, ეტყობა, თქვენს სანაკრებო კარიერაზეც უარყოფითი გავლენა იქონია.**

- ერთხელ, გამოძახებულიც. ვიყავი ეროვნული გუნდის შეკრებაზე, თუმცა ნაკრებში, სამწუხაროდ, არასოდეს მითამაშია.

**- ჰექტორ კუპერი საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელებსაც აძლევს ეროვნულ ნაკრებში თავის გამოჩენის შანსს. მაგალითად, რატი ალექსიძეს ფეხბურთისთვის სულაც თავი ჰქონდა დანებებული და ახლა ნაკრების თავდამსხმელია...**

- ნაკრებში თამაშზე რომელი ფეხბურთელი არ ფიქრობს? ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. თუ საკლუბო კარიერას ავაწყობ და კარგ ფორმაში ვიქნები, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. დაგვიანებული ნამდვილად არ არის, თანაც, კუპერმა ბევრ ახალ ფეხბურთელს მისცა შანსი და საქართველოს ჩემპიონატსაც დიდ ყურადღებას აქცევს. ისე, ჯერჯერობით ნაკრებზე ფიქრი ადრეა და უახლოეს მომავალში რა იქნება, წინასწარ ვერ ვიტყვი.

**- ახლა როგორ ფორმაში ხართ?**

- ოპტიმალურ ფორმაში ჯერ არ ვარ, მაგრამ ბევრს ვმუშაობ. როგორც შემეძლება, „ტორპედოს“ ყველანაირად დავეხმარები. აქ მხოლოდ ფორმის აღსადგენად არ მოვსულვარ. ქუთაისელი ვარ და მინდა, ჩემი ქალაქის კლუბს მცირედით მაინც გამოვადგე. თანაც, კარგადაც მოვემზადები....

**- ჯერჯერობით, „ტორპედო 2008“ დასავლეთი ზონის აუტსაიდერია. რაიმე პერსპექტივას თუ ხედავ ამ გუნდში?**

- ახალი გუნდია და ასეთი ჩავარდნა მოსალოდნელიც იყო. ბოლო თამაშში გავიმარჯვეთ, ფეხბურთელები თანდათან ფორმაში შედიან და მე მგონი, თამაშის ხარისხსაც და სატურნირო მდგომარეობასაც მალე გამოვასწორებთ.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

ფეხბურთი ყველასათვის

# ერთობლივი თანადგომით

საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირის (თავმჯდომარე **იროდი ბეჟაშვილი**) ინიციატივით ყოველწლიურად იმართება სახელგანთქმული ქართველი ფეხბურთელების სახელობის ტურნირები სამინისტროებისა და უწყებების თანამშრომელთა მონაწილეობით.

არმიის სასპორტო კლუბის დარბაზში ამჯერად სპორტის პროფკავშირმა, „სპორტი ყველასათვის“ (პრეზიდენტი **თენგიზ გაჩეჩილაძე**) და თბილისის ფეხბურთის ფედერაციებთან (პრეზიდენტი **გრიგოლ ცაავა**) ერთად, **თენგიზ სულაქველიძის** სახელობის ტურნირი მოაწყო. მთავარი პრიზისთვის 8 გუნდი იბრძოდა. ფინალში თბილისის მერიის ფეხბურთელებმა (მწვრთნელი **თემურ გიორგაძე**) რკინიგზელებს (მწვრთნელები - **მერაბ დეკანოიძე** და **მურთაზ კაპანაძე**) აჯობეს (2:0) და პირველი ადგილი დაიკავეს. მესამე ადგილზე „თბილწყალკანალის“ გუნდი გავიდა.

თენგიზ სულაქველიძემ, გრიგოლ ცაავამ, იროდი ბეჟაშვილმა და **ვაჟა ჟვანიამ** გამარჯვებულ და საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებთან ერთად ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელები - **გურამ მგელაძე** (თბილწყალკანალი), **თემურ გელაშვილი** (რკინიგზა), **თემურ გიორგაძე** (მერია), **გიორგი თერგიშვილი** (თავდაცვის სამინისტრო), ასევე, მწვრთნელი **მურთაზ კაპანაძე** და მსაჯი **ტრისტან ნიშნიანიძე** ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს.

**ვაჟა დანელია**



ტურნირის გამარჯვებული მერიის გუნდი ორგანიზატორებთან ერთად

ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

რუმინეთი-საქართველო

# პიცურკამ ჯერ ექვსეული გაამხილა

რუმინეთი-საქართველოს ამხანაგური მატჩისთვის კარპატელთა დამრიგებელმა **ვიქტორ პიცურკამ** 6 ფეხბურთელი უკვე შეარჩია. იქაური ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ისინი ლეგიონერები არიან. პიცურკას მიერ გამხელილი მოკლე სია ასე გამოიყურება:

**რაზვან რაცი** (შახტარი, უკრაინა), **მიხაი ნეშუ** (უტრეხტი, ჰოლანდია), **პაულ კოდრეა** (სიენა, იტალია), **რაზვან კოშიჩი** (ლოკომოტივი მოსკოვი, რუსეთი), **ადრიან მუტუ** (ფიორენტინა, იტალია), **ჩიპრიან მარიკა** (შტუტგარტი, გერმანია).

რუმინეთისა და საქართველოს ნაკრებთა ამხანაგური მატჩი 19 ნოემბერს, ბუქარესტის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონი

# ლიდერი დააჩოქეს

სომხეთის უმაღლეს ლიგაში 26-ე ტურის მატჩები გაიმართა. კაპანის „განძასარმა“ ლიდერ „პიუნიკს“ უმასპინძლა და 3:0 გაანადგურა. ამაში ლომის წილი კაპანელთა ქართველმა ლეგიონერებმა დაიდეს. მატჩის მე-9 წუთზე ნახევარმცველმა **გაგა თიბილაშვილმა** გახსნა ანგარიში, ხოლო 47-ე წუთზე მცველმა **დავით ხანიშვილმა** მასპინძელთა მეორე გოლი გაიტანა. „ლერნაგორცის“ სტადიონზე ამ შეხვედრას 2 ათასი მაყურებელი დაესწრო. „განძასარის“ სასტარტო შემადგენლობაში სამმა ქართველმა ითამაშა: გოლკიპერმა **ლევან ბუბუტეიშვილმა**, დავით ხანიშვილმა და გაგა თიბილაშვილმა. 26 წლის ხანიშვილმა, მიუხედავად იმისა, რომ მცველია, ჩემპიონატში უკვე მეხუთე გოლი გაიტანა. სეზონის დასრულებამდე ორი ტურით ადრე „განძასარი“ 46 ქულით მესამე ადგილზეა.

„მიკა“ 45 ქულით მეოთხე ადგილზეა, ამ გუნდმა შინ მეორადგილოსან „არარატს“ მოუგო – 3:1, რითაც ლიდერად კვლავ „პიუნიკი“ დატოვა. „მიკაში“ **ირაკლი ცანავა** და **ზაზა სახოკია** თამაშობენ. „ულისე“ „შირაქს“ ესტუმრა და 0:0 ეთამაშა. **ლევან აკობიას** გუნდი 25 ქულით მე-6 ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტურის წინ

# კანავაროს შურისძიება სწყურია

## ფლორენცია ლუკა ტონის ვერ ნახავს...




### E ჯგუფი

#### სელტიკი-მანჩესტერ იუნ.

ორი წლის წინ „სელტიკმა“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ მინიმალური ანგარიშით მოუგო. ის თამაშიც „პარკჰედზე“ გაიმართა. მაშინ გამარჯვების გოლი იაპონელმა ლეგიონერმა **შუნსუკე ნაკამურამ** შეაგდო. იმ სეზონში „სელტიკმა“ პირველად მოიპოვა ფლეი ოფის საგზური.

ამჯერად განსხვავებული ვითარებაა. გლაზგოელები საკმაოდ სუსტად თამაშობენ. ორი კვირის წინ „იუნაიტედმა“ მათ სამი უპასუხო გოლი გაუტანა. **დიმიტარ ბერბატოვმა** პირველი მანჩესტერული დუბლი შეასრულა. მესამე გოლი **უეინ რუნიმ** შეაგდო.

„მანჩესტერს“ სამ თამაშში შვიდი ქულა აქვს. ის მორიგ გამარჯვებას უმიზნებს. თუ „ოლბორგი“ „ვილიარეალს“ მოუგებს, ხოლო „იუნაიტედი“ „სელტიკს“ დაამწუხრებს, ინგლისელები ფლეი ოფში იქნებიან. თუ „ვილიარეალი“ გაიმარჯვებს, „მანჩესტერს“ ფრეც ეყოფა.

“სელტიკი” შინ ადვილად არ აგებს. ჩემპიონთა ლიგის ბოლო 11 საშინაო მატჩიდან მას ერთხელაც არ წაუგია. მაგრამ მიმდინარე გათამაშების სამ შეხვედრაში ერთი გოლიც არ გაუტანია, „მანჩესტერ იუნაიტედს“ კი - არ გაუშვია.

“ეშმაკების” დაცვა გამართულად მუშაობს, მაგრამ გასულ უქმეებზე, „ჰალ სიტისთან“ მატჩმა ცივი შხაპის ეფექტი იქონია. გუნდმა თამაშის მიწურულს ორი გოლი გაუშვა, თუმცა მაინც მოიგო (4:3). **ედვინ ვან დერ სარი**: *„ეს თითოეული ჩვენგანისათვის ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი იყო. არ შეიძლება, შუა თამაშისას საქმე მოთავებულად მიიჩნიო და სხვა მატჩზე დაიწყო ფიქრი.“*

სხვათა შორის, **ვან დერ სარის** თამაში საეჭვოა. მის არყოფნაში ძირითად შემადგენლობაში **ბენ ფოსტერი** ითამაშებს. ასეთია ინგლისური სააგენტოების მიერ გავრცელებული ინფორმაცია. ეს ფოსტერის დებიუტი იქნება ჩემპიონთა ლიგაში.

გასულ უქმეებზე “სელტიკმა” “ჰართსს” 2:0 მოუგო და შოტლანდიის ცხრილში პირველ ადგილზე აინაცვლა. გუნდის თავკაცი **გორდონ სტრაჩანი** იმედიანადაა: *„ინგლისისა და შოტლანდიის ლიგებს შორის არც ისეთი სხვაობა არ არის, რომ მეტოქის დამარცხება შეუძლებელი იყოს. არცთუ დიდი ხნის წინ „მანჩესტერმა“ „რომას“ 7:0 მოუგო. არ მახსოვს, ვინმე გამოსულიყოს და ეთქვას, ინგლისური ლიგა იტალიურს ბევრად ალემატებაო.“*

„სელტიკს“ ბერძენი თავდამსხმელი **გიორგიოს სამარასი** ვერ დაეხმარება. დაშავებულია გუნდის კიდევ ერთი ფორვარდი **იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკი**. ამ ფეხბურთელების გარეშე გუნდის შეტევის ხაზი ფაქტობრივად უფუნქციოდაა დარჩენილი.

“იუნაიტედს” პრობლემები აქვს დაცვაში. ვერ ითამაშებენ **გარი ნევილი** და **ვესლი ბრაუნი**. ამ უკანასკნელს ახალგაზრდა ბრაზილიელი **რაფაელ და სილვა** შეცვლის. **ოუენ ჰარგრივსი** და **პოლ სქოულზი** ხანგრძლივ შვებულებებში იმყოფებიან.

##### სავარაუდო შემადგენლობები

**სელტიკი**: ბორუცი, ოდი, ლუვენსი, მაკმანუსი, ნეილორი, ნაკამურა, ბრაუნი, კოლდველი, რობსონი, მაკგიდი, მაკდონალდი.

**იუნაიტედი**: ფოსტერი, გარი ნევილი, რიო ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, რონალდო, ფლეტჩერი, ქერიკი, ნანი, ბერბატოვი, რუნი.

**მსაჯი**: ტომ ჰენინგი ევრებო (ნორვეგია)

#### ოლბორგი-ვილიარეალი

##### სავარაუდო შემადგენლობები

**ოლბორგი**: ზაზა, პედერსენი, იაკობსენი, ოლფერსი, ბოგელუნდი, აუგუსტინუსენი, კურტი, იოჰანსონი, ენევოლდსენი, დიუ, საგანოვსკი.

**ვილიარეალი**: დ.ლოპესი, ვენტა, სიგანი, გოდინი, კაპდევილა, ედმილსონი, სენა, პირესი, მ.ფერნანდესი, ლორენტე, როსი.

**მსაჯი**: ბერტრან ლაიეკი (საფრანგეთი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-0 | 7 |
| 2. ვილიარეალი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-3 | 7 |
| 3. სელტიკი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-4 | 1 |
| 4. ოლბორგი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-9 | 1 |

### F ჯგუფი

#### ფიორენტინა-ბაიერნი

“ფიორენტინას” მხოლოდ გამარჯვება აძლევს ხელს. მორიგი ქულების განიავების შემთხვევაში მას ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნა ემუქრება. სამი მატჩის შემდეგ იტალიელებს ორი ქულა აქვთ და მესამე ადგილი უკავიათ.

ფლორენციელები ბოლო მატჩებს შთამბეჭდავად ატარებდნენ. იტალიის ჩემპიონატსა და ევროპულ სარბიელზე მათ ხუთმატჩიანი წაუგებელი სერია ჰქონდათ, მაგრამ გასულ უქმეებზე “სიენასთან” ტოსკანურ დერბიში დამარცხდნენ (0:1).

“ბაიერნში” მდგომარეობა გამოსწორდა. მოგეხსენებათ, გუნდმა სეზონი უსახურად დაიწყო. ისიც კი დაიწერა, მიუნხენურ გიგანტს ასეთი ცუდი სტარტი 30 წელია, არ ჰქონიაო. მაგრამ **იურგენ კლინსმანმა** გუნდი ჭკუაზე მოიყვანა და ყველა ტურნირზე ზედიზედ ხუთი თამაში მოიგო.

მოგებულ თამაშებს შორისაა ორი კვირის წინანდელი მატჩი “ფიორენტინასთან”. “ბაიერნმა” დღევანდელ მეტოქეს სამი უპასუხო გოლი გაუტანა.

გაურკვეველია, ითამაშებს თუ არა **ადრიან მუტუ**. ის თითქოს არც “სიენასთან” უნდა გვეხილა, მაგრამ მატჩი ძირითად შემადგენლობაში დაიწყო (66-ე წუთზე შეცვალეს). **კუზმანოვიჩმა** მხოლოდ 15 წუთი ითამაშა, ხოლო **მონტოლივოს** დასვენების საშუალება მისცეს. ბოლო ტურში დასანანი ტრავმა მიიღო ცენტრალურმა მცველმა **კომოტომ**. მან თამაში ველარ გააგრძელა და მე-15 წუთზე გაიყვანეს.

გასულ კვირაში ვარჯიშისას დაშავდა **ხუან მანუელ ვარგასი**. დღევანდელ მატჩში მისი ასპარეზობა საეჭვოა. ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს **ჯილარდინო**. თუ მუტუ ვერ გამოჯანმრთელდება, მას **პაცინი** შეცვლის.

“ბაიერნს” **ლუკა ტონის** სახით სერიოზული დანაკლისი აქვს. ტონი ფლორენციელთა საყვარელი ფეხბურთელია. მან “იების” შემადგენლობაში 67 მატჩში 47 გოლი შეაგდო. მის დაბრუნებას დიდი ამბით ელოდებოდნენ, მაგრამ ტონი მიუნხენში დარჩა. ის გატეხილ ნეკნს იმუშებს.

შაბათს, „არმინიასთან“ მატჩში (3:1) კლინსმანმა ერთი თავდამსხმელი. **მიროსლავ კლოზე** გამოიყვანა და მას სამი შემტევი ნახევარმცველი ამოუყენა გვერდში. მეორე ტაიმში გამოჩნდა **ლუკას პოდოლსკიც**. ანგარიშიდან ჩანს, რომ “ბაიერნს” გოლების გატანა არ გასჭირვებია. იმავე შეხვედრაში **ზე რობერტომ** დაცვის მარცხენა ფლანგზე ითამაშა, მაგრამ დღეს ჩვეულ პოზიციას, ნახევარდაცვის ცენტრს დაუბრუნდება.

##### სავარაუდო შემადგენლობები

**ფიორენტინა**: ფრეი, ვარგასი, გამბერინი, დაინელი, ძაური, მონტოლივო, მელო, კუზმანოვიჩი, ჯილარდინო, სანტანა, პაცინი (ან მუტუ).

**ბაიერნი**: რენზინგი, ოდო, ლუსიო, დემიკელისი, ზე რობერტო, ვან ბომელი, ოტლი, შვაინშტაიგერი, ბოროვსკი, რიბერი, კლოზე.

**მსაჯი**: უნდიანო მალიენკო (ესპანეთი)

#### ლიონი-სტიაუა

##### სავარაუდო შემადგენლობები

**ლიონი**: ლორისი, რევეიერი, კრისი, ბუმსონგი, გროსო, მაკუნი, ტულალანი, ჟუნინიო, კეიტა, ბენზემა, ედერსონი (ან ფრედი).

**სტიაუა**: საპატა, ოგარარუ, გოიანი, გიონეა, გოლანსკი, რადოი, ლოვინი, ნიკოლიტა, სტანჩუ, სემედო, კაპეტანოსი.

**მსაჯი**: მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| 2. ლიონი | 3 | 1 | 2 | 0 | 8-6 | 5 |
| 3. ფიორენტინა | 3 | 0 | 2 | 1 | 2-5 | 2 |
| 4. სტიაუა | 3 | 0 | 1 | 2 | 3-6 | 1 |

### G ჯგუფი

#### დინამო-პორტუ

კიეველებს ფლეი ოფში გასვლის ჩინებული შანსი აქვთ. “დინამოს” ჩემპიონთა ლიგის ამ ეტაპზე შორეული 1999 წლის შემდეგ აღარ უთამაშია. ცხრა წლის წინ, **ვალერი ლობანოვსკის** შეგირდებმა საუცხოო სეზონი ჩაატარეს და ლიგის ნახევარფინალში გავიდნენ.

ორი კვირის წინ “დინამომ” “პორტუ” მისსავე მოედანზე დაამარცხა. ერთადერთი გოლი **ალექსანდრ ალიევმა** შეაგდო. თუ უკრაინელები ისევ გაიმარჯვებენ, ხოლო “არსენალი” ისევ დაამარცხებს “ფენერბაჰჩეს”, “დინამო” ცალი ფეხით მერვედფინალში იქნება.

“პორტუს” ფლეი ოფში გასვლის შანსი ჯერ არ დაუკარგავს. გამარჯვების შემთხვევაში ის გადაუსწრებს დღევანდელ მეტოქეს და მეორე ადგილზე მოკალათდება. სტუმრებს ორი წამყვანი ფეხბურთელი აკლიათ: ბრაზილიელი მეკარე **ელტონი**, რომელიც კისერს იტკიებს და ურუგვაელი მცველი **ფუჩილე**. ის კოჭის ტრავმას იმუშებს.

საკადრო პრობლემები აქვს “დინამოსაც”: ბარძაყის ტრავმის გამო **აილა იუსუფი** და **მალხაზ ასათიანი** ვერ ითამაშებენ. ბრონხიტი აქვს **არტიომ კრავეცს**, თანაც ისეთ რთულ ფორმებში, რომ საავადმყოფოში გადაიყვანეს. **ტარას მიხალიკი** და ალექსანდრ ალიევი ვირუსისაგან განიკურნენ და სათამაშოდ მზად არიან.

##### სავარაუდო შემადგენლობები

**დინამო**: ბოგუში, ბეტაო, დიაკატი, მიხალიკი, ნესმაჩნი, ელ კადური, გიოანე, ალიევი, ერიომენკო, ვუკოჩევიჩი, ბანგურა.

**პორტუ**: ნუნუ, საპურანო, რონალდო, ბრუნო ალვეში, ბენიტესი, ლუჩო გონსალესი, ფერნანდო, რაულ მეირელეში, ლისანდრო, როდრიგესი, ტომაშ კოშტა.

**მსაჯი**: კონრად პლაუტცი (ავსტრია)

#### არსენალი-ფენერბაჰჩე

##### სავარაუდო შემადგენლობები

**არსენალი**: ალმუნია, ებუე, ტურე, სილვესტრი, კლიში, დენილსონი, ფაბრეგასი, სონგი, დიაბი, ველა, ბენდტნერი.

**ფენერბაჰჩე**: ვოლქანი, გოხანი, ედუ, ლუგანო, რობერტო კარლოსი, კაზიმი, სელჯუკი, მალდონადო, ხოსიკო, უგური, სემიჰი, გუისა.

**მსაჯი**: რობერტო როსეტი (იტალია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 3 | 2 | 1 | 0 | 10-2 | 7 |
| 2. დინამო | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| 3. პორტუ | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| 4. ფენერბაჰჩე | 3 | 0 | 1 | 2 | 3-8 | 1 |

### H ჯგუფი

#### რეალი-იუვენტუსი

„რეალი“ შურისძიებისათვის ემზადება. ორი კვირის წინ ამ გუნდების ტურინული მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა, 2:1. უცნაურია, მაგრამ შურისძიება ყველაზე მეტად მადრიდელთა იტალიელ მცველ **ფაბიო კანავაროს** სწყურია. მოგეხსენებათ, ის “იუვენტუსის” ყოფილი ვარსკვლავია. მან ტურინი ორი წლის წინანდელი სკანდალისას დატოვა და ესპანეთში გადაბარგდა. “იუვეს” გულშემატკივრები კანავაროს ღალატში ადანაშაულებენ. ამიტომაც ტურინში გამაყრუებლად უსტვინეს.

ამ ჯგუფში ფლეი ოფში გამსვლელთა ვინაობა ფაქტობრივად გარკვეულია. სამი ტურის შემდეგ “იუვენტუსს” შვიდიქულით პირველი ადგილი უჭირავს, “რეალი” ექვსი ქულით მეორეა. მესამე ადგილზე მყოფი ბატე “რეალს” ოთხი ქულით ჩამორჩება.

სამეფო კლუბი ბოლო მატჩებს უსახურად ატარებს. გასულ კვირაში ის სენსაციურად გამოეთიშა ესპანეთის თასის გათამაშებას, წააგო რა 2:3 მესამე დივიზიონის “რეალ უნიონთან”. კვირას “რეალმა” “ალმერიასთან” ფრედ ითამაშა და მორიგი ორი ქულა გაანიავა.

მასპინძელთა ძირითად შემადგენლობაში მოსალოდნელია ცვლილება. დაშავებულ პორტუგალიელ მცველ **პეპეს** გერმანელი **კრისტოფ მეტცელდერი** შეცვლის. საეჭვოა **რუუდ ვან ნისტელროის** ასპარეზობა. მას მუხლის ტრავმა აწუხებს. ფეხბურთელი “იუვენტუსთან” ორი კვირის წინანდელი მატჩისას დაშავდა.

საკადრო პრობლემები აქვთ სტუმრებსაც. **კლაუდიო რანიერის** სამი მცველი - **დარიო კნეზევიჩი**, **ჯონათან ზებინა** და **ზდენეკ გრიგერა** აკლია. დაშავებულია სამი ნახევარმცველი - **კრისტიან პოულსენი**, **კრისტიანო ძანეტი** და **ჰასან სალიჰამიჯიჩი**. აღარაფერს ვამბობთ **ჯანლუიჯი ბუფონსა** და **დავიდ ტრეზეგეზე**, რომლებიც ხანგრძლივ შვებულებებში იმყოფებიან.

გამოჯანმრთელდნენ **კლაუდიო მარკინიო** და **მაურო კამორანეზი**. მწყობრშია უბერებელი კაპიტანი **ალესანდრო დელ პიერო**, რომელმაც ტურინულ მატჩში მეტოქეს საუცხოო გოლი გაუტანა.

##### სავარაუდო შემადგენლობები

**რეალი**: კასილიასი, სერხიო რამოსი, პეპე (ან მეტცელდერი), კანავარო, ჰაინცე, გაგო, რობენი, ვან დერ ვაარტი, სნეიდერი, რაული (ან ვან ნისტელროი), იგუაინი.

**იუვენტუსი**: მანინგერი, მელბერგი, ლეგროტალიე, კიელინი, მოლინარო, მარკიონი, ტიაგო, სისოკო, ნედვედი, ამაური, დელ პიერო.

**მსაჯი**: პეტერ ვინკი (ჰოლანდია)

#### ბატე-ზენიტი

ეს გუნდები უეფას თასის საგზურისათვის იბრძვიან. მასპინძლებს **ალექსანდრ ერმაკოვიჩი** და **ალექსანდრ ვოლოდკო** დააკლდებათ. პირველმა მუხლის ტრავმა მოირჩინა, მაგრამ სრული დატვირთვით ვერ ვარჯიშობს. ხოლო მეორე პარასკევის შეხვედრაში დაშავდა. სხვათა შორის, პარასკევს ბატე ჟოდინოს „ტორპედოს“ შეხვდა და 2:1 მოუგო. ბორისოველებმა ამ გამარჯვებით ბელარუსის ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნეს.

“ზენიტს” კვლავ დაშავებული ჰყავს მცველი **ნიკოლას ლომბერტსი**. ტრავმის გამო მას უკვე შვიდი თვე გაუცდა. **დიკ ადვოკაატი** სამი ქულის მოპოვებას აპირებს, რათა უეფას თასზე მაინც გაალწიოს. პეტერბურგში ამ გუნდების ორი კვირის წინანდელი შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა.

##### სავარაუდო შემადგენლობები

**ბატე**: ვერემკო, რუევსკი, სოსნოვსკი, იაგუში, იურევიჩი, კრივეცი, ლიტაროვიჩი, სტასევიჩი, ვოლოდკო, როდიონოვი, ბლიზნიუკი.

**ზენიტი**: მალაფეევი, შირლი, კრიჟანაცი, შიროკოვი, ანიუკოვი, დენისოვი, ტიმოშჩუკი, ზირიანოვი, არშავინი, დანი, ტექე.

**მსაჯი**: სტეფან ლანოი (საფრანგეთი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-3 | 7 |
| 2. რეალი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| 3. ბატე | 3 | 0 | 2 | 1 | 3-5 | 2 |
| 4. ზენიტი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-4 | 1 |

შალვა ბიბილაშვილი

ინტერვიუ პელესთან

# ესპანეთი ლამაზ ფეხბურთს თამაშობს, ბრაზილიას კი გუნდი არ ჰყავს

## მომავალ წელს პელე საზღვაო კრუიზს მოაწყობს და მე-20 საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელებს დაპატიჟებს...

**მნიშვნელობა** არ აქვს, რა ხდება ფეხბურთში, აქტიური სეზონია, თუ ფეხბურთელები შვებულებაში არიან, არსებობენ ადამიანები, რომელთა ინტერვიუები ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ სიტუაციაში დიდ ინტერესს იწვევს. ერთ-ერთი ასეთი უკვდავი რესპონდენტი პელეა, ფეხბურთის მეფე, რომელიც ესპანეთს ხშირად სტუმრობს ხოლმე და იქაურ ჟურნალისტებს ინტერვიუზე უარს არასოდეს ეუბნება. ამასწინათ პელე მადრიდში იმყოფებოდა და "დიარიო ასის" კორესპონდენტ მანოლო მარტინესს შეხვდა. ინტერვიუ, რა თქმა უნდა, მრავალ საინტერესო თემას შეეხო, თუმცა მრავალთაგან ყველაზე მეტად საინტერესო მაინც მომავალი წლისთვის დაგეგმილი "პელეს კრუიზია". ფეხბურთის მეფის დღიურში თუ ჩაიხედავთ, აღმოაჩენთ, რომ წელიწადში მას მხოლოდ 30 თავისუფალი დღე აქვს. დანარჩენი 335 დღის განმავლობაში ედსონ არანტეს დო ნასიმენტოს არც მეგობრებისთვის სცალია და არც ოჯახისთვის. ის თავიდან ბოლომდე საქმეშია ჩაფლული.

პელე თურმე ძალიან განიცდის, რომ მოუცლელობის გამო მეგობრებთან ურთიერთობის საშუალება არ ეძლევა. ამ სევდის გაქარვების მიზნით ლეგენდარულმა ბრაზილიელმა 2009 წლის 28 ივნისიდან 5 ივლისის ჩათვლით საზღვაო კრუიზის მოწყობა გადაწყვიტა. პელე გემზე მე-20 საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელებსა და მეგობრებს დაპატიჟებს. მოგზაურობა ვენეციაში დაიწყება და საბერძნეთში დასრულდება. შუალედში ხომალდი ხორვატიაშიც გაჩერდება. ედსონ არანტეს დო ნასიმენტომ გადაწყვიტა, კრუზი კომერციული გახადოს. რეისზე ბილეთები გაიყიდება. გასაგები მიზეზების გამო ფრიად სპეკულაციურ ფასში. ბრაზილიელი ლეგენდა დარწმუნებულია, რომ გემბანზე ვარსკვლავების სიმრავლე კლიენტებს მოიზიდავს და ისინი დიდ თანხებსაც გადაიხდიან. სხვათა შორის, პელეს 30 ქვეყნის პირველი პირის დაპატიჟებაც აქვს გადაწყვეტილი.

**- პელე, დიდი მადლობა, რომ ინტერვიუზე დამთანხმდით. ეს ჩემთვის წარმოუდგენელი პატივია.**

- არაფერს, როცა დრო მაქვს, ინტერვიუზე უარს არ ვამბობ ხოლმე (იცინის).

**- პირველ რიგში, თქვენს კრუიზზე უნდა გკითხოთ. თუ შეიძლება პირდაპირ მითხარით, "პელეს კრუიზში" რომელ ფეხბურთელებს დაპატიჟებთ?**

- საშინელი კითხვაა (იცინის). იმდენ კაცს დავპატიჟებდი, რომ ერთ გემზე ვერ დაეტეოდნენ. იმდენ ფეხბურთელს ვიცნობ და იმდენი მომწონს, ყველას რა ჩამოთვლის. სამწუხაროდ, „პელეს კრუიზში" ყველას დაპატიჟება ვერ მოხერხდება.

**- ერთი კაცის სახელი მაინც გვითხარით...**

- მადრიდში ჩამოსვლამდე ერთმა მეგობარმა ჩემი და ди სტეფანოს ძველი ფოტო მაჩუქა. დონ ალფრედოს ყოველთვის ვალმერთებდი და ახლაც ვალმერთებ. ფოტოს რომ შევხედე, ცრემლები ვერ შევიკავე. ძველი დრო გამახსენდა და ავტირდი. რა საოცარი ცხოვრება და კარიერა გვქონდა. თუ დი სტეფანოს ჯანმრთელობა ხელს შეუწყობს, ის, რა თქმა უნდა, ჩემს გემზე იქნება. კრუიზში ერთად წავალთ და წარსულს გავიხსენებთ. ღმერთს ვთხოვ, რომ დონ ალფრედოს მოგზაურობის ძალა მისცეს.

**- დი სტეფანო ოქროს ბურთის მფლობელია, თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული წელს ამ ტიტულს ვის მისცემდით? ტორესს, კასილიასს, მესის, თუ კრისტიანო რონალდოს?**

- რომ შემეძლოს, ოთხივეს დავაჯილდოებდი. გასულ წელს ტიტული კაკას მისცეს, მესი და კრისტიანო კი მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ. ჩემი აზრით, წელს საუკეთესო შანსი სწორედ ამ ორ ფეხბურთელს აქვს. თუმცა წინასწარ ვერაფერს მოგახსენებთ. ვნახოთ, ევროპელი ჟურნალისტები როგორ გადაწყვეტილებას მიიღებენ. რამდენადაც ვიცი, "ფრანს ფუტბოლის" გამოკითხვაში ისინი მონაწილეობენ.

**- კრისტიანო რონალდოზე რას გვეტყვით?**

- რა უნდა ვთქვა, ის დიდი ფეხბურთელია, თუმცა ზოგჯერ მეჩვენება, რომ გოლის გატანის დიდი სურვილი არ აქვს (არადა, გასულ სეზონში რონალდომ 42 გოლი გაიტანა, აქედან 31 პრემიერლიგაში). რონალდო ძალიან სწრაფია და მოედნის არაჩვეულებრივი ხედვა აქვს, მაგრამ თუ გოლებს არ გაიტანს, მისი თამაში შესამჩნევი არ იქნება.

**- მესის მარადონამ თავის დროზე ეგოისტი წურბელა უწოდა. იზიარებთ მის შეფასებას?**

- ეს მისი შეფასებაა... ჩემი აზრით, ნორმალურია, როცა ვარსკვლავს ბურთით თამაში უყვარს. მესი კი ნამდვილად მსოფლიო დონის ვარსკვლავია. სხვათა შორის, ბურთთან შელევა მეც მიჭირდა და კრუიფსაც... მგონი, თავად მარადონასაც (იცინის). არა მგონია, მესი ეგოისტი იყოს. ის საჭირო დროს თანაგუნდელს პასს არ უგვიანებს, თუმცა შესაძლოა, ზოგჯერ აზარტმა აიტანოს და ბურთი არავის გადასცეს. ხდება ხოლმე, მთავარი ის არის, რომ ლეო ამას გადამწყვეტ მომენტში არ გააკეთებს. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია.

**- ვარსკვლავები ესპანეთსაც ჰყავს, მაგრამ ბურთს დიდ ხანს თითქმის არავინ ათრევს. ისინი მოკლე და გრძელი პასებით ცდილობენ ფონს გასვლას. მოგწონთ ესპანეთის ნაკრების თამაში?**

- ბოლოს თქვენი ეროვნული გუნდი ბელგიასთან მატჩში ვნახე და თამაშით დიდი სიამოვნება მივიღე. ნამდვილი სპექტაკლი იყო. ინიესტას ჩემგან განსაკუთრებული მოკითხვა გადაეცით. მან ულამაზესი გოლი გაიტანა. საოცარი ბიჭია. ის ძალიან მომწონს.

**- აუცილებლად გადავცემთ.**

- გოლი ფეხბურთის მთავარი ხიბლია, ეს არის საჩუქარი გულშემატკივრებისთვის. ჩემი აზრით, გოლი რაც უფრო ლამაზია, საჩუქარი მით უფრო ძვირფასი გამოდის. სხვათა შორის, ინიესტას დიდი ხანია ვაკვირდები. საოცრად გონიერი ფეხბურთელია.

**- მსოფლიო ჩემპიონატზე ესპანეთის შანსებს როგორ აფასებთ? როგორ ფიქრობთ, ჩვენი დრო დადგა?**

- მინდა გითხრათ, რომ ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე, ოჯახის წევრებს, მეგობრებს, კოლეგებსა და ჟურნალისტებს ვეუბნებოდი, აი, ნახავთ, ესპანეთი ევროპის ჩემპიონი გახდება მეთქი. არ გეწყინოთ, მაგრამ მპასუხობდნენ, ესპანეთი ევროპაში ისეთივე გუნდია, როგორიც კოლუმბია სამხრეთ ამერიკაშიო. კოლუმბია, რომელიც ყოველთვის ლამაზად თამაშობს, მაგრამ ვერაფერს იგებს. მიუხედავად ყველაფრისა, აზრი არ შემიცვლია. ესპანეთის ბოლომდე მჯეროდა და გაიმარჯვა კიდეც. ღმერთია მოწმე, თუ ესპანეთი პროგრესის გზით სიარულს გააგრძელებს, 2010 წლის მუნდიალის უპირველესი ფავორიტი იქნება.

**- მაპატიეთ, ბანალური კითხვისთვის, მაგრამ „სელექსიონი" ახლა ბრაზილიის ნაკრებზე ძლიერია?**

- დღეს ისეთი დროა, ვარსკვლავებზე მნიშვნელოვანი უშუალოდ გუნდია, თუმცა ესპანეთი ამ ორ ფენომენს მშვენივრად აერთიანებს. "სელექსიონს" არაჩვეულებრივი ფეხბურთელები, ანუ ვარსკვლავები ჰყავს, რომლებიც ჩინებულ გუნდურ ფეხბურთს თამაშობენ. ბრაზილიას კი მაგალითად კაკა და რობინიო ჰყავს, მაგრამ არ ვიცით, როგორ ვითამაშოთ. წარმოდგენაც კი არ გვაქვს, ახლა რა ფეხბურთს ვთამაშობთ. მარტივად რომ ვთქვა. ესპანეთი ლამაზ ფეხბურთს თამაშობს, ბრაზილიას კი გუნდი არ ჰყავს.

**- რობინიო თავად ახსენეთ და მინდა გკითხოთ, "რეალიდან" "მანჩესტერ სიტიში" მის გადასვლას როგორ აფასებთ?**

- რობინიოს ძალიან კარგად ვიცნობ, ჩვენ ხომ "სანტოსის" შვილები ვართ. ზუსტად ვერ გეტყვით, წასვლა რატომ გადაწყვიტა, ალბათ, მიზეზი ჰქონდა, თუმცა მე თუ მკითხავთ, "რეალში დარჩენა სჯობდა.

**- პელე, პრიმიერა დივიზიონში რასისტული გამოხდომები ძალიან ხშირია. გულწრფელად მითხარით, თქვენი აზრით, ესპანეთი რასისტული ქვეყანაა?**

- რა სისულელეა? რასისტული გამოხდომები ყველა ქვეყნის პრობლემაა, ესპანეთი არ არის გამონაკლისი, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ესპანეთში რასიზმი ყვავის. აქ ბევრჯერ ვყოფილვარ და ყოველთვის გულთბილად მიღებენ. ესპანეთი რასისტული ქვეყანა რომ იყოს, ამას ნამდვილად ვიგრძნობდი. გინდათ ერთი ამბავი მოგიყვეთ?

**- რა თქმა უნდა! გისმენთ.**

- 17 წლის ვიყავი და ბრაზილიიდან ფეხი არ მქონდა გადგმული. 1958 წლის მუნდიალზე შვედეთში ჩავედით. მაშინ ერთმა ფაქტმა გამაკვირვა და დიდის ვკითხე, ბრაზილიაში თითქმის ყველა შავკანიანია, შვედეთის ნაკრებში კი ერთი შავკანიანიც არ დამინახავს, რა ხდება, ესენი რასისტები არიან-მეთქი? მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა. ახლა შავკანიან ფეხბურთელებს ფაქტობრივად ყველა ნაკრებში ნახავთ. რასიზმი ფეხბურთის კი არა, საზოგადოების პრობლემაა. შეუძლებელია, შენი თანაგუნდელი შავკანიანი იყოს და მის წინააღმდეგი იყო.

**- თქვენი აზრით, ბრაზილია შეძლებს 2014 წლის მუნდიალის მასპინძლობის უფლების მოპოვებას?**

- არჩევნები დღეს რომ ტარდებოდეს, მუნდიალის მასპინძლობის უფლებას ვერ მოვიპოვებდით. ამისათვის არაერთი სტადიონის აშენება და რეკონსტრუქცია დაგვჭირდება. სამწუხაროდ, კომუნიკაციისა და უსაფრთხოების მხრივაც სერიოზული პრობლემები გვაქვს. საფეხბურთო სამყაროს, ლულას მთავრობის დახმარება სჭირდება. იმედია, არჩევნების დროს ყველაფერი რიგზე იქნება და ჩვენს ქვეყანას დიდ დღესასწაულს ვაჩუქებთ.

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**




ფეხბურთის მეფე დიარიო ასის ჟურნალისტ მანოლო მარტინესთან ერთად

ვარსკვლავური ბიბლიოთეკა



ქარიმ ბენზემა

# ბენზემა: გაისად ბარსაში ან რეალში ვითამაშებ

## ესპანური გრანდები მზად არიან, მოლაპარაკება დღესვე დაიწყონ

**ქარიმ ბენზემა** თანამედროვე საფეხბურთო სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფორვარდია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი შეძენა უამრავ გრანდს სურს, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ „ლიონიდან" წასვლა თავად ბენზემას აქვს გადაწყვეტილი. ამის შესახებ ქარიმმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა: *„ლიონში" დაუვიწყარი წლები გავატარე. ფანტასტიკური კლუბია, რომელთან ერთადაც ტიტულები მოვიპოვე, მაგრამ დასასრული ყველაფერს აქვს. დარწმუნებული ვარ, რომ „ლიონში" ბოლო სეზონს ვატარებ. მომავალი წლიდან უცხოეთში წავალ. მოვიდა დრო, როცა უფრო დიდ ჩემპიონატში უნდა გამოვცადო ჩემი თავი. ეჭვი არ მეპარება, რომ საინტერესო შემოთავაზებები მექნება. უფრო მეტიც, დღესვე შემიძლია მოგახსენოთ, რომ ახალ სეზონს „ბარსელონაში" ან „რეალში" დავიწყებ. ჩემს მენეჯერს ორივე კლუბის შემოთავაზება აქვს. კარგია, რომ არჩევანის გაკეთების საშუალება მომეცემა. ჩემი აზრით, "ბარსა" და "რეალი" მსოფლიოს საუკეთესო კლუბები არიან, ამიტომ მათთან კონტრაქტს სიამოვნებით გავაფორმებ. ბუნებრივია, იქ გადავალ, სადაც უკეთეს პირობებს შემიქმნიან."*

ბენზემას ამ გულახდილმა განცხადება სამეფო კლუბისა და კატალონიური გრანდის ხელმძღვანელების აღფრთოვანება გამოიწვია. ქარიმს **პრედრაგ მიატოვიჩი** გამოეხმაურა და განაცხადა: *"ჩვენ მზად ვართ, დღესვე მოვაგვაროთ ეს საკითხი. არაერთხელ მითქვამს, რომ ბენზემა ჩვენი გუნდისთვის ერთ-ერთი უპირველესი სამიზნეა. თუ საჭირო გახდება, ლიონში პირადად ჩავალ და მოლაპარაკებებს დავიწყებ."*

არანაკლებ მოტივირებულია **ჩიკი ბეგირისტაინი**. "ბარსელონის" გენერალური დირექტორი "ლიონის" სუპერვარსკვლავს საუკეთესო კონტრაქტს და ფანტასტიკურ კარიერას ჰპირდება: *"სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ბენზემას ჩვენზე უკეთეს პირობებს ვერავინ შეუქმნის. ფინანსურ პირობებს თავი რომ დავანებოთ, ქარიმისთვის "ბარსელონა" წმინდა პროფესიული თვალსაზრისითაც საუკეთესო კლუბი იქნება. ის ჩვენი სტილი მოთამაშეა და დარწმუნებული ვარ, რომ "კამპ-ნოუზე" გენიალურ კარიერას გაიკეთებს. მოკლედ, ამ ტრანსფერს იმედის თვალით ვუყურებთ და გვჯერა, რომ ბენზემა "ბარსელონის" სასარგებლოდ გააკეთებს არჩევანს."*

დაპირისპირება

# მილანი ცინიზმმა მოიცვა

## ცივი ომი თანაქალაქელებს შორის

იტალიაში უკვე ღიად საუბრობენ იმაზე, რომ მიმდინარე სეზონში ქვეყნის ჩემპიონის ტიტულისთვის ორი მილანური გრანდი იბრძოლებს. დღეს, აპენინებზე არ არის გუნდი, რომელიც ამ ორი გიგანტის დაპირისპირებაში ჩაერევა. მართალია „იუვენტუსმა“ ძალები მოიკრიბა და კრიზისიდან გამოძვრა, მაგრამ ძნელად წარმოსადგენია რომ საჩემპიონო მარათონში ჩაერთოს. ასეთი ფონი უკვალოდ რომ არ ჩაივლის, ესეც ნათელია. თანაქალაქელებს შორის ურთიერთობა უკვე იძაბება, რასაც ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენებიც მოწმობს.



მილანისა და ინტერის ბოსები: მასიმო მორატი და ადრიანო გალიანი

მეათე ტურის შემდეგ სერია A-ს სატურნირო ცხრილს „მილანი“ ჩაუდგა სათავეში, რაც კლუბის ტიფოზებმა დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს. ერთი შეხედვით, საზეიმო ბევრი არაფერია, მაგრამ მეორე მხრივ, მილანისტებსაც უნდა გავუგოთ, მათი საყვარელი გუნდი ხომ ოთხ წელიწადზე მეტია, რაც ლიდერი არ ყოფილა.

მილანელთა ეიფორიამ „ინტერის“ პრეზიდენტი **მასიმო მორატი** ირონიულად განაწყო, მან იტალიურ პრესასთან ცინიკური განცხადებები გააკეთა და ბევრის გაკვირვებაც გამოიწვია. ჟურნალისტები ვერაფრით ხსნიან, რამ გაალიზიანა ასე სენიორ მასიმო, ბოლო წლებში ხომ მას „მილანის“ მესვეურებთან საკმაოდ ნორმალური ურთიერთობა ჩამოუყალიბდა. აი, რა განაცხადა მორატიმ: *„მილანელთა სიხარულის ნამდვილად მესმის, მათ სრული უფლება ჰქონდათ, წარმატება ასე პომპეზურად აღენიშნათ. „ნაპოლის“ დამარცხება ხუმრობა საქმე არ გეგონოთ, სამხრეთელებს წელს შესანიშნავი გუნდი ჰყავთ. თანაც, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „მილანი“ ძალიან დიდი ხანია ლიდერი არ ყოფილა, მათ არც კი ახსოვთ რა განცდაა, როდესაც პირველი ხარ. ასე რომ, აბსოლუტურად მესმის მათი. მომწონს თუ არა რონალდინიოს თამაში? - ვფიქრობ, მან საუკეთესო წლები უკან მოიტოვა, ის „როსონერიში“ კარიერის დასასრულებლად გადავიდა“.*

მასიმო მორატის ასეთი მკვახე განცხადებები „მილანელთა“ ბანაკში უპასუხოდ არ დაუტოვებიათ. კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა **ადრიანო გალიანიმ** „გაძეტა დელო სპორტს“ შემდეგი განუცხადა: *„სიმართლე გითხრათ, სენიორ მასიმოს ასეთი გამოხდომით ერთობ გაკვირვებული ვარ. სხვა სიტყვას ამას ვერ დავარქმევ, რადგან მორატიმ ცინიზმით აღსავსე კომენტარი გააკეთა. ყველაფერთან ერთად, მან შეურაცხყოფა მიაყენა „ნაპოლის“, რაც ასევე გაუგებარია.*

*მინდა მორატი „მილანის“ მუზეუმში დავპატიჟო, ამ დღეებში შეუძლია მოვიდეს და ჩვენი გუნდის ტროფეები დაათვალიეროს. მიხვდება, თუ რა ემოციები გვქონდა ბოლო წლებში და იმასაც გააცნობიერებს, რომ პირველობა ჩვენთვის სულაც არაა უცხო ხილი. „როსონერი“ ყველაზე ტიტულოვანი კლუბია მსოფლიოში და არ მესმის, რა ემოციებზე გვესაუბრება სენიორ მასიმო. რაც შეეხება რონალდინიოს, ის, რომ გუნდი იტალიის ჩემპიონატის ლიდერია, ამაში წვლილი მასაც მიუძღვის. დარწმუნებული ვარ, გაუჩო მომავალში კიდევ უფრო კარგად ათამაშდება და კვლავ დაიბრუნებს საუკეთესო ფეხბურთელის სტატუსს. რონის შეძენა ამ ზაფხულს „ინტერსაც“ სურდა, ბრაზილიელმა არჩევანი ჩვენს სასარგებლოდ გააკეთა და ეტყობა, მორატიმ ეს დღემდე ვერ მოინელა. ბოლოს დერბიში გაუჩოს მიერ გატანილ გოლს გავიხსენებდი, მართლაც ჩინებულად დაჰკრა თავური, რას იტყვით?“*

როგორც ხედავთ, მილანურ გუნდებს შორის ცივი ომია გაჩაღებული. არადა, სეზონი ჯერ ხეირიანად არც კი გახურებულა. ადვილი წარმოსადგენია, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ თანაქალაქელები ჩემპიონატის ბოლომდე სკუდეტოს მოპოვების მთავარი პრეტენდენტები იქნებიან.

ბიბლიოთეკა

### კიევოს ახალი მწვრთნელი ჰყავს

სერია A-ს უკანასკნელ ტურში სიცილიურმა „პალერმომ“ „კიევოს“ შავი დღე აყარა და 3:0-ზე გაანადგურა. მატჩის შემდეგ იტალიურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ვერონული კლუბის მესვეურები რამდენიმე საათში გუნდის თავკაცს დაკავებული პოსტიდან გაათავისუფლებდნენ. რამდენიმე საათის რა გითხრათ, მაგრამ პრესის ვარაუდი მართალი გამოდგა. „კიევოს“ ოფიციალურმა ვებგვერდმა გუშინ შემდეგი ინფორმაცია გაავრცელა: *„გამცნობთ, რომ ჯუზეპე იაიკინი დღეიდან აღარ არის საფეხბურთო კლუბ „კიევოს“ მთავარი მწვრთნელი. მას კლუბის ხელმძღვანელები მადლობას უხდიან გაწეული სამუშაოსთვის და მომავალში წარმატებებს უსურვებენ“.*

აქვე, გაუწყებთ, რომ „კიევოს“ უკვე ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. იაკინის **დომენიკო დი კარლო** შეცვლის, ვინაც თავის დროზე „მანტოვას“ და „პარმას“ მთავარი მწვრთნელი გახლდათ.

### მიხაილოვიჩმა დაიწყო

მოგეხსენებათ, იტალიის სერია A-ს აუტსაიდერ „ბოლონიას“ ახალი მთავარი მწვრთნელი დაუნიშნეს. ლომბარდიელებმა სეზონი ძალიან ცუდად დაიწყეს, ბოლო ტურში კი „კალიარისთან“ 1:5-ზე განადგურდნენ და კლუბის მესვეურებმაც სასწრაფო ზომები მიიღეს. გუნდის კრიზისიდან გამოყვანა **სინიშა მიხაილოვიჩს** დაეკისრა. შეგახსენებთ იმასაც, რომ სერბმა სამწვრთნელო კარიერა „ინტერში“ დაიწყო. იგი **რობერტო მანჩინის** თანაშემწე გახლდათ და როგორც იტალიაში ირწმუნებიან, „ნერაძურის“ წარმატებებში ერთობ დიდი წვლილი შეიტანა. გუშინ ბოლონიელთა ახალი დამრიგებლის პრეზენტაცია გაიმართა. ახალგაზრდა სპეციალისტმა პრესისათვის პირველი კომენტარი გააკეთა. აი, რა განაცხადა მან: *„ახალი პოსტი ჩემთვის დიდი გამოწვევაა. ვეცდები, ტიფოზებს იმედი არ გავუცრუო. ჩემი უპირველესი ამოცანა გუნდში დადებითი ატმოსფეროს შექმნაა. წარუმატებელმა სტარტმა ფეხბურთელებზე ძალიან ცუდად იმოქმედა, მათ შემართება უნდა დაიბრუნონ და საბრძოლველად განეწყონ“.*

იტალიის ნაკრები

# ლიპის ახალი სახეები სჭირდება

## სკუადრა აძურას კარი ყველასთვის ღიაა



მარჩელო ლიპი

**იტალიის** ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი მარჩელო ლიპი პრესის მუდმივი ყურადღებით სარგებლობს. მას ხშირად აკითხავენ ჟურნალისტები და ქვეყანაში მიმდინარე საფეხბურთო მოვლენებზე, აზრს ეკითხებიან. უმთავრესი თემა რა თქმა უნდა, „სკუადრა აძურაა“, მაესტრო ნაკრებს 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ამზადებს და ჯერჯერობით საქმეს წარმატებით უძღვება. გთავაზობთ ლიპის ნააზრევს, რომელიც იტალიურ პრესაში გამოქვეყნდა.

დელ პიერო: *"ალექსი მართლაც დიდებულად ათამაშდა. მან ამ სეზონში არაერთხელ დაამტკიცა, რომ უმაღლეს დონეზე ასპარეზობა კვლავაც შეუძლია. მესმის, რატომ მალაპარაკებთ დელ პიეროზე, ფიქრობთ, რომ მას უსამართლოდ ვექცევი და ეროვნულ გუნდში განვებ არ ვიძახებ. ასე არაა, ნაკრების კარი ყველასთვის ღიაა და მათ შორის იუვენტინოსთვისაც. ამ ეტაპზე მსურს საქმეში რაც შეიძლება მეტი ახალი სახე ვნახო, დავრწმუნდე მათ შესაძლებლობებში და საჭირო მომენტში დავეყრდნო კიდეც. მსოფლიოს ჩემპიონატამდე ჯერ დრო გვაქვს და ეს პერიოდი მაქსიმალურად ნაყოფიერად უნდა გამოვიყენოთ. დელ პიეროს კარგად ვიცნობ, მასში დარწმუნება ნამდვილად არ მჭირდება და ისიც კარგად ვიცი, რომ იტალიას ის კვლავაც სჭირდება."*

ამაური: *"კარვალიოს ვესაუბრე და მან მითხრა, რომ იტალიის ნაკრებში თამაშს სიამოვნებით დათანხმდება. მის საფეხბურთო ნიჭს დიდად ვაფასებ და გამიხარდება თუ „აძურას“ მაისურას მოირგებს. თუმცა, ამაურიზე, როგორც ეროვნული ნაკრების პოტენციურ ფეხბურთელზე მხოლოდ მას შემდეგ ვიფიქრებ, როცა ბიუროკრატიულ პრობლემებს მოაგვარებს, იტალიის მოქალაქე გახდება და მისი გამოძახების უფლება მექნება. როგორც ვიცი, მან უკვე წარადგინა შესაბამის ორგანოში საჭირო დოკუმენტები და საქმეც დაძრულია, იმედია, ყველაფერი კარგად დასრულდება."*

სერია A: *"ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე ვამბობდი, რომ ჩემი ფავორიტი „ინტერია“ და ჩვენებას არც დღეს შევცვლი. ჟოზე მოურინიოს გუნდს უდიდესი პოტენციალი აქვს, რომლის რეალიზების შემთხვევაშიც გუნდი უმაღლეს მწვერვალებს დაიპყრობს. პორტუგალიელმა სწორი კურსი აიღო, ის აქტიურად იყენებს ფლანგებს და მაქსიმალურად ტვირთავს ზლატან იბრაჰიმოვიჩს. დავამატოთ ამას უძლიერესი შუა ხაზი და ნათელი გახდება, რომ ამ გუნდის შეჩერება ნებისმიერი გუნდისთვის ურთულესი საქმეა. თუმცა. აქვე მინდა ორიოდე სიტყვა „მილანზეც“ ვთქვა. ჩემდა გასაკვირად, „როსონერიმ“ მოკლე დროში იპოვა საკუთარი თავი და მძლავრადაც ათამაშდა. „ინტერის“ უმთავრესი კონკურენტი სწორედ „როსონერი“ იქნება."*

ჩემპიონთა ლიგა: *"იტალიური გუნდები ჯერჯერობით მეტ-ნაკლები წარმატებით ასპარეზობენ. დიდი სურვილი მაქვს, რაც შეიძლება შორს გააღწიონ „იუვენტუსმა“ და „ფიორენტინამ“. ამ კლუბებში ახალგაზრდა იტალიელი ფეხბურთელები თამაშობენ, რომელთაც დიდ მატჩებში მონაწილეობა ჰაერივით სჭირდებათ. ჩემპიონთა ლიგაში ისინი ფასდაუდებელ გამოცდილებას მიიღებენ და ოსტატობას აიმაღლებენ. ძალიან მაფიქრებს „რომას“ კრიზისი, სკუადრა აძურაში არაერთი რომაელია და ნამდვილად არ მსურს მათ დამარცხებულის მენტალიტეტი ჩამოუყალიბდეთ. „ჩელსისთან“ პაექრობა უმნიშვნელოვანესი იქნება, გამარჯვების შემთხვევაში „ჯალოროსის“ ფეხბურთელები საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნდებიან და იქნებ დაძლიონ კიდეც უსაშველოდ გაწელილი კრიზისი."*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ფილ ბრაუნთან

# ერთ დღეს აუცილებლად დავტოვებ ჰალს

## მაგრამ ეს უახლოეს წლებში არ მოხდება



პალ სიტის წარმატების სულისჩამდგმელი, მთავარი მწვრთნელი ფილ ბრაუნი

ყოველ წელს ინგლისურ პრემიერლიგაში ერთი გუნდი იბადება, რომლის ბედიც ძლიერ ჰგავს კონკიას – სხვებთან შედარებით ღარიბი და გამოუცდელია, მაგრამ ისეთი, რომელსაც თითქოს ბედი ძლიერ ანებივრებს. ასეთი იყო 2003-04 წლების სეზონში "ჩარლტონი", "ბოლტონი" - 2004-05, "ვიგანი" - 2005-06, "რედინგი" – 2006-07, "პორტსმუთი" - 2007-08. ნება მოგვეცით, ყველა მათგანზე დამსახურებულ კონკიად წლევანდელი პრემიერლიგის "ჰალ სიტი" დავასახელოთ. 49 წლის ფილ ბრაუნმა სააგენტო "ფოქსსპორტსს" საკმაოდ საინტერესო ინტერვიუ მისცა, რომელსაც მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.

- თქვენ საკმაოდ დიდი გამოცდილება გაქვთ ისეთ კლუბებში თამაშისა, როგორებიც არიან "ბოლტონი" და "ბლექპული". გეგმავდით თუ არა ოდესმე მწვრთნელობას და იქონია თუ არა თქვენს არჩევანზე გავლენა ყოფილმა დამრიგებელმა ბრუს რიოკმა?

- რიოკის გავლენა განვიცადე და საკმაოდ ძლიერიც. როცა ბრუსმა "ბოლტონი" ჩაიბარა, მაშინ უკვე 31 წლის ვეტერანი გახლდით, 12-წლიანი სათამაშო სტაჟით. ეს მან აღმოაჩინა ჩემში ლიდერის თვისებები და ერთ მშვენიერ დღესაც მირჩია, სერიოზულად დავფიქრებულიყავი სამწვრთნელო კარიერაზე. მას შემდეგ მუდმივად ამ თემაზე ვფიქრობდი და საკუთარ თავს მწვრთნელობისთვის ვამზადებდი. ამისთვის დიდი დრო დამჭირდა. არ მსურდა, როცა შანსი მომეცემოდა, სახელი შემერცხვინა.

**- ორჯერ მუშაობდით "ბოლტონის" მეორე მწვრთნელად. ჯერ კოლინ ტოდის თანაშემწე იყავით, შემდეგ კი სემ ელერდაისის ასისტენტი. რამდენად გამოგადგათ მათთან მუშაობისას მიღებული გამოცდილება იმისთვის, რომ დამოუკიდებელი სამწვრთნელო პრაქტიკა დაგეწყოთ?**

- კოლინსა და სემთან მუშაობამ ფასდაუდებელი სამსახური გამიწია. ელერდაისის გვერდით ჯერ კიდევ "ბლექპულში" ვმუშაობდი, საიდანაც, სიმართლე ითქვას, დაუმსახურებლად გაათავისუფლეს. რამდენიმე წლის მერე ჩვენი დუეტი "ბოლტონში" აღდგა. მოვახერხეთ და საერთო ძალისხმევით ეს გუნდი პრემიერლიგაში გადმოვიყვანეთ. თავდაპირველად მუდმივად დარჩენისთვის გვიწევდა ბრძოლა, შემდეგ კი სასწაული მოვახდინეთ და უეფას თასის გათამაშებაში მოვხვდით.

**- ამბობენ, რომ არის მეორე მწვრთნელების კატეგორია, რომელსაც დამოუკიდებლად მუშაობა ნაკლებად გამოსდის, მაგალითად, ბრაიან კიდი, კოლინ ტოდი, კარლუშ კეირუში. რატომ ხდება ასე და თავად თუ გიფიქრიათ ამ თემაზე, თუ გქონიათ ეჭვი, რომ რაღაც ამის მსგავსი თქვენც დაგემართებოდათ?**

- თანაშემწედ მუშაობა გარკვეულწილად მართლა ძალზე კომფორტულია. ყველანაირი კრიტიკა და ეკალი, დიდი თუ პატარა, მთავარ მწვრთნელს ხვდება ხოლმე წილად, შენ კი თითქოს არაფერ შუაში ხარ. ვინც კარგად მიცნობს, ყველამ იცის და დაადასტურებს, რომ მთავარი მწვრთნელობის ამბიცია მუდამ მქონდა. ამიტომ როგორც კი შანსი გამოჩნდა, დავთანხმდი. ელერდაისთან კონსულტაციის შემდეგ "დერბი ქაუნთი" ჩავიბარე. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ სემის მხარდაჭერა მქონოდა.

**- პირველ ჯერზე არ გაგიმართლათ და ხსენებული გუნდიდან მალე წამოხვედით. რატომ?**

- ჩემი გადაყენებისას "დერბის" ხელმძღვანელობამ ცოტა იჩქარა. ფეხბურთში უკვე 27 წელიწადი მქონდა გატარებული და კარიერაში პირველად, ახალი საქმისთვის ხელის მოკიდებიდან რვა თვის თავზე უმუშევარი დავრჩი. უკან დასახევი გზა არ მქონდა. ისევ დაველოდე შანსს და მალე გამიმართლა, გამოჩნდა "ჰალის" ვარიანტი, სადაც ფილ პარკინსონი შევცვალე.

**- "ვეფხვებს" მაშინ საუკეთესო დროება ნამდვილად არ უდგათ. რამდენად დრამატული იყო მდგომარეობა და რა ნაბიჯი გადადგით პირველ რიგში კრიზისის დასაძლევად?**

- ჩვენ ჩემპიონშიფის სატურნირო ცხრილის ფსკერზე ვიყავით. მუშაობის დაწყებიდან რამდენიმე დღეში მივხვდი, რომ გუნდში შესანიშნავი ფეხბურთელები მყავდა და არ გავვარდებოდით. როგორც წესი, გავარდნის საფრთხე გუნდს ერთ მუშტად კრავს. შეგირდების უმრავლესობას საფრთხე გაცნობიერებული ჰქონდა, ამიტომ დამატებით მათი მოტივირება საჭირო არ იყო. მხოლოდ მცირე ფსიქოლოგიური სამუშაოს ჩატარება მომიხდა, რათა ისინი ზედმეტი კომპლექსებისგან გამეთავისუფლებინა. როგორც კი ეს მოვახერხე, ბიჭები ზუსტად ისე ათამაშდნენ, როგორც ამას ვარჯიშებზე აკეთებდნენ. ეს ყველაფერი ორ დღეში არ მომხდარა, მაგრამ მთავარი იყო, რომ გადავრჩით. შარშანდელ სეზონში კი ჩემპიონშიფის პლეი ოფში მოვხვდით და პრემიერლიგის საგზური მოვიპოვეთ.

**- პრემიერლიგაში თავდაპირველად რა ამოცანა გქონდათ დასახული და შეიცვალა თუ არა ის სასტარტო ტურებში დაუჯერებელი ასპარეზობის შემდეგ?**

- თავიდანვე ვიცოდით, რომ წითელ ხალიჩას არავინ დაგვიგებდა, ვიცოდით, რომ პრემიერლიგა ერთ-ერთი ყველაზე რთული ტურნირია, სადაც კი შეიძლება ასპარეზობამ მოგიწიოს, მაგრამ იმისიც გვჯეროდა, რომ თუკი სტარტს კარგად ავიღებდით, ეს ცხოვრებას ძლიერ გაგვიიოლებდა. წამითაც არ მეპარებოდა ეჭვი, რომ ფეხბურთელებს ელიტაში თამაში შეეძლოთ. პირველივე გამარჯვებების შემდეგ ჩვენში საკუთარი ძალების რწმენა კიდევ უფრო გამყარდა. რაც შეეხება იმას, თუ რა მიზანი გვქონდა დასახული... რა თქმა უნდა, დარჩენა.

**- ბოლო წლებში ყველა ვხედავთ, რომ "ჰალის" მსგავსი სენსაციის ავტორები მეორე სეზონს პრემიერლიგაში უკვე ძალზე სუსტად ატარებენ ხოლმე. თქვენი აზრით, რაშია ამ სინდრომის საიდუმლო?**

- შესაძლებელია, ხსენებული გუნდების ფეხბურთელები ზედმეტად რწმუნდებოდნენ საკუთარ ძალებში და მათ თვითკმაყოფილება იპყრობდა. სენსაციური სეზონის ჩატარების შემდეგაც კი პრემიერლიგისადმი პატივისცემა და მოწიწება უნდა შეინარჩუნო. რაც შეეხება "ჰალს", ჩვენ მხოლოდ აწმყოზე ვფიქრობთ, როგორც იტყვიან, როგორც კი დილა თენდება, ვიწყებთ მხოლოდ იმ დღის საკვებზე ზრუნვას. უახლოესი შეხვედრის იქით ჯერ არ ვფიქრობთ. არც გვაქვს ამის უფლება.

**- გუნდის ახალწვეული ჯოვანი ბრწყინვალედ შეეწყო გუნდს. რამდენად რთული იყო, რომ მსგავსი ტექნიკისა და ნიჭის ფეხბურთელი ისეთი სისტემის სამსახურში ჩაგეყენებინათ, როგორიც თქვენია, დამყარებული შრომისმოყვარეობასა და თავდადებაზე?**

- ჯოვანის უნდა გაეგო ერთი რამ, ბურთის შენარჩუნებამ და მისი თვალისჩინივით გაფრთხილებამ შეიძლება გაამართლოს "ბარსელონასა" და ბრაზილიის ნაკრებში, მაგრამ არა ინგლისში და მით უფრო აქ, "ჰალ სიტიში". ჩვენთან ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ფეხბურთელმა უბურთოდ მუშაობა ისწავლოს. ის ჩვენთან იქამდე დარჩება, ვიდრე სათამაშო დისციპლინას განუხრელად დაიცავს. ამ მხრივ მასთან პრეტენზია არ მაქვს. ჯოვანი ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანი ფიგურაა შეტევებითი ოპერაციებისას.

**- რამდენად აკმაყოფილებს თქვენს სამწვრთნელო ამბიციებს დღევანდელი სამუშაო? მომავალი რამდენად მჭიდროდ გაქვთ დაკავშირებული ამ კლუბთან?**

- ვფიქრობ, რომ "ჰალ სიტიში" შესანიშნავი სამსახური მაქვს. აქაურობა ყველანაირად მაკმაყოფილებს. რატომღაც ადამიანები ხშირად ფიქრობენ ხოლმე, რომ მეზობლის ბალახი ყოველთვის უფრო მწვანეა, მაგრამ რეალურად ასე არასდროს ხდება. გარწმუნებთ, ძალიან ამბიციური ადამიანი ვარ და ვიცი, რომ ერთ დღეს დავტოვებ "ჰალს" ან პირიქით, კლუბი მოინდომებს ჩემთან განშორებას, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ ეს უახლოეს წლებში არ მოხდება.

**- თუ დაინტერესდებით ოდესმე ამერიკულ MLS-ში მუშაობით. ოღონდ მას მერე, რაც ევროპაში თქვენს ამბიციებს ამოწურავთ?**

- რატომაც არა? მწვრთნელის პრო ლიცენზიას ვფლობ, რომელიც შარშან მივიღე და რაც უფლებას მაძლევს, დაუბრკოლებლად ვიმუშაო ნებისმიერ უცხოურ კლუბსა თუ ნაკრებში. ადრე ომანის ფეხბურთის ფედერაციამ კონტრაქტიც კი შემომთავაზა, ეს მაშინ იყო, როცა უმუშევარი ვიჯექი.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ჩელსი

# ჩეხის მეასე არისტოკრატული

## ...და რომან არკადიჩის წურბელები

1 ნოემბერს, "ჩელსი"-"სანდერლენდის" შეხვედრაში "არისტოკრატების" გოლკიპერმა **პეტრ ჩეხმა** ლონდონელთა მაისურით მე-100 მშრალი შეხვედრა ჩაატარა. სულ მის ანგარიშზე 2004 წლიდან დღემდე 180 შეხვედრაა (აქედან 124 პრემიერლიგაში). საკლუბო რეკორდი ლეგენდარულ **პიტერ ბონეტს** ეკუთვნის, რომელმაც 1960-1975 წლებში "ჩელსის" ღირსება 495-ჯერ დაიცვა.

ღირსშესანიშნავ მოვლენასთან დაკავშირებით ფეხბურთელმა კომენტარი კლუბის ოფიციალურ საიტზე გააკეთა. აი, რა განაცხადა მან: "*მოხარული ვარ, რომ ასეთ შედეგს მივაღწიე. თუკი ასევე განვაგრძობ თამაშს, მაშინ საკლუბო რეკორდის დამყარებასაც შევძლებ. ბონეტის მიღწევასთან მიახლოებას ალბათ 5 წელიწადი მაინც დასჭირდება. საამაყოა, რომ ჩემ მიერ ჩატარებული შეხვედრების უმრავლესობა ისეთ რთულ ტურნირებზე მოდის, როგორიც პრემიერლიგა და ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაა. შეუძლებელია, არ აღვნიშნო, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ ჩემი მიღწევა არ გახლავთ. გუნდის დახმარება რომ არა, რასაკვირველია, შედეგი არ იქნებოდა.*"

გარდა რეკორდზე საუბრისა, ფეხბურთელმა მიმდინარე მოვლენებზეც გააკეთა კომენტარი: "*ვფიქრობ, რომ "ლივერპულთან" წაგების შემდეგ ბოლო ორი თამაში ისეთ მაღალ დონეზე ჩავატარეთ, რომ გულშემატკივართა თვალში სრული რეაბილიტაცია გავიარეთ. წაგება ფეხბურთის განუყოფელი ნაწილია, ქულების დაკარგვაზე უფრო მნიშვნელოვანია, რომ დამარცხების შემდეგ გუნდში შესაბამისი დასკვნა გაკეთდეს.*"

"ჩელსისა" და "სანდერლენდის" შეხვედრისას, გარდა ჩეხის რეკორდისა, ერთი სასიამოვნო მოვლენაც მოხდა: მატჩის 27-ე წუთზე ბრაზილიელმა ცენტრალურმა მცველმა **ალექსმა** სტუმართა გოლკიპერის **მარტონ ფულოპის** კარი დალაშქრა, რისი წყალობითაც ის ლონდონური კლუბის ისტორიაში შევიდა. პრემიერლიგის დაარსებიდან დღემდე ეს "არისტოკრატთა" მიერ გატანილი მე-1000 გოლი აღმოჩნდა. "*უაღრესად ამაყი ვარ, რომ ასეთი პატივი წილად სწორედ მე მხვდა. ეს დიდი მიღწევაა კლუბისთვის, ხოლო ჩემთვის დიდი ბედნიერება,*" – განაცხადა სამხრეთამერიკელმა.

კლუბის მესაკუთრე **რომან აბრამოვიჩი** მივიდა დასკვნამდე, რომ მის კისერზე ძალზე ბევრი წურბელა იჯდა. მოგეხსენებათ, გლობალური ფინანსური კრიზისის გამო რუსმა ბიზნესმენმა ერთობ სოლიდური კაპიტალი დაკარგა. მართალია, მისი და "ჩელსის" კეთილდღეობას არაფერი ემუქრება, მაგრამ, მან ყოველი ზედმეტი ხარჯის გაწევაზე თქვა უარი. ასე მაგალითად, კლუბის სისტემაში 35 სკაუტი მუშაობდა, რომელთა საშუალო ხელფასი წელიწადში 100 ათასი გირვანქა გახლდათ. ბიზნესმენის გადაწყვეტილებით, მათგან მხოლოდ 25 თანამშრომელი დარჩა. გათავისუფლებული ადამიანების გვარები არ სახელდება, თუმცა პრესამ ერთი მათგანის ვინაობის დაზუსტება მაინც მოახერხა. ეს გახლავთ 70-იანი წლების გერმანელი ვარსკვლავი, 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონი **რაინერ ბონჰოფი**.



პეტრ ჩეხმა ლონდონურ რეკორდს დაუმიზნა

ამბები

## დუნგამ შემადგენლობა დაასახელა

ბრაზილიის ნაკრების თავკაცმა **კარლოს დუნგამ** პორტუგალიის ნაკრებთან ამხანაგური თამაშის წინ გუნდის შემადგენლობა დაასახელა. პენტაკამპეონთა სია "როიტერმა" გაავრცელა.

**მეკარეები** - ჟულიო სეზარი (ინტერი); დონი (რომა)

**მცველები** - მაიკონი (ინტერი); დანიელ ალვეში (ბარსელონა); ლუსიო (ბაიერნი); მირანდა (სან პაულუ); ტიაგო სილვა (ფლუმინენსე); ლუიზაო (ბენფიკა); კლებერი (სანტოსი); მარსელო (რეალი)

**ნახევარმცველები** - ჟილბერტო სილვა (პანათინაიკოსი); ელანო (მანჩესტერ სიტი); ანდერსონი (მანჩესტერ იუნ); ჟოსუე (ვოლფსბურგი); კაკა (მილანი); დიეგო (ვერდერი); მანსინი (ინტერი);

**თავდამსხმელები** - რობინიო (მანჩესტერ სიტი); ლუიშ ფაბიანო (სევილია); პატო (მილანი); ადრიანო (ინტერი).

## გარი ნევილი კონტრაქტს გააგრძელებს

"სანდი მირორის" ცნობით, "მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ვეტერან **გარი ნევილს** ახალი კონტრაქტი შესთავაზოს. შეთანხმების გაგრძელება ერთი წლით იგეგმება. მიმდინარე ხელშეკრულების ვადა სეზონის ბოლოს იწურება. ფეხბურთელი წინადადებას, რა თქმა უნდა, კმაყოფილი გამოეხმაურა.

ბრიტანული ტაბლოიდებისთვის ახლაღა გახდა ცნობილი, რომ 15 ოქტომბერს, ინგლისის ნაკრების მიერ მინსკში მოგებული შეხვედრის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულმა **უეინ რუნიმ** პირველი რაც გააკეთა, კაზინოში სათამაშოდ წასვლა იყო, სადაც ფეხბურთელმა 65 ათასი გირვანქა წააგო. აი, რას ამბობს სათამაშო დაწესებულების თანამშრომელი:

"*რუნი შემოვიდა და უმალ იმ მაგიდისკენ გაეშურა, სადაც ბლექ ჯეკს თამაშობენ მაქსიმალური 500-გირვანქიანი სასტარტო ფსონით. მთელი საღამო მას სახეზე ღიმილი არ მოშორებია, მიუხედავად იმისა, რომ თავიდანვე მსუყე თანხა წააგო. ხანდახან ტოვებდა კუთვნილ ადგილს და "რულეტკის" სათამაშოდ მიდიოდა, უეინს იქაც არ უმართლებდა. დაწესებულება დილის 6 საათზე დავკეტეთ, იმ მომენტისთვის რუნის უარყოფითი ბალანსი 65 ათასი ფუნტი იყო. როცა ის კაზინოს ტოვებდა, სახეზე ნერვიულობა და გაბრაზება ეტყობოდა,*" – განუცხადა გაზეთს პიროვნებამ, რომელმაც ვინაობის დასახელება არ ისურვა.

## მატერაციმ ტაბლოიდს მოუგო

**მარკო მატერაციმ** ინგლისურ ტაბლოიდ "დეილი მეილს" სასამართლო პროცესი მოუგო. იტალიელი ფეხბურთელი გაზეთს წინასწარი განზრახვით მასზე ყალბი, სახელგამტეხი ცნობების გავრცელებაში ადანაშაულებდა. ბრიტანული გამოცემა ამტკიცებდა, რომ 2006 წლის ფინალის ცნობილი სკანდალის დროს აპენინელი **ზინედინ ზიდანს** შეურაცხყოფას რასისტულ ნიადაგზე აყენებდა, ასევე არაეთიკურად ახსენებდა მის დედას. სასამართლო სხდომის დროს მოპასუხე მხარის ადვოკატებმა დაადასტურეს, რომ გამოქვეყნებული სტატია სიმართლეს არ შეესაბამებოდა, შესაბამისად, გაზეთმა ოფიციალურად იკისრა ვალდებულება, მატერაცის ბოდიში გაზეთის ფურცლებიდანვე მოუხადოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# ახლა მთავარი სათამაშო დროა

## ოთხწლიანი კონტრაქტი პანათინაიკოსთან



გიორგი შერმადინი

გადაწყდა, მიმდინარე სეზონში **გიორგი შერმადინი** ბერძნულ "პანათინაიკოსში" ითამაშებს. კონტრაქტი ოთხწლიანია და 1+3 ტიპისაა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ პირველ წელს გიორგიმ მწვანეების მწვრთნელს თავი მოაწონა, მომავალი სეზონის წინ ავტომატურად ძალაში შევა სამწლიანი კონტრაქტი. სატრანსფერო სიახლეებზე საბერძნეთში მყოფი შერმადინის აგენტი **ლევან მიქელაძე** (სააგენტო "ბიდიეი სპორტი") გვესაუბრა:

*- ხელშეკრულება ათენში ჩამოსვლიდან რამდენიმე დღეში იმიტომ გაფორმდა, რომ ჯერ გუნდი აკვირდებოდა გიორგის, შემდეგ საკონტრაქტო ფორმალობები ზუსტდებოდა. საბოლოო შეთანხმებამდე რომ მივედით, ხელიც მას შემდეგ მოვაწერეთ. რა თქმა უნდა, "პანათინაიკოსის" ხელმძღვანელობას ჩემგან და ტოდ რამასარისგან (სააგენტო "ბიდიეი სპორტი") გიორგი შერმადინის შესახებ ინფორმაცია არ მოჰკლებია. ამასთან კალათბურთელმა მიიღო დადებითი დახასიათებები თავისი ეროვნული ნაკრების მწვრთნელებისგან იგორ კოკოშკოვისა და დავით უსტიაშვილისგან. ამავე დროს უნდა აღინიშნოს NBA-ს საზოგადოების დიდი მხარდაჭერა.*

ამერიკის ეროვნული ნაკრების მთავარი სკაუტი **ტონი რონზონი,** რომელიც "დეტროიტ პისტონსის" ვიცე-პრეზიდენტია საერთაშორისო ოპერაციების დარგში, სამიოდე დღის წინ საბერძნეთის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ გაზეთ "სპორტდეიში" აცხადებს: *"გიორგი პაუ გასოლს მაგონებს, ოღონდ ფიზიკურად უკეთესია. იგი მალე დაიმკვიდრებს ადგილს მსოფლიოს საუკეთესო ცენტრთა შორის. შერმადინის პოზიციაზე არ მეგულება მასზე საინტერესო ცენტრი და პირდაპირ შემიძლია განვაცხადო, რომ იგი ჩვენი ("დეტროიტ პისტონსი") მომავალი დრაფტების სიაშია. დარწმუნებული ვარ, "პანათინაიკოსში" გადასვლა მას პროგრესირებაში დაეხმარება."* შეგახსენებთ რომ ტონი რონზონი გიორგი შერმადინის მწვრთნელი იყო წლევანდელ "რიბოკ ევროპკემპზე", რომელიც იტალიის ქალაქ ტრევიზოში 2008 წლის ივნისში ჩატარდა.

დავინტერესდით კონტრაქტის პირობებითაც. აგენტმა **ლევან მიქელაძემ** შემდეგი გვითხრა:

*- კონტრაქტი 4 წლის ვადით გაფორმდა. იქიდან გამომდინარე, რომ ხელშეკრულების მიხედვით პირობები კონფიდენციალური უნდა იყოს, დეტალებზე კონკრეტულად საუბარი არ შემიძლია. იმას კი ვიტყვი, რომ გიორგი შერმადინმა გააფორმა ყველაზე ღირებული კონტრაქტი იმ ქართველთა შორის, რომელთაც მის ასაკში დატოვეს საქართველო და კარიერა საზღვარგარეთ გააგრძელეს.*

ლევან მიქელაძე დაგვეხმარა ნათელი წარმოდგენა შეგვექმნა, რას ფიქრობენ "პანათინაიკოსში" შერმადინზე.

*"ჯორჯისგან ბევრს ველით. ის ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი კალათბურთელია და მოხარული ვარ, რომ ჩვენთან გაბრწყინდება. ამაში დარწმუნებული ვარ,"* - განაცხადა "პანათინაიკოსის" მეორე მწვრთნელმა **დიმიტრის იტუდისმა.**

სანამ გუნდი ბარსელონას გაემგზავრებოდა, გიორგი შერმადინს ვარჯიშზე სიურპრიზი დახვდა: "პანათინაიკოსის" მთავარმა მწვრთნელმა **ჟელკო ობრადოვიჩმა** ის გუნდის ახალ წევრად დაასახელა. ამ ვარჯიშს ლევან მიქელაძეც ესწრებოდა. იგი იხსენებს:

*- გიორგის ცხოვრებაში, ალბათ, ყველაზე სასიხარულო მომენტი ის იყო, როდესაც შარუნას იასიკევიჩიუსმა "ბრავო გიორგი" შესძახა და ევროპის ნომერ პირველი გუნდი ქართველი შერმადინის შეერთებას ტაშით მიესალმა.*

ქართველი ცენტრის შესახებ მოსაზრება სახალხოდ დააფიქსირა "პანათინაიკოსის" თავკაცმა ჟელკო ობრადოვიჩმა:

*"ჩემს გუნდში მოხვედრა რთული არ არის. დარჩენაა რთული საქმე. გიორგის ვუთხარი, რომ წინ თავდაუზოგავი შრომა ელის. ამ დროისთვის მისი მთავარი მიზანი მხოლოდ ხუთეულში მოხვედრა უნდა იყოს."*

ახლა დროა თავად გიორგი შერმადინს მოვუსმინოთ:

*- გუნდში პირველი დღიდანვე ძალიან თბილად მიმიღეს. ჩემი მენეჯერის, ლევან მიქელაძისგან გავიგე, რომ ათენის ოლიმპიურ სტადიონზე ჩემმა პირველმა ვარჯიშმა მწვრთნელებსა და ალმასრულებლებზე დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა. პირველივე ვარჯიშზე "პანათინაიკოსის" პრეზიდენტები, ძმები პავლოს და ფანასის იანაკოპულოსები მოვიდნენ და მითხრეს კეთილი იყოს შენი მობრძანება მწვანეების ოჯახშიო. მათმა სიტყვებმა ძალიან გამამხნევა და უფრო დიდი სტიმული მომცა. ვარჯიშის დროს კი "შარასი" (შარუნას იასიკევიჩიუსი) მამხნევებდა ხოლმე. სწორედ მისი პასის შედეგად დავუსხლტი ნიკოლა პეკოვიჩს და ეფექტურად ჩავტენე. ხოლო მერე ორჯერ დავუფარე მაიკ ბატისტს. შემდეგ კი დუშან საკოტას მივეცი ზუსტი პასი, რამაც, როგორც ჩემმა წარმომადგენლებმა მითხრეს, ყველაფერი გადაწყვიტა. გენერალურ მენეჯერ მანოს პაპადოპულოსს იმ საღამოსვე უთქვამს ლევანისა და ტოდისთვის, რომ ყველაფერი დამთავრებული იყო და მე "პანათინაიკოსში" ამიყვანდნენ. ჩემმა აგენტებმა ეს სიურპრიზად შეინახეს და მე მხოლოდ მაშინ გავიგე ათენში დარჩენის შესახებ, როცა ლევანმა დიდი კალამი ამოიღო ჩანთიდან და მითხრა, ახლა კი ხელი მოაწერეო.*

**ვაჟა სიმონიშვილი**

# შერმადინი არა მაკაბის, არამედ ქართული სკოლის აღზრდილია

**გიორგი შერმადინის შესახებ ვესაუბრეთ "მაკაბიში" მის მწვრთნელ ჯამლეტ ხუხაშვილს. მან საკონტრაქტო დეტალებზე გაამახვილა ყურადღება:**

- შერმადინის ხელშეკრულება ოთხწლიანია. პირველ წელს იგი შესაძლებლობების დემონსტრირებას მოახდენს და მხოლოდ ხელფასს აიღებს, ხოლო კონტრაქტის ძირითადი ნაწილი ამ სეზონის შემდეგ შევა ძალაში. თუ ასე მოხდა, მომდევნო სამი წლის განმავლობაში გიორგი "პანათინაიკოსის" მაისურით ითამაშებს. ხელშეკრულების მეორე, სამწლიანი ნაწილი უკვე "მაკაბის" ინტერესებსაც ითვალისწინებს.

**- NBA-ს დრაფტზე გიორგის დაყენებას აღარ აპირებთ?**

- თუ... თუ კი არა, ალბათ შერმადინი საბერძნეთში გაისადაც დარჩება. ასეთ შემთხვევაში იგი ამერიკაში წასვლაზე ნამდვილად არ იფიქრებს. ხოლო თუ წლეულს ვერაფერი გააკეთა, მაშინ გაათავისუფლებენ და დრაფტზეც დავაყენებთ.

**- მაინც, როგორ მოახერხეთ ასეთი მაღალი რანგის კლუბის დაინტერესება?**

- ეს შერმადინის თავდაუზოგავი შრომის დამსახურებაა. ძალიან ბევრი იმუშავეს მისმა აგენტებმა ტოდ რამასარმა და ლევან მელქაძემ. მათი მისამართით მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ლევანი ადრე საბერძნეთის კლუბში თამაშობდა და მისთვის იქაური გარემო უცხო არ არის. იგი შერმადინთან ერთად საბერძნეთში დარჩება და გიორგის ენის პრობლემაც მოეხსნება.

**- "პანათინაიკოსის" ხელმძღვანელობას თუ ესაუბრეთ? რას ფიქრობენ ისინი შერმადინზე?**

- კმაყოფილები რომ არ ყოფილიყვნენ, გუნდში არ დატოვებდნენ და კონტრაქტს არ გაუფორმებდნენ. ვერავითარი საუბარი ვერ გაჭრიდა, მათ თუ არ ეცოდინებოდათ, რომ სრულფასოვან კალათბურთელს მიიღებდნენ. ჩვენ ხომ ვლაპარაკობთ ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბზე. "პანათინაიკოსში" გიორგის მოხვედრა ჩვენი კალათბურთის დიდი წარმატებაა.

**- სათამაშო დრო საკმარისად თუ ექნება?**

- დროზე არ გვილაპარაკია. ეს ის შემთხვევაა, როცა თავად კლუბია დაინტერესებული კალათბურთელისგან მოედანზე სარგებლის მიღებით. ამიტომ მწვრთნელმა უკეთ იცის, რამდენს ათამაშებს. ასეა თუ ისე, ასეთი დონის გუნდში მოხვედრა უკვე წარმატებაა. ყველამ დავინახეთ, რომ ანალოგიური პირობების შექმნის შემთხვევაში, სხვა კალათბურთელიც შეიძლება მაღალ დონეზე აღვზარდოთ. საქართველოს ჩემპიონატი კი ნამდვილად არ არის დაბალი დონის. მაგალითი წინ გვაქვს: სექტემბერში საქართველოს ნაკრების საუკეთესო კალათბურთელი ვიქტორ სანიკიძე გახლდათ, რომელმაც გასული სეზონი თბილისის "დინამოში" გაატარა. მეორე მაგალითი შერმადინია, რომელსაც "პანათინაიკოსში" მოსახვედრად სხვა სატელიტური კლუბები არ დასჭირვებია. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის არაერთ ქართველ მწვრთნელს, რომლებთანაც გიორგიმ საქართველოში იმუშავა, ასევე საქართველოს კალათბურთის ფედერაციას, რომელთა მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ბევრი ვიზრუნეთ გიორგის ფიზმომზადებაზე, ჯანმრთელობასა და სხვა დეტალებზე, რამაც შედეგი მალევე გამოიღო. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ გიორგი შერმადინი არა "მაკაბის", არამედ ქართული სკოლის აღზრდილია.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ოლიმპიზმი

# შეხვედრები სეოკ-ში

გუშინ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ოფისში სეოკ-ის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა,** პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა **რამაზ გოგლიძემ,** ვიცე-პრეზიდენტებმა **დავით გობეჯიშვილმა** და **ვახტანგ გეგელიამ** დღის განმავლობაში მუშა შეხვედრები გამართეს ტანვარჯიშის, ტაეკვანდოსა და ველოსპორტის ფედერაციების ხელმძღვანელებთან, რომელსაც ასევე ესწრებოდა მერიის სპორტის სამსახურიდან **ზაზა დოლიძე.**

სეოკ-ის პრეზიდენტი კიდევ ერთხელ გულისყურით გაეცნო ფედერაციებში არსებულ ვითარებას, სამომავლო გეგმებს და, რაც მთავარია, ინფორმაციას 2012 წელს ლონდონის ოლიმპიადაზე სავარაუდო ლიცენზიანტთა შესახებ.

ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტმა **კონსტანტინე სვინტრაძემ** აღნიშნა, რომ სულ მალე წარმოადგენენ 2009 წლის სამოქმედო გეგმას და გაისად სპორტულ არენებზე უკვე კონკრეტული შედეგებიც უნდა აჩვენონ. გაზაფხულზე კი საქართველოს ჩემპიონატის ჩატარებაა დაგეგმილი, სადაც რამდენიმე უცხოელი მსაჯის მოწვევასაც აპირებენ, საერთო ჯამში, მინიმუმ 3 ოლიმპიური ლიცენზიის აღებას ვარაუდობენ. სეოკ-ის ხელმძღვანელობის თქმით, ასეთ შემთხვევაში ფედერაციის მუშაობა უსათუოდ დადებითად შეფასდება.

ტაეკვანდოს ფედერაციის პრეზიდენტმა **გიორგი კორახაშვილმა** აღნიშნა, რომ უახლოეს პერიოდში სპონსორების დახმარებით ნაკრებისთვის აპირებს კორეიდან უცხოელი მწვრთნელის ჩამოყვანას და მინიმუმ ერთი ლიცენზიის მოპოვებას გოგონებში. მისი თქმით, საბერძნეთში მცხოვრებ ქართველ სპორტსმენს **იანა გაგნიძეს** (59კგ) აქვს იმის პოტენციალი, რომ ლონდონის ოლიმპიადის საგზური მოიპოვოს.

ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა **ბესიკ ნადირაძემ** ზოგადად ისაუბრა ფედერაციაში არსებულ ვითარებაზე და ლიცენზიების მოპოვების ჭრილში გათვლა ორ სპორტსმენზე **ასკურავასა** და **ნადირაძეზე** გააკეთა.

წყალბურთის წარმომადგენლებთან ერთად დაისახა გუნდის ჩამოყალიბების პერსპექტივები. ისაუბრეს ნაკრების მწვრთნელის, სამედიცინო პერსონალის, სავარჯიშო ბაზის თაობაზე.

ფედერაციათა ხელმძღვანელებს სამომავლო თანამშრომლობა და მაქსიმალური მხარდაჭერა აღუთქვეს.

დღეს ანალოგიური შეხვედრები დაგეგმილია მშვილდოსნობის, წყლის სახეობებისა და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაციათა ხელმძღვანელებთან.

დაბოლოს აღვნიშნავთ, რომ ბატონ გია ნაცვლიშვილს წერილობით ოფიციალურად მიულოცეს ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა, ირლანდიის ეოკ-ის თავკაცმა **პატრიკ ჰიკმა,** ველოსპორტისა და ბეისბოლის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელებმა, შესაბამისად **პეტ მაკქვიდმა** და **ჰარდი შილერმა.** მილოცვები გრძელდება.

**კახა ბერიძე**
სეოკ-ის პრესსამსახური

წყალთხილამურები

# გენადი გურალიას სპორტის დეპარტამენტში უმასპინძლეს



მარცხნიდან: გენადი გურალია, დავით ნამგალაური და რომან მელია

15 წელიწადია, ქართული წყალსათხილამურო სპორტის სახელი ევროპაში **გენადი გურალიას** წარმატებულად გააქვს. 1994 წლიდან იგი უცხოეთში მოღვაწეობს და სპორტულ კარიერას მწვრთნელობასაც შედეგიანად უთავსებს.

36 წლის ქართველმა სპორტსმენმა დიდი შედეგიანობით იასპარეზა ამას წინათ, ესპანეთის ქალაქ სესენაში მსოფლიოს თასსა და ევროპის ჩემპიონატზე, სადაც 31 ქვეყნის 200-მდე წარმომადგენელმა მოიყარა თავი. შეჯიბრებაზე გურალიამ წყალსათხილამურო სპორტის ყველა სახეობაში მოსინჯა ძალები – სლალომში, ფიგურებსა და ტრამპლინში, ასევე მრავალჭიდშიც, რომელიც სამივე სახეობას აერთიანებს. მრავალჭიდში ქართველმა პირველი ადგილი დაიკავა (3587,81 ქულა მსოფლიო თასზე და 2981,90 ქულა ევროპაზე), ასევე პირველი იყო მსოფლიო თასზე ფიგურებში და ევროპაზე – ტრამპლინით (56.1 მეტრი) ასპარეზობაში, ხოლო იმავე მსოფლიო თასზე ტრამპლინში (53.8 მეტრი) მეორე იყო, რასაც ევროპაზე სლალომში მესამე ადგილიც მიუმატა. ტურნირის დასრულების შემდეგ ქართველი სპორტსმენი თბილისში ჩამოვიდა. საქართველოს წყალსათხილამურო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა **რომან მელიამ** გურალია სპორტულ მედიას 4 ნოემბერს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში წარუდგინა.

**რომან მელია:** *"გენადი გურალიას ქართული წყალსათხილამურო სპორტისათვის დიდი წარმატებები მოაქვს. იგი საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში იყო 1991 წელს, როდესაც ფოთში ევროპის ჩემპიონატი ჩავატარეთ. იქიდან მოყოლებული ვარჯიში არ შეუწყვეტია. სპორტული კარიერა საქართველოს მერე უცხოეთში განაგრძო. უკვე საკმაოდ სერიოზული სამწვრთნელო გამოცდილებაც დაუგროვდა, რამდენიმე წლის განმავლობაში ხელშეკრულებით ავარჯიშებდა საბერძნეთის ნაკრებს, დღეისათვის კი იტალიაში ცხოვრობს და ერთ-ერთი წამყვანი კლუბის მწვრთნელია."*

**გენადი გურალია:** *"სამწუხაროდ, 90-იან წლებში საქართველოში დატრიალებული ამბების გამო, ვარჯიშის უცხოეთში გაგრძელება მომიხდა. ყველა ტურნირზე იმ ქვეყნის დაფინანსებით გამოვდიოდი, სადაც ვმუშაობდი, თუმცა ყოველთვის საქართველოს სახელით. 1999 წელს საბერძნეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გავხდი და 6 წლის განმავლობაში გუნდს 30-მდე მედალი მოვაპოვებინე. პარალელურად ტურნირებში ვმონაწილეობდი, ოღონდ საქართველოს სახელით. აქტიურ სპორტულ კარიერას ამჟამადაც ვაგრძელებ, თან იტალიურ კლუბ "სან ჯერვასიო ბრეშიანოს" ვწვრთნი."*

**დავით ნამგალაური:** *"მადლობა გენადის ქვეყნისთვის გაწეული სამსახურისთვის. მას მარტო უწევდა შრომა და, რაც მთავარია, წარმატებებს აღწევდა. ასეთ სპორტსმენებს მეტი დაფასება სჭირდებათ. აქვე ბირთვის მკვრელ მარიამ ქევხიშვილსაც ვახსენებ, რომელმაც ასევე უცხოეთში ვარჯიშობს და სწორედ უცხოეთიდან მოუპოვა საქართველოს ოლიმპიური ლიცენზია. ამ სპორტსმენებს უყურადღებოდ არავითარ შემთხვევაში არ დავტოვებთ. წყალსათხილამურო სპორტი ლამაზი სახეობაა და შავიზღვისპირეთში, საკურორტო ზონებში მის განვითარებას აუცილებლად უნდა მივხედოთ."*

**გიორგი ჭანიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა





ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ფინალი: ლელო-ლოკომოტივი

**ლელო-ვისოლი ყოჩები 18:13**

ყოჩები (15-9) **ყიასაშვილი, ჯოგლიძე, თოდუა, ლომინაძე, ცერცვაძე, ხმალაძე, გოგია. (1-8) ყალიჩავა (სანიკიძე 59), ცხოვრებაშვილი, სუჯაშვილი, დაუშვილი, ვ. მაისურაძე, ი. მაისურაძე, კოლელიშვილი, სირბილაძე (აზალაძე 78).**

*2ლ: ხმალაძე, ლომინაძე. 2ს,გ: ჯოგლიძე.*

სინბინი: **თოდუა.**

ვისოლი ყოჩები: (15-9) **კაჭარავა, გეგენავა, პ.მაისურაძე (დადაშიანი 55), გრძელიშვილი, ს. ნიჟარაძე, მალალურაძე, ბეგაძე (ხელაძე 51). (1-8) გ.ნიჟარაძე, ბრეგვაძე, ასეიშვილი, თოთაძე, ბელაშვილი (კობახიძე 49), ცხადაძე, კალმახელიძე, დგებუაძე.**

*2ლ: ს.ნიჟარაძე (2). ს: მალალურაძე.*

მსაჯი: **ჟერომ ლამირანი (საფრანგეთი)**

საქართველოს ჩემპიონატის მცირე ფინალში, ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი „ვისოლი ყოჩები" უმძიმეს ბრძოლაში „ლელოსთან" - 13:18 დამარცხდა და მხოლოდ ბრინჯაოს მედლებს დასჯერდა.

მიხეილ მესხის სახელობის „ლოკომოტივის" სტადიონზე, ნახევარფინალურ მატჩებთან შედარებით ბევრად მეტ გულშემატკივარს მოეყარა თავი. ქომაგები აქტიურად ამხნევებდნენ თავიანთ გუნდებს და თამაშიც ისეთი გამოდგა, დიდი ხანია რომ ნატრობს ქართული რაგბის თემი. „ლელომ" გამარჯვება მეტოქეს უკანასკნელ წუთზე გატანილი ლელოთი გამოჰგლიჯა ხელიდან.

პირველი ტაიმის დასაწყისი თანაბარი გამოდგა. ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა ლელოელებს მერვე წუთზე მიეცათ, თუმცა გარემარბ **გოდერძი ჯოგლიძის** საჯარიმო დარტყმა მიზანს ასცდა. სამაგიეროდ, ათ წუთში „ყოჩების" დამრტყმელმა **ლაშა მალალურაძემ** შეძლო თავისიანების დაწინაურება. თუმცა ამ დროიდან მოყოლებული ნელ-ნელა უპირატესობა „ლელოს" ხელში გადავიდა. მე-20 წუთზე იმავე მალალურაძემ მიუტევებელი შეცდომა დაუშვა. მან ბურთი საკუთარი ლელოდან ხუთ მეტრში მიიღო და ფეხით მეტოქის ზურგს უკან გადატანა სცადა, მაგრამ ლელოელთა ათმა ნომერმა **ლაშა ხმალაძემ** დაუფარა. ბურთს იქვე დაეუფლა და ლელო კარის ძელებს შორის გაიტანა. გარდასახვა ახლო მანძილიდან ჯოგლიძემ ზუსტად დაარტყა - 7:3.

ეს ანგარიში დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში შენარჩუნდა. 35-ე და 37-ე წუთებზე ჯოგლიძემ კიდევ ორი საჯარიმოს გატანა შეძლო და ანგარიშში უპირატესობა, ასეთი თანაბარი ძალის მქონე გუნდების კვალობაზე საკმაოდ სოლიდური გახდა -13:3. აქვე უნდა აღინიშნოს მალალურაძემ ერთი საჯარიმო დარტყმა ვერ გამოიყენა.

მეორე ნახევარი პირველის სრული ანტიპოდი იყო. „ყოჩები" საგრძნობლად გააქტიურდნენ. თითქმის მთელი ტაიმი მათ მეტოქის მოედანზე გაატარეს. „ლელოს" დერეფანში თამაში აშკარად არ წაუვიდა. მათ ჯამში შვიდი საკუთარი დერეფანი წააგეს, რაც სათამაშო უპირატესობის დაკარგვის ფასად დაუჯდათ. თუმცა ანგარიშის შემცირება „ყოჩებმა" მხოლოდ 65-ე წუთზე შეძლეს. ისინი ჯერ მარჯვენა ფრთიდან უტევდნენ შერკინებით. სამჯერ დერეფანი ააგდეს. მაგრამ ლელოს დაცვას ძვრა ვერ უყვეს. მერე შეტევის მიმართულება შეცვალეს და მარცხენა ფრთა აიკლეს. ბოლოს ისევ ხუთმეტრიან დერეფანში ააგდეს ბურთი. მოლით მიაწვნენ. მერე იქიდან ბურთი სწრაფად მარცხენა მოკლე ფრთაზე გაიტანეს და გარემარბმა **სანდრო ნიჟარაძემ** ლელო კიდესთან ახლოს გაიტანა. მალალურაძემ გარდასახვა ვერ გამოიყენა - 8:13.

„ყოჩები" მიღწეულმა კიდევ უფრო გაამხნევა. თამაშის დასრულებამდე სამი წუთით ადრე შეცდომა უკვე ლელოს რვა ნომერმა **გელა სირბილაძემ** დაუშვა. მალალურაძემ ბურთი მოედნის საკუთარი ნახევრიდან მოწინააღმდეგის ოცდაორმეტრიან ზონაში დაჰკიდა. მას სირბილაძე დაეუფლა და ინდივიდუალურად სცადა „ყოჩების" ხაზის გაჭრა. არ გამოუვიდა. შებოჭეს და ბურთიც აართვეს. მალალურაძემ უმალვე მარცხნივ ისევ ნიჟარაძე ჩართო თამაშში, ვისი შეჩერებაც ლელოელებმა ისევ ვერ შეძლეს, მალალურაძემ გარდასახვა ისევ ვერ გაიტანა - 13:13.

თამაშის დასრულებამდე ორი წუთიღა რჩებოდა. ფრე ხელს „ყოჩებს" აძლევდა. ვინაიდან დებულების თანახმად გამარჯვებულად ის გუნდი ცხადდება, ვინც შეხვედრაში მეტი ლელო გაიტანა. ლელოებით წინ „ყოჩები" იყო - 2:1.

თუმცა საქმე აქამდე არ მივიდა. მატჩის დასრულებამდე ერთი წუთი რჩებოდა. „ლელომ" მოედნის ცენტრიდან შერკინების მოკლე დარტყმებით შეუტია. თხუთმეტიოდე მეტრი წინ წაიწიეს. მერე **ლევან გოგიამ** რაკიდან ბურთი მარჯვნივ ხაზზე ლაშა ხმალაძეს გაუტანა. ამან კიდევ უფრო კიდისკენ გოდერძი ჯოგლიძეს გადააწოდა, რომელმაც წამზე უსწრაფესად აუარა გვერდი რამდენიმე მეტოქეს. თითქმის ლელოს ხაზამდე ირბინა. აქ მას მოწინააღმდეგე წამოეწია, შებოჭეს კიდეც, მაგრამ გოდერძიმ ბოჭვისას, ბურთის **გიორგი ლომინაძისთვის** ამოგდება მოასწრო. „ლელოს" შუამარბის შეჩერება კი „ყოჩების" დაცვამ ვერაფრით შეძლო. გარდასახვა ჯოგლიძემ ვერ გაიტანა 18:13, მაგრამ დარჩენილ ერთი წუთში ხუთქულიანი უპირატესობის შენარჩუნება ლელოელებმა მაინც მოახერხეს.

ამრიგად, ჩემპიონის ტიტულისთვის 9 ნოემბერს ერთმანეთს „ლელო" და „ლოკომოტივი" დაუპირისპირდებიან.

# საგზური ორია, პრეტენდენტი ხუთი

8 ნოემბერს 2009-10 წლების ერთა თასის გათამაშება იწყება, რომელიც იმავდროულად 2011 წელს ზელანდიაში გასამართი მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირიცაა. შეგახსენებთ, რომ ზელანდიის საგზურს, ერთა თასის გათამაშების ორი საუკეთესო გუნდი მიიღებს. მესამეს კი, რეპეშაჟში მოუწევს ურთიერთობის გარკვევა სამხრეთ ამერიკის ასევე ხელმოცარულთან.

წლეულს ერთა თასზე ორი შეხვედრა გაიმართება. 8 ნოემბერს მოსკოვში რუსები ესპანეთს უმასპინძლებენ. ერთი კვირის თავზე კი, უკვე ესპანელები მიიღებენ მადრიდში გათამაშების დებიუტანტ გერმანიას. ამათ გარდა ბორჯღალოსნების მეტოქეები რუმინეთისა და პორტუგალიის ნაკრები გუნდები იქნებიან.

მსოფლიო თასის ეს შესარჩევი ტურნირი ალბათ ყველა განვლილზე მეტად საინტერესო და დაძაბული იქნება. ორი გამსვლელი ადგილისთვის სავარაუდოდ ერთბაშად ხუთი გუნდი იბრძოლებს. მთლად მაჩანჩალა, წესით, არც დებიუტანტი გერმანია უნდა იყოს. თუმცა სრული წარმოდგენა ამ გუნდზე არ გვაქვს, ვინაიდან გერმანელები აქამდე რანგით დაბალ დივიზიონში ასპარეზობდნენ.

თუმცა, მოდით, ყველა მოწინააღმდეგის პლუს-მინუსები ცალ-ცალკე მიმოვიხილოთ. დავიწყოთ გერმანიით. ეს ქვეყანა სარაგბო ამქარში გარევას ახლაღა იწყებს. რაგბი აქ ძირითადად სამოყვარულო დონეზეა. თუმცა, როგორც გერმანელებს სჩვევიათ, ყველაფერი კარგად ორგანიზებული და დაწყობილ-დალაგებული აქვთ. ერთი ძირითადი, ეროვნული ფედერაციის გარდა, არსებობს რეგიონული ფედერაციები, რომლებიც დამოუკიდებლად ატარებენ რეგიონის პირველობებს. ძირითადი ფედერაციის პრეროგატივა კი, ქვეყნის ჩემპიონატის პირველი და მეორე ბუნდესლიგების გათამაშების ორგანიზებაა.

პირველი ბუნდესლიგა ორ ზონადაა გაყოფილი. ჩრდილოეთ და სამხრეთ ზონებში რვა-რვა გუნდი ასპარეზობს. 12 გუნდი თამაშობს მეორე ბუნდესლიგაში. რაც მთავარია, ყველა კლუბს აქვს თავისი როგორც სავარჯიშო, ასევე სათამაშო მოედანი. ჰყავთ სპონსორები და აქვთ კლუბის სტაბილური ბიუჯეტი. ერთი სიტყვით, სისტემა აწყობილია, ახლა ისღა დარჩენიათ, რაგბის თამაში ისწავლონ. პერსპექტივაში გერმანია შეიძლება დიდ სარაგბო ქვეყნად გადაიქცეს, მაგრამ ამჟამად ერთა თასზე მოასპარეზე ქვეყნებთან კონკურენციას, ძნელად დასაჯერებელია, გაუძლოს.

ანალიზის შემდეგი ობიექტი, წინა გათამაშების მეორეადგილოსანი რუსეთის ნაკრებია. რუსებს ალალად სჯერათ, რომ მსოფლიო თასზე ელიტარულ ქვეყნებთანაა მათი ადგილი. ამის მიღწევის მიზნით რუსული რაგბის მამებმა რამდენჯერმე გამოცვალეს ნაკრების უცხოელი მწვრთნელები. აფრიკელები ბოლოს ჩვენთვის კარგად ნაცნობმა ფრანგმა **კლოდ სორელმა** შეცვალა. მაგრამ, საქართველოს ნაკრების დამარცხება, შორეულ ციმბირში, მუხლებამდე თოვლში მისი დახმარებითაც რომ ვერ შეძლეს, თანამდებობა დაატოვებინეს. ახლა რუსთა გუნდს ქვეყნის მოქმედი ჩემპიონის მონინოს „ვვას" თავკაცი **ნიკოლაი ნერუში** წვრთნის.

რუსეთის რაგბის შესაძლებლობები მწირი სულაც არაა. მაგალითისთვის ორი კრასნოიარსკული კლუბის ბიუჯეტის შედარებაც გამოდგება. „ენისეის" მარტო სახელმწიფო წელიწადში 600 ათასი ამერიკული დოლარით ეხმარება. მისი კონკურენტი „კრასნი იარი" კი მილიონ 200 ათას დოლარს იღებს სახელმწიფოსგან. ამას დაუმატეთ სპონსორთა მთელი არმია და ნათელი გახდება, რაოდენ უზრუნველყოფილნი არიან ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ოვალური ბურთით თამაშის ოსტატები. ერთი სიტყვით, რუსები ოცნების ასასრულებლად, დაამარცხონ საქართველოს ნაკრები და ითამაშონ მსოფლიო თასზე, არაფერს იშურებენ. საგულისხმოა, რომ IRB-მოთხოვნით საქართველოსა და რუსეთის ნაკრები გუნდების ორივე შეხვედრა ნეიტრალურ მოედანზე გაიმართება.

შემდეგი რიგში ჩვენი მუდმივი თავის ტკივილი რუმინეთის ნაკრებია. ბორჯღალოსნებთან ერთად ისინი მსოფლიო თასზე მოხვედრის ყველაზე რეალური კანდიდატები არიან. საფრანგეთში გამართული მსოფლიო თასის მერე, პირველი, რაც რუმინული რაგბის მამებმა გააკეთეს, ისაა, რომ ნაკრების ფრანგული მწვრთნელთა **სტაფი,** ზელანდიურით შეცვალეს. ამასთან ორი ზელანდიელი და ერთი სამოელი მორაგბეც ჩამოიყვანეს ნატურალიზაციის მიზნით. თუმცა „მუხის ფოთლების" დახმარებას ისინი მხოლოდ სამი წლის მერე შეძლებენ.

რუმინეთის ნაკრებში ახლა თაობათა ცვლის პროცესია. მთლიანად შეიცვალა უკანა ხაზი. შერკინების მოთამაშეთა ნაწილმა რაგბიდან წასვლა გადაწყვიტა, ნაწილმაც კი, სარაგბო კარიერის დასრულებაზე გააკეთა განცხადება. ასეა თუ ისე, ყველაფრის მიუხედავად რუმინეთის ნაკრები მაინც ყველაზე ანგარიშგასაწევი ძალაა.

მსოფლიო თასზე შარშან დებიუტი ჰქონდა პორტუგალიის ნაკრებსაც. ეს გუნდი ნელ-ნელა გაიზარდა. უკვე საკმაოდ სერიოზულ ძალად იქცა. როგორც ყველა სამხრეთული ქვეყნის წარმომადგენლისთვის, მათი ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ბოლომდე შეუპოვარი ბრძოლაა. პორტუგალიის ნაკრების აღმასვლა, მის სათავეში პროფესორ **ტომაშ მორაეშის** მოსვლას უკავშირდება. ის უკვე ექვსი წელია ამ გუნდს თავკაცობს და როგორც თვითონ მიაჩნია, ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება და მიღწევა შეუძლია.

თაობათა ცვლა, ცხადია, ამ ნაკრებშიც შეინიშნება. ამიტომ ძნელი სათქმელია დღეისათვის რა ძალას წარმოადგენს პორტუგალიელთა კრებული. თუმცა ერთი რამ ცხადია, ისინი ყოველთვის ითვლებოდნენ ბორჯღალოსნების უხერხულ მეტოქედ და მათი ძლევა ყოველთვის ჭირდა.

შიდა ინფრასტრუქტურა პორტუგალიელებსაც წესრიგში აქვთ. ოღონდ ესაა, საშინაო ჩემპიონატის დაბალ დონეს უჩივიან. იმისათვის, რომ რაგბი უფრო პოპულარული გახადონ და დონემაც აიწიოს, მეზობელ ესპანეთთან ზიარი ჩემპიონატის ჩატარება განუზრახავთ. რა გამოვა ამ ჩანაფიქრიდან, წინასწარ ძნელი სათქმელია. თუმცა ის, რომ ეს ხალხი ქვეყანაში რაგბის კიდევ უფრო მეტად განვითარებაზე ზრუნავს და მიღწეულით არ კმაყოფილდება, აშკარაა.

მომავალ გათამაშებაში პორტუგალიაზე არანაკლებ ძალას წარმოაჩენს უკვე ნახსენები მათი მეზობლები. ესპანეთის ნაკრები ერთადერთი გუნდია, რომელმაც განვლილ ერთა თასზე საქართველოს ნაკრების დამარცხება შეძლო. ამ გუნდს უკვე ოთხ წელიწადზე მეტია ინგლისელი სპეციალისტი **გედ გლინი** წვრთნის. არც ის დაგავიწყდეთ, რომ პირინეელებს მსოფლიო თასზე თამაშის გამოცდილებაც გააჩნიათ. თუმცა იმ შემადგენლობიდან აღარავინ დარჩა.

ესპანელებმა რაგბის სერიოზულად რომ მიხედეს, დასტურად მათი საუკეთესო გუნდის, „ელ სალვადორის" ევროპული თასების გათამაშებაში ასპარეზობაც კმარა. მართალია, ისინი ჯერ კიდევ ასტრონომიული სხვაობით მარცხდებიან, მაგრამ დროთა განმავლობაში, ევროპის უძლიერეს კლუბებთან პაექრობაში მეტად გამოიწრთობიან, დონეს აიმაღლებენ. ერთი სიტყვით, უფრთხილდით ესპანელ „ლომებს".

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# ეს რა მოპაჭიჟება იყო?

გასულ კვირაში ლვოვში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში ორი ქართველი საერთაშორისო ოსტატის – **მალხაზ სულაშვილისა** და **გიორგი მარგველაშვილის** მონაწილეობაზე მოგითხრეთ. იმ დროისთვის ტურნირის ნახევარი იყო გასული და ჩვენებურთა პოზიციები სახარბიელო ნამდვილად არ ჩანდა. შეჯიბრება საკმაოდ ხანგრძლივი და დამღლელი გამოდგა. თექვსმეტი მონაწილე ერთმანეთს წრიულად შეხვდა და თხუთმეტი პარტიის თამაში გახდა საჭირო; ვითომ დროის დაზოგვის მიზნით კი დღეში ორ პარტიას თამაშობდნენ. ასეთი დატვირთვის გაძლება ნებისმიერს გაუჭირდებოდა და აკი ვერც შეძლეს ქართველებმა მედგრად დგომა. მართალია, მათ მსგავსი დატვირთვით თამაშის გამოცდილება ჰქონდათ, მაგრამ გარდა სატურნირო დაძაბულობისა, სხვა პრობლემებმაც იჩინა თავი. ორგანიზატორებს, რომლებმაც პერსონალურად მიიწვიეს ჩვენებურები, პირი გაუტეხავთ და ქართველები, ნაცვლად ოთხვარსკვლავიანისა, არაკომფორტულ სასტუმროში მოუთავსებიათ. ეს კიდევ არაფერი, - სასტუმრო სათამაშო დარბაზიდან ერთი საათის სავალზე ყოფილა და მგზავრობის პრობლემაც მოჭადრაკეების გადასაწყვეტი გამხდარა- ხარჯის ჩათვლით... ვერც ის გახდა გასაგები, თუ რატომ გადაისროლეს ქართველი მოჭადრაკეები ასე შორს, ხოლო ყველა დანარჩენი მონაწილე დარბაზთან ახლოს, კომფორტულ საერთო საცხოვრებელში მოათავსეს. მოკლედ, ყოვლად უპასუხისმგებლოდ მოექცნენ ქართველებს და ის უფრო გასაკვირია, პროტესტის ნიშნად რატომ არ დატოვეს ჩვენებმა ტურნირი. ეს ამბავი ჩვენთვის სულაშვილისა და მარგველაშვილის საქართველოში დაბრუნების შემდეგ გახდა ცნობილი. ცხადია, ტურნირის ოფიციალური საიტი მსგავს საკითხებზე არაფერს დაწერდა. არადა, ძალიან კი გვსურდა გაგვეგო, რატომ თამაშობდა ასე სუსტად მალხაზ სულაშვილი, რომელმაც მართლაც შეუფერებელი – ბოლო, მეთექვსმეტე ადგილი დაიკავა ოთხი ქულით(?!). გიორგიმ შედარებით კარგი შედეგი აჩვენა, მაგრამ თხუთმეტი შესაძლებლიდან 8 ქულის მოგროვება და მერვე ადგილი ნამდვილად ცოტაა მისი კვალიფიკაციის მოჭადრაკისთვის.

რაც არის, ეს არის. ანი ველარაფერს შევცვლით, მაგრამ გაკვეთილად კი უნდა გამოდგეს მომხდარი. მასპინძლებსაც მეტი პატივისცემა უნდა მოსთხოვონ სპორტსმენებმა და გამგზავრებამდეც ყველამ ყველაფერი უკეთ უნდა აწონ-გაზომოს...

ტურნირის გამარჯვებული კი უკრაინელი **იაროსლავ ვოვკი** გახდა 12 ქულით და ერთადერთმა დიდოსტატის ნორმაც შეასრულა.

**ზვიად შათირიშვილი**

# ორდღიანი ფიასკო

ბარსელონაში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც კაზინო „ბარსელონა" სპონსორობს, ქართველთა პირველი ნომერი მოჭადრაკე **ბაადურ ჯობავა** ცდის ძალებს. 3 ტურის შემდეგ ბაადური 3 ქულით იწონებდა თავს და საერთო გამარჯვებისთვის უდიდესი ნაბიჯი ჰქონდა გადადგმული წინ. მართალია, მეტოქეები რეიტინგით ჩამორჩებოდნენ ჩვენებურს, მაგრამ ძლიერი დიდოსტატები არიან და მათი დამარცხება იოლი საქმე არ იყო. მთავარი ბრძოლები ჯობავას მეოთხე და მეხუთე ტურში უწევდა, როცა ჯერ ტურნირის პირველ ნომერს რუს **ალექსეი დრეევს** უნდა შეხვედროდა, მერე მესამე ნომერ ბულგარელ **კირილ გეორგიევს**. რუსთან თეთრები ქართველის იყო და წარმატების იმედი გვქონდა, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად ბაადურმა უსწრაფესად, 25 სვლაში წააგო. ქართველმა დიდოსტატმა აშკარად გადაამლაშა პოზიციის შეფასებაში და ისე დათმო პაიკი, წარბიც არ შეუხრია. ცხადია, ამის საპირისპიროდ მეტოქის მეფეზე შეტევა უნდა განეხორციელებინა, მაგრამ ვერც ეს მოახერხა, არადა, გარკვეული კომპენსაცია თითქოს ჰქონდა. ძალიან არ ჰგავდა იმ დღევანდელი ჯობავა წინა დღეებისას, როცა მეტოქეები შესანიშნავ სტილში, კომბინაციური თამაშით დაამარცხა. ერთ წაგებას კიდევ არა უშავს, მაგრამ როცა მეორესაც ზედ მიაყოლებ, უკვე საგანგაშო ხდება. თუმცა, ალბათ, ამ შემთხვევაში, დრეევთან უგერგილოდ წაგებულმა პარტიამ ითამაშა გადამწყვეტი როლი, - ბაადურმა მწარე მარცხი ვერ დაივიწყა... ასეა თუ ისე, მეორე მთავარ კონკურენტთანაც წააგო და აშკარად გამოკვეთილი ლიდერობიდან მესამე-მეხუთე ადგილებამდე ჩამოქვეითდა. პირველ-მეორე ადგილებს დრეევი და გეორგიევი ინაწილებენ 3,5-3,5 ქულით. ბაადურთან ერთად მესამე-მეხუთე ადგილებს ესპანელი **ხუან ლოპესი** და ბულგარელი ქალბატონი **ანტუანეტა სტეფანოვა** იყოფენ. მეექვსე – მეშვიდე ადგილებზე 2, 5 ქულით ამერიკელი **ბორის გულკო** და კუბელი **კორალესია**; მეორე კუბელ **ოლდენ ერნანდესს** 2 ქულა აქვს და მერვეზეა. მეცხრე ადგილს 1,5 ქულით ესპანელი **მარკ ნარცისო** იკავებს, ბოლოზე კი ებრაელი **არტურ კოგანია** 0,5 ქულით.

**ზვიად შათირიშვილი**

ჩოგბურთი

# ტატიშვილი განთესილია

საქართველოს პირველი ჩოგანი **ანა ტატიშვილი** (167) ალაბამას შტატის ქალაქ ოუბერნის საერთაშორისო ტურნირში (50 ათასი დოლარი) მე-6 ნომრადაა განთესილი. ანა კვებეკში, WTA-ს წლის უკანასკნელი ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში მარცხის მერე ამერიკაში დაბრუნდა. პირველ წრეში ქართველის მეტოქე **ანჯელა ჰეინესია** (აშშ, 151). როგორც ხედავთ, ანას კენჭისყრამ ნაკლებად გაუმართლა – განთესილს რეიტინგში მასზე წინ მდგომი მეტოქე შეხვდა, თანაც მსოფლიოს საუკეთესო ასეულის ყოფილი წევრი. ამ ჩოგბურთელთა ურთიერთშეხვედრებში ფრეა, შარშან ლას-ვეგასში 24 წლის ამერიკელმა იმარჯვა, დოტენში – 18 წლის ქართველმა. წყვილთა ბადეში ანა ტატიშვილი ამერიკელ **მედისონ ბრენგლს** (224) შეუწყვილდა.

**მაკა ჩახნაშვილი** (222) გერმანულ ისმანინგში ითამაშებს, სადაც ასევე 50-ათასიანი ტურნირი გაიმართება. პირველ წრეში ჩვენებურს რუსი **ეკატერინა ივანოვა** (159) ეთამაშება. მიუხედავად იმისა, რომ 21 წლის რუსი გაცილებით წინაა რეიტინგში, წინა სამი მატჩი ამ ორ ჩოგბურთელს შორის მაკამ მოიგო. წყვილთა ბადეში ჩახნაშვილი უკრაინელ **იულია ბეიგელციმერთან** ერთად მე-2 ნომრადაა განთესილი.

ესპანეთში, ბალეარის კუნძულებზე მალიორკას საერთაშორისო ტურნირის (10 ათასი დოლარი) ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში **ანა ჯიქიამ** პირველ ნომრად განთესილ გერმანელ **ვალენტინა შტეფანთან** (816) წააგო – 1:6, 1:6 და ვერ მოხვდა ძირითად ბადეში, სადაც რეიტინგის წყალობით პირდაპირ დაუშვეს 16 წლის **ეკა გორგოძე** (700). კენჭისყრამ მას პირველივე წრეში პირველ ნომრად განთესილი იტალიელი **ანა ფლორისი** (235) შეახვედრა.

# ტურსუნოვამდე ცოტა დააკლდა

16 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** ყაზახეთში „პრეზიდენტის" თასზე „უაილდ ქარდით" დაუშვეს. ტურნირის საპრიზო ფონდი 75 ათასი ამერიკული დოლარია, ნიკა პირველად თამაშობდა „ჩელენჯერის" სერიის ტურნირის ძირითად ბადეში. მისი პირველი მეტოქე 22 წლის კორეელი **ვონ-სუნ იუნი** (255) იყო. ბასილაშვილმა პირველი სეტი მოუგო ფავორიტს – 6:3, თუმცა სენსაცია არ შედგა, ახალბედა ქართველს ენერგია არ ეყო რეიტინგში მასზე ათასი ადგილით წინ მდგომ ჩოგბურთელთან ბრძოლაში – 6:3, 0:6, 4:6. არადა მერვედფინალში მას რუსი **დიმიტრი ტურსუნოვი** ელოდა, მსოფლიოს 26-ე ჩოგანი.

**ლაზარე კუხალაშვილი** ირანის ქალაქ ქიშის ტურნირში (10 ათასი დოლარი) თამაშობდა. სამწუხაროდ, ლაზარემ პირველ წრეში წააგო მე-5 ნომრად განთესილ რუს **ვალერი რუდნევთან** (482) სამ სეტში – 3:6, 6:2, 2:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ველოსპორტი

# ნადირაძე ტრეკზეც პირველია

თბილისის ველოტრეკზე საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა თბილისელმა და ქუთაისელმა ველომრბოლელებმა მიიღეს. ამ ველოტრეკზე ეს ბოლო ტურნირი იყო, რადგან ველოსიპედისტები მალე დიდ დიღომში, კომპანია „ვისოლის" მიერ აშენებულ ტრეკზე გადავლენ. მშენებლობა ორ-სამ თვეში უნდა დასრულდეს. მომავალში იგი ადგილობრივ და საერთაშორისო შეჯიბრებებს უმასპინძლებს. მასზე თანამედროვე ხის საფარი დაიგება.

**გიორგი ნადირაძემ** ოთხიდან სამი სტარტი დიდი უპირატესობით მოიგო და საქართველოს ჩემპიონი გახდა. აღსანიშნავია, რომ მან ამ წარმატებას სამხედრო სავალდებულო სამსახურის პარალელურად მიაღწია. თანადგომისთვის იგი მადლობას უხდის გლდანი-ნაძალადევის დაცვის პოლიციის სამმართველოს უფროსს, ვიცე-პოლკოვნიკ **ოთარ ქამხაძეს**.

ქების ღირსია ქუთაისის გუნდიც, რომლის წევრმა **ნოდარ ყვავაძემ** საერთო ჩათვლაში მეორე ადგილი დაიკავა. ჭაბუკებში ქვეყნის პირველობა **გიორგი ნარეკლიშვილმა** მოიგო.

**დიდები**

**1 კმ გიტი ადგილიდან**

1. გიორგი ნადირაძე (თბილისი)
2. ნოდარ ყვავაძე (ქუთაისი)
3. გიორგი ჩიტაშვილი (თბილისი)

**3 კმ ინდივიდუალური რბოლა**

1. გიორგი ნადირაძე (თბილისი)
2. სანდრო ხუციშვილი (თბილისი)
3. ნოდარ ყვავაძე (ქუთაისი)

**ჯგუფური რბოლა**

50 წრე ერთი ფინიშით

1. გიორგი ნადირაძე (თბილისი)
2. ნოდარ ყვავაძე (ქუთაისი)
3. ჯულხა არაბული (თბილისი)

**სპრინტი**

1. ნოდარ ყვავაძე (ქუთაისი)
2. გიორგი ჩიტაშვილი (თბილისი)
3. გიორგი ნადირაძე (თბილისი)

**ოთხი სახეობის ჯამი**

1. გიორგი ნადირაძე (თბილისი)
2. ნოდარ ყვავაძე (ქუთაისი)
3. გიორგი ჩიტაშვილი (თბილისი)

**ჭაბუკები**

**200 მ გიტი**

1. გიორგი ნარეკლიშვილი (თბილისი)
2. ირაკლი ბაგლიძე (თბილისი)
3. ნიკა სუხიშვილი (თბილისი)

**500 მეტრი გიტი ადგილიდან**

1. გიორგი ნარეკლიშვილი (თბილისი)
2. ირაკლი ბაგლიძე (თბილისი)
3. ნიკა სუხიშვილი (თბილისი)

**ინდივიდუალური რბოლა 2 კმ**

1. გიორგი ნარეკლიშვილი (თბილისი)
2. ირაკლი ბაგლიძე (თბილისი)
3. ნიკა სუხიშვილი (თბილისი)

**სამი სახეობის ჯამი**

1. გიორგი ნარეკლიშვილი (თბილისი)
2. ირაკლი ბაგლიძე (თბილისი)
3. ნიკა სუხიშვილი (თბილისი)

**ლევან ჯანეზაშვილი**

ქართული საბრძოლო ხელოვნება

# ტრადიციების კვალდაკვალ

ამ დღეებში ბათუმში ქართული საბრძოლო ხელოვნების კავშირის ეგიდით, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, ქართულ ჭიდაობაში ტურნირი გაიმართა თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, წყალტუბოს, თერჯოლის, სოფ. ზარათის და ზესტაფონის ასამდე სპორტსმენის მონაწილეობით. შეჯიბრება ჩატარდა განმასხვავებელი წესით - მებრძოლი მუდამ ფეხზე უნდა იდგეს, დაცემა კი სიკვდილის ტოლფასია. ვინც მეტჯერ დააგდებს მოწინააღმდეგეს, გამარჯვებულიც ის რჩება. *„ქართული საბრძოლო ხელოვნება არა მარტო სპორტია, არამედ ეს არის დამკვიდრებული ქართულ ტრადიციებზე, ზნეობასა და მორალზე. აქ ადამიანი ვითარდება, როგორც ფიზიკურად, ასევე იკვებება ქართული სულიერებით. ეს ყველაფერი მოპოვებულია, ექსპედიციების შედეგად, ვგეგმავთ გავიდეთ მაღალმთიან აჭარაში, მოვიძიოთ ამ კუთხის დამახასიათებელი ნიშა, რათა შევინარჩუნოთ ძველი ქართული საბრძოლო ხელოვნება. მაგრამ ამისთვის საჭიროა დაფინანსება. ასევე ფინანსები გვჭირდება, რომ აჭარაში შევქმნათ ქართული საბრძოლო ხელოვნების თეატრი და შევიძინოთ ხმლები, ფარები, შუბები, ხანჯლები, სატევრები და ხევსურული ტალავარი, რაც ქართული საბრძოლო ხელოვნების სამოსი გახლავთ. ქართული საბრძოლო ხელოვნება ერს სულიერად და ფიზიკურად ჩამოყალიბებულ ვაჟკაცებს უზრდის, რაც ქართული საქმეა და მას ყველა უნდა აფინანსებდეს. ქართულ საბრძოლო ხელოვნებას, რა თქმა უნდა, კავშირი აქვს რელიგიასთან. საქართველო მართლმადიდებლური ქვეყანაა, მაგრამ ეგ დოგმა არ არის, აჭარაში ცხოვრობენ მუსულმანებიც და ჩვენთან რელიგიური ნიშა არ არსებობს. ჩვენი მიზანია ქართული ღირებულებების მიტანა ბავშვებამდე, ამისთვის ბათუმში ორი ბრწყინვალე მწვრთნელი, სტიქაროსნები ზვიად ჯაფარიძე და ილო ჩაკვეტაძე გვყავს."*-თქვა კავშირის ბათუმის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა **გოჩა გოგიბერიძემ**.



*„საბრძოლო ხელოვნების თეატრი იმიტომ ჩამოყალიბდა, რომ საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია კულტურული ფასეულობების შესახებ, რაც მრავალი საუკუნის განმავლობაში არსებობდა და მიზეზთა გამო დავიწყებას მიეცა. ხშირად გვაქვს საზღვარგარეთ გასვლები და თეატრი დიდი მოწონებითაც სარგებლობს. ახლაც კინოფესტივალი "ოქროს ცხენი" ჩვენი თეატრის სპექტაკლით გაიხსნა. 2006 წელს გერმანიაში, ლოფტის თანამედროვე ხელოვნების თეატრში გვქონდა 40-წუთიანი სპექტაკლი, რომელმაც ანშლაგით ჩაიარა.*

*ჩვენი დევიზია სიბრძნე, სიმართლე და ძალა ანუ სიბრძნე თავისთავად ძალაა, ძალა კი სიბრძნის გარეშე არ მოიპოვება, ხოლო სიმართლის გარეშე ძალა და სიბრძნე არასწორად გამოყენებული ძლიერი იარაღია. ეგ სამი სიტყვა ასახავს თუ რა გზას ვადგავართ. როგორებიც ვართ სცენაზე, ვცდილობთ ისეთები ვიყოთ ცხოვრებაშიც, ხელოვნება ხომ ადამიანის ცხოვრების შედეგია."*- ამბობს ექსპერტი **გიორგი ნიწრიაშვილი**.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს:

2001 წ. დაბადებულები: 1. ნიკოლოზ კუხიანიძე, 2. რატი კუხიანიძე (ორივე - ქუთაისი), 3. ვახტანგ მეფარიშვილი (ბათუმი); 1996 წ. დაბადებულები: 1. გიორგი ჯაში (ბათუმი), 2. სანდრო ბზიკაძე (ქუთაისი), 3. ანრი ჭუმბურიძე (რუსთავი); 1997 წ. დაბადებულები: 1. გიორგი კუპრაძე (ბათუმი), 2. თორნიკე ახალაძე (ბაღდათი), 3. რეზო კუხიანიძე (ქუთაისი); 1998 წ. დაბადებულები: 1. საბა კინწურაშვილი, 2. სოსო ყუფარაძე, 3. ვახტანგ ფუთურიძე (სამივე - ქუთაისი); 1995 წ. დაბადებულები: 1. სანდრო გაგუა (თბილისი), 2. ბექა მამასახლისი (ქუთაისი), 3. მათე სოხაძე (თბილისი); 1994 წ. დაბადებულები: 1. გიორგი სორაძე (ბათუმი), 2. გრორგი ქავთარაძე, 3. სანდრო ჭეიშვილი (სამივე - თბილისი); 1993 წ. დაბადებულები: 1. გიორგი სოხაძე (ბათუმი), 2. ბექა ბენიძე, 3. ბექა ჩხობაძე (ორივე - ქუთაისი); 1992 წ. დაბადებულები: 1. გიორგი აფრიაშვილი (თბილისი), 2. გიორგი ნიკელაძე (ქუთაისი), 3. ირაკლი კუხიანიძე (თბილისი); 1990-91 წ. დაბადებულები: 1. რატი ჭელიძე (ბათუმი), 2. თემურ ოჩიგავა, 3. ირაკლი ტყეშელაშვილი (ორივე - ქუთაისი); 1989-წლიანები და უფროსები: 1. თორნიკე სოხაძე (თბილისი), 2. დათო ჭელიძე (ბათუმი), 3. საბა აფხაიძე (ქუთაისი).

**მირანდა მიქაძე**
ბათუმიდან

# შავი ზღვა 12 ქვეყანას გააერთიანებს

რუმინეთის ქალაქ პოიანა ბრაშოვში 28-30 ოქტომბერს შავი ზღვის აუზის ქვეყნების სპორტული თამაშების ადმინისტრაციული კომიტეტის სხდომა გაიმართა, სადაც 2010 წლის თამაშების დეტალები და სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხი განიხილეს. ბოლოს კი შავი ზღვის აუზის ქვეყნების სპორტული თამაშების აღმასრულებელი ორგანოს – კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე დახურული კენჭისყრით, ამავე კომიტეტის წევრი – **თამაზ თევზაძე** აირჩიეს.

თამაზ თევზაძე ჟურნალისტებს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში შეხვდა. პრესკონფერენციას დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე **გია გალდავა** და ანტიდოპინგური სააგენტოს პრეზიდენტი – **პაველ კასრაძეც** დაესწრნენ.

**თამაზ თევზაძე:** *„შავი ზღვის აუზის ქვეყნების მეორე სპორტული თამაშები 2010 წლის 20-27 ივნისს რუმინეთის საპორტო ქალაქ კონსტანცაში გაიმართება.*

*თამაშები, სადაც მონაწილეობას მიიღებს შავი ზღვის აუზის 12 ქვეყანა – რუმინეთი, საქართველო, რუსეთი, ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, საბერძნეთი, სერბეთი, მოლდოვა, თურქეთი, უკრაინა და ბულგარეთი - 10 სახეობაში ჩატარდება.*

*ეს სახეობებია: ფეხბურთი (ბიჭები), კალათბურთი (ბიჭები), ფრენბურთი (გოგონები), მძლეოსნობა (ბიჭები, გოგონები), ველოსპორტი (ბიჭები), მხატვრული ტანვარჯიში (გოგონები), ცურვა (ბიჭები, გოგონები), თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (ბიჭები, გოგონები), ძალოსნობა (ბიჭები, გოგონები), აფროსნობა (ბიჭები). თამაშებში სპორტსმენები 18 წლის ჩათვლით დაიშვებიან. პოიანა ბრაშოვში მომავალი თამაშების შესახებ დეტალურად ვიმსჯელეთ, რასაც კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტის არჩევნები მოჰყვა. ამ პოსტზე საქართველოსა და რუსეთს ჰყავდათ კანდიდატურები და საბოლოოდ კომიტეტმა ჩემს კანდიდატურას დაუჭირა მხარი".*

შეგახსენებთ, პირველი სპორტული თამაშები შარშან ტრაბზონში ჩატარდა, სადაც საქართველოს ჩათვლით 11 ქვეყანა მონაწილეობდა. ჩვენებმა 6 ოქროს, 8 ვერცხლისა და 20 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს და გუნდური მე-6 ადგილი დაიკავეს. გია გალდავას თქმით, საქართველო 2010 წლის თამაშებისთვისაც მაქსიმალურად კარგად მოემზადება და ისევე როგორც 2007 წელს, კვლავ მაღალი შედეგებისთვის იბრძოლებს.

**გიორგი ჭანიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ნიუ ჯერსი-ბაფალო 0:2**

0:1, 0:0, 0:1

გოლები: 0:1 პომინვილი-4 (შპაჩეკი-7, კოტალიკი-5), 0:2 კალეტა-1 (სეკერა-8, შპაჩეკი-8).

**აილენდერსი-კოლამბუსი 4:3 (ო)**

0:0, 3:0, 0:3, 1:0

გოლები: 1:0 პარკი-1 (ჰანტერი-4), 2:0 გერინი-5 (პარკი-5, ჯ. მაკდონალდი-1), 3:0 კამპოლი-1 (კომრი-5, ჰანტერი-5), 3:1 მეტოტი-2 (ნოვოტნი-3, ბოლი-1), 3:2 უმბერგერი-2 (ნეში-3, ტიუტინი-3), 3:3 უმბერგერი-3 (ჰუსელიუსი-5, მოდინი-4), 4:3 კამპოლი-2 (კომრი-6).

**ჩიკაგო-კოლორადო 6:2**

0:1, 2:0, 4:1

გოლები: 0:1 გიტი-2 (ბ. კლარკი-1, ფუტი-1), 1:1 ლედი-2 (ბიფიგლენი-3, ბოლანდი-5), 2:1 ბრაუერი-1 (შარპი-7, ა. ჯონსონი-3), 3:1 ბარკერი-2 (ბ. კემპბელი-7, კეინი-8), 3:2 ჰეიდუკი-8 (რ. სმიტი-4, ლაილსი-4), 4:2 შარპი-8 (ტეუვზი-7, ლედი-2), 5:2 ლედი-3 (ბიფიგლენი-4, ბოლანდი-6), 6:2 შარპი-9 (კეინი-9, სიბრუკი-2).

### კვირის მოთამაშეები

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველი ვარსკვლავი ვერ გამოავლინა და ეს სტატუსი "ანაჰაიმ დაქსის" ფორვარდთა ტრიოს მიანიჭა. ესენი არიან **რაიან გეტცლაფი, კორი პერი** და **ტეემუ სელიანე**. ამ სამეულმა 4 მატჩში 28 ქულა დააგროვა.

გეტცლაფმა 10 ქულა (2+8), პერიმ (2+7) და სელიანემ (6+3) კი ცხრა-ცხრა ქულა მიითვალეს.

მეორე ვარსკვლავის სტატუსი "ბოსტონ ბრუინზის" გოლკიპერ **ტიმ ტომასს** ერგო. ოთხ მატჩში ამ მეკარემ სამჯერ გაიმარჯვა და ერთი შეხვედრა დათმო. ტომასი საშუალოდ 0.99 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 97.0 პროცენტს იგერიებდა.

მესამე ვარსკვლავი გახდა "ფილადელფია ფლაიერზის" ფორვარდი **საიმონ განიე**, რომელმაც სამ შეხვედრაში 8 ქულა (3+5) მიითვალა.

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რეინჯერსი | 14 | 10 | 3 | 1 | 21 |
| 2. ბაფალო | 12 | 8 | 2 | 2 | 18 |
| 3. კაროლინა | 11 | 6 | 3 | 2 | 14 |
| 4. მონრეალი | 10 | 8 | 1 | 1 | 17 |
| 5. ბოსტონი | 12 | 6 | 3 | 3 | 15 |
| 6. ნიუ ჯერსი | 11 | 6 | 3 | 2 | 14 |
| 7. პიტსბურგი | 12 | 6 | 4 | 2 | 14 |
| 8. ტორონტო | 12 | 5 | 4 | 3 | 13 |
| 9. ვაშინგტონი | 10 | 5 | 4 | 1 | 11 |
| 10. ტამპა ბეი | 10 | 4 | 3 | 3 | 11 |
| 11. ფილადელფია | 11 | 4 | 4 | 3 | 11 |
| 12. ოტავა | 11 | 4 | 5 | 2 | 10 |
| 13. ფლორიდა | 11 | 4 | 6 | 1 | 9 |
| 14. ატლანტა | 12 | 3 | 7 | 2 | 8 |
| 15. აილენდერსი | 11 | 3 | 7 | 1 | 7 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სან ხოსე | 12 | 10 | 2 | 0 | 20 |
| 2. დეტროიტი | 12 | 8 | 2 | 2 | 18 |
| 3. მინესოტა | 10 | 7 | 2 | 1 | 15 |
| 4. კალგარი | 12 | 7 | 4 | 1 | 15 |
| 5. ჩიკაგო | 12 | 6 | 3 | 3 | 15 |
| 6. ანაჰაიმი | 13 | 7 | 5 | 1 | 15 |
| 7. ნეშვილი | 11 | 6 | 4 | 1 | 13 |
| 8. ედმონტონი | 11 | 6 | 4 | 1 | 13 |
| 9. ვანკუვერი | 12 | 6 | 6 | 0 | 12 |
| 10. სტ. ლუისი | 10 | 5 | 5 | 0 | 10 |
| 11. კოლორადო | 12 | 5 | 7 | 0 | 10 |
| 12. კოლამბუსი | 12 | 4 | 6 | 2 | 10 |
| 13. დალასი | 12 | 4 | 6 | 2 | 10 |
| 14. ფინიქსი | 9 | 4 | 5 | 0 | 8 |
| 15. ლოს ანჯელესი | 10 | 3 | 6 | 1 | 7 |

**ბომბარდირები**

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 18 (4+14) |
| პატრიკ შარპი (ჩიკ) | 16 (9+7) |
| ალექსანდ სიომინი (ვაშ) | 16 (8+8) |
| მარიან ჰოსა (დეტ) | 15 (6+9) |
| პატრიკ კეინი (ჩიკ) | 15 (6+9) |
| მარკ სავარი (ბოს) | 15 (5+10) |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 15 (3+12) |
| კორი პერი (ანა) | 15 (3+12) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| ტომაშ ვანეკი (ბაფ) | 11 |
| პატრიკ შარპი (ჩიკ) | 9 |
| ზაკ პარიზე (ნ-ჯერ) | 9 |
| ჯეფ კარტერი (ფილ) | 9 |
| ტეემუ სელიანე (ანა) | 8 |
| კეიტ ტკაჩუკი (ს-ლუი) | 8 |
| ალექსანდ სიომინი (ვაშ) | 8 |
| ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ) | 8 |
| მილან ჰეიდუკი (კოლორ) | 8 |
| საიმონ განიე (ფილ) | 8 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ანდრეი მარკოვი (მონ) | 14 |
| პოლ კარია (ს-ლუი) | 12 |
| ფილიპ კუბა (ოტა) | 12 |
| ჯეი პი დუმონი (ნეშ) | 12 |
| ანდრეი მარკოვი (მონ) | 12 |
| მიკო კოივუ (მინ) | 12 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 12 |
| კორი პერი (ანა) | 12 |

# NHL პოპულარული ხდება



ოქტომბერში, ჰოკეის ეროვნული ლიგაში დასწრების რეკორდი დამყარდა. პირველად ლიგის ისტორიაში, მაყურებელთა საშუალო რაოდენობამ ერთ მატჩზე 17 ათასი მაყურებელი შეადგინა.

2007 წლის ოქტომბრის ანალოგიურ მაჩვენებლთან შედარებით, აუდიტორია 3.1 პროცენტით გაიზარდა. ყველაზე დიდ პროგრესს "ჩიკაგო ბლეკ ჰოქსმა" მიაღწია - ამ გუნდის მატჩებს შარშანდელთან შედარებით 71 პროცენტით მეტი მაყურებელი ესწრება. ამ მაჩვენებლით მეორე ადგილზე "ვაშინგტონია" - 24 პროცენტი.

ოქტომბერში აგრეთვე სატელევიზიო რეიტინგის ზრდაც დაფიქსირდა. Hockey Night in Canada-ის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ მისი ტელეაუდიტორია 12 პროცენტით გაიზარდა, TSN-ითა და Versus-ით კი 5 პროცენტით მეტი ადამიანი უყურებს ჰოკეის მატჩებს. გაიზარდა ჰოკეის ეროვნული ლიგის ოფიციალური ვებგვერდის სტუმართა რიცხვი (6 პროცენტით), ხოლო ლიგის სერტიფიცირებული საქონლის გაყიდვამ 26 პროცენტით მოიმატა.

შესაძლოა, ჰოკეისადმი ინტერესის გაზრდა იმითაც არის გამოწვეული, ოქტომბრის მატჩებში შედეგიანობის ოდნავ გაზრდა შეინიშნებოდა. ჰოკეისტებს საშუალოდ შეხვედრაში 5.9 გოლი გააქვთ, იმ დროს, როცა შარშანდელი ანალოგიური მაჩვენებელი 5.7 შაიბას უდრიდა.

კალათბურთი

# ილიასოვა ოქტომბრის ლაურეატია

ULEB-ის ევროლიგის ადმინისტრაციამ ოქტომბრის თვის შედეგები შეაჯამა და საუკეთესო მოთამაშედ "ბარსელონის" ფორვარდი **ერსან ილიასოვა** დაასახელა.

კატალონიურმა კლუბმა სეზონი ორი გამარჯვებით დაიწყო - "ბარსამ" ჯერ "ნანსი" სტუმრად გაანადგურა (82:54), შემდეგ შინ "პანათინაიკოსს" გაუსწორდა (90:66). ილიასოვა ამ მატჩებში საშუალოდ 16.0 ქულასა და 9.0 მოხსნას აგროვებდა (ერსანი გუნდში ორივე მაჩვენებლით საუკეთესოა).

გარდა ამისა, ფრანგულ კლუბთან მატჩში თურქმა კალათბურთელმა ორმაგი დუბლი შეასრულა (18 ქულა და 12 მოხსნა), არადა მოედანზე სულ 23 წუთი დაყო.

ოქტომბრის საუკეთესო მოთამაშის პრიზს ილიასოვა 13 ნოემბერს მიიღებს. იმ დღეს "ბარსელონა" ევროლიგის მეოთხე ტურის მატჩში პოლონეთის "სოპოტს" უმასპინძლებს.

ჩოგბურთი

# ნადალი შანხაიში არ მიდის?

როგორც წინა ნომერში გაუწყებდით, მსოფლიოს პირველი ჩოგანი **რაფაელ ნადალი** მუხლის ტრავმის გამო წლის შემაჯამებელ ტურნირში თამაშზე უარის თქმას აპირებდა. გუშინ კი ესპანელმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მონაწილეობას არ მიიღებს შანხაიში გასამართ მასტერსის თასზე და მთელ ყურადღებას დევისის თასის ფინალისთვის მომზადებაზე გადაიტანს.

*"გადავწყვიტე შანხაიში არ ჩავიდე. ტრავმა არ მაძლევს ამ ტურნირში თამაშის საშუალებას. ეს ერთ-ერთი ურთულესი გადაწყვეტილებაა მთელი ჩემი კარიერის განმავლობაში. საწყენია, რომ ჩემი ჩინელი გულშემატკივრები ვერ შეძლებენ კორტზე თავიანთი საყვარელი ჩოგბურთელის ხილვას"*, - განაცხადა საკუთარ ვებგვერდზე ნადალმა.

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ უკვე გამოაცხადა ესპანელი ჩოგბურთელის შემცვლელი. ეს არის ATP-ის საჩემპიონო რბოლაში მეცხრე ადგილზე მყოფი ფრანგი **ჟილ სიმონი**. ასე რომ, მასტერსის თასზე ორ ფრანგ ჩოგბურთელს ვიხილავთ. სიმონის გარდა, შანხაიში **ჟო-ვილფრიდ ცონგა** ითამაშებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



სხვადასხვა

ოლიმპიზმი

## სად წავლენ იუნიორები?

ავსტრიული ინსბრუკი და ფინური კუოპიო იბრძოლებენ ისტორიაში ზამთრის პირველი იუნიორთა ოლიმპიური თამაშების ორგანიზებისთვის. უფრო ადრე, 2012 წელს გასამართ ფორუმზე პრეტენზიას ჩინური ჰარბინი და ნორვეგიული ლილეჰამერიც აცხადებდნენ, მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა საბოლოოდ ორი კანდიდატი დატოვა.

ოლიმპიადის მასპინძლობის მთავარ პრეტენდენტად ინსბრუკი ითვლება, რომელმაც აქამდე ორჯერ ემასპინძლა თეთრ ოლიმპიადას - 1964 და 1976 წლებში. საბოლოო გადაწყვეტილებას ოლიმპიური კომიტეტი 12 დეკემბერს გამოაცხადებს.

იუნიორთა თამაშების ჩატარების იდეა სოკ-ის პრეზიდენტ **ჟაკ როგეს** ეკუთვნის. 2010 წელს, სინგაპურში პირველად ჩატარდება ზაფხულის თამაშები, 2012 წელს კი, ზამთრის ოლიმპიადაზე იუნიორები სპორტის შვიდ სახეობაში შეეჯიბრებიან ერთმანეთს: ფიგურულ სრიალში, ჰოკეიში, ბიატლონში, ბობსლეიში, ქიორლინგში, თხილამურებით სირბილსა და ციგაობაში.

ველოსპორტი

## არმსტრონგმა მოგებით დაიწყო

ლეგენდარულმა ამერიკელმა ველომრბოლმა **ლენს არმსტრონგმა** კარიერის განახლების შემდეგ პირველი რბოლა ჩაატარა. ეს იყო ერთდღიანი რბოლა, სახელად "ტურ დე გრიუნი". ველომრბოლები დროზე ინდივიდუალურ რბოლაში შეეჯიბრნენ ერთმანეთს.

არმსტრონგმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა - 16 მილი 33 წუთში გაიარა და უახლოეს მდევარს 2 წუთზე მეტით მოუგო.

ძიდაობა

## ოლიმპიური ჩემპიონი ციხეში ჩასვეს

ანტიკურ ჭიდაობაში 1992 წლის ოლიმპიურ ჩემპიონს, უნგრელ **პეტერ ფარკაშს** ნარკოტიკებით ვაჭრობისთვის ხუთწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

პირველად სპორტსმენი ჯერ კიდევ 2004 წელს, მარიხუანის მოყვანისთვის დააპატიმრეს. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ოლიმპიური ჩემპიონი ამ ნარკოტიკს საკუთარ სახლში დიდი რაოდენობით ინახავდა, აგრეთვე მარიხუანას თავისი ნათესავების სახლებში მალავდა და თავად ეწეოდა მათ რეალიზაციას.

ფარკაში 1968 წელს ბუდაპეშტში დაიბადა. ბარსელონის ოლიმპიადაზე მან 82-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მოიპოვა ოქროს მედალი.

ჰოკეი

## შენეჰანით ორი კლუბი დაინტერესდა

"მონრეალ კანადიენსი" და "სენტ ლუის ბლუზი" ვეტერანი ფორვარდის **ბრენდან შენეჰანის** შეძენას აპირებენ. ცნობილ თავდამსხმელს ყოფილმა კლუბმა "ნიუ იორკ რეინჯერსმა" წინა სეზონის დასრულების შემდეგ ახალი კონტრაქტი არ შესთავაზა.

39 წლის ჰოკეისტი ბოლო მომენტამდე ელოდა ნიუიორკელთა ახალი წინადადებას, ახლა კი მზად არის სხვა კლუბების ვარიანტები განიხილოს.

სააგენტო AP-ის ინფორმაციით, "მონრეალი" შენეჰანს სეზონის ბოლომდე კონტრაქტის სანაცვლოდ 2.5 მილიონ დოლარს სთავაზობს. "სენტ ლუისის" შეთავაზების შესახებ პრესისთვის უცნობია, თუმცა ამ გუნდის გენერალური მენეჯერი უკვე შეხვდა ჰოკეისტის აგენტს.

## კანადას რაფი ჩაიბარებს?

2010 წლის ზამთრის ოლიმპიადაზე კანადის ნაკრების მთავარი მწვრთნელი სავარაუდოდ "ბაფალო სეიბრზის" დამრიგებელი **ლინდი რაფი** იქნება. კანადის ჰოკეის ფედერაცია ამ პოსტზე "დეტროიტ რედ უინგზის" თავკაცის **მაიკ ბებკოკის** კანდიდატურასაც განიხილავს, მაგრამ რაფის შანსები უფრო მაღალია. ამ სპეციალისტს "ბაფალო" ექვსჯერ ჰყავს გაყვანილი პლეი ოფში.

*"ჩემთვის ეს დიდი პატივი იქნება. ოლიმპიადა - უდიდესი მოვლენაა და მასში მონაწილეობას ნებისმიერი სტატუსით ვისურვებდი"*, - ამბობს ლინდი რაფი.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე, კანადის ნაკრების გენერალურ მენეჯერად ლეგენდარული **სტივ აიზერმანი** დანიშნეს.

## შჩასტნი ოთხმაგს ითხოვს

"კოლორადო ევალანშის" ხელმძღვანელობამ წინასწარი მოლაპარაკებები გამართა გუნდის ერთ-ერთ ლიდერ **პოლ შჩასტნისთან**. მოლაპარაკებების თემა მოქმედი კონტრაქტის გაგრძელებაა. ამჟამად, ამერიკელი ფორვარდი ახალბედის კონტრაქტით გათვალისწინებულ მინიმალურ ხელფასს - წელიწადში 710 ათას დოლარს იღებს და ამერიკული პრესის ცნობით, მინიმუმ ხელფასის გაოთხმაგებას იმედოვნებს.

მძლეოსნობა

## იაპონელმა ლეგენდამ სპორტი დატოვა

სიდნეის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა **ნაოკო ტაკაჰაშიმ** სპორტული კარიერის დასრულების გადაწყვეტილება მიიღო. 36 წლის მორბენალი იაპონიის პირველი წარმომადგენელია, ვინც ოლიმპიურ თამაშებზე მძლეოსნობაში ქვეყანას ოქროს მედალი მოუტანა - 2000 წელს ტაკაჰაშიმ მარათონში აჯობა ყველას.

2001 წელს, ამ იაპონელმა ქალბატონმა ბერლინის მარათონში მსოფლიოს რეკორდით იმარჯვა, მაგრამ შემდეგ სერიოზული წარმატებისთვის აღარ მიუღწევია. კერძოდ, ტაკაჰაშიმ ათენისა და პეკინის თამაშების ლიცენზიები ვერ მოიპოვა.

ფორმულა 1

## ლოები რედ ბულს გამოცდის

ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე "რედ ბულმა" ოფიციალურ ტესტებზე მიიწვია რალიში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, ფრანგი **სებასტიან ლოები**, რომელმაც გასულ უიქენდზე, იაპონიაში გაინაღდა მორიგი ტიტული. ლეგენდარულ რალისტს რამდენიმე კვირაში, ბარსელონის ტრასაზე შეეძლება ფორმულა 1-ის ბოლიდის გამოცდა.

*"მოხარული ვარ, რომ "რედ ბულმა" ჩემი მორიგი ტიტულის აღსანიშნავად ასეთი საჩუქარი გამიკეთა. ტესტებში შარშანაც ვმონაწილეობდი, მაგრამ ახლა სულ სხვა სტატუსით მომიწევს გამოსვლა. მომავალ ტესტებზე ფორმულა 1-ის პილოტებთან თანაბარ პირობებში ვიქნები. იმედი მაქვს, მათ ფონზე სულელის შთაბეჭდილებას არ დავტოვებ"*, - მოჰყავს ლოების სიტყვები ჟურნალ Autosport-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური

### A ჯგუფი

**კლუჟი-ბორდო 1:2**

**კლუჟი:** სტანჩიოუ, ტონი (64. პანინი), კადუ, გალიასი (78. დეაკი), ალვარო პერეირა, დანი, მურეშანი, დუბარბიერი, პერალტა (68. კონე), კულიო, ი. კონე.

**ბორდო:** ვალვერდე, შალმე, პლანუსი, დიავარა, ჟურიეტი, ფერნანდო, ა. დიარა, გუფრანი (77. ბელიონი), გურკუფი, ვენდელი (77. ობერტანი), შამახი.

**გოლები:** 0:1 გურკუფი (6), 1:1 დანი (9), 1:2 ვენდელი (38),

**მსაჯი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

**მაყურებელი:** 22 000

სტატისტიკა

**პირველი ჯარიმა: კლუჟი**

**პირველი კუთხური: ბორდო**

**პირველი გაფრთხილება: ბორდო**

| | | |
|---|---|---|
| 11(5) | დარტყმა | 12(5) |
| 16 | ჯარიმა | 14 |
| 12 | კუთხური | 2 |
| 5 | თამაშგარე | 2 |
| 2 | გაფრთხილება | 3 |
| 50% | ბურთის ფლობა | 50% |

**რომა-ჩელსი 3:1**

**რომა:** დონი, სისინიო, ჟუანი, მექსე, პანუჩი, დე როსი, პეროტა (72. ტადეო), ბრიგი, პისარო, ტოტი (62. ჟულიო ბაპტიშტა), ვუჩინიჩი (88. რიისე).

**ჩელსი:** ჩეხი, ბოსინგვა (63. კალუ), ტერი, ალექსი, ბრიჯი, დეკუ, ობი მიკელი, ლემპარდი, მალუდა (46. დროგბა), ჯ. კოული (46. ბელეტი), ანელკა.

**გოლები:** 1:0 პანუჩი (34), 2:0 ვუჩინიჩი (48), 3:0 ვუჩინიჩი (58), 3:1 ტერი (75)

**გაძევება:** დეკუ (81. ჩელსი)

**მსაჯი:** მედინა კანტალეხო (ესპანეთი)

**მაყურებელი:** 25 000

სტატისტიკა

**პირველი ჯარიმა: ჩელსი**

**პირველი კუთხური: ჩელსი**

**პირველი გაფრთხილება: ჩელსი**

| | | |
|---|---|---|
| 14(6) | დარტყმა | 21(5) |
| 21 | ჯარიმა | 18 |
| 1[illegible] | კუთხური | 10 |
| 4 | თამაშგარე | 3 |
| 1 | გაფრთხილება | 2 |
| 43% | ბურთის ფლობა | 57% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-3 | 7 |
| 2. რომა | 4 | 2 | 0 | 2 | 7-5 | 6 |
| 3. ბორდო | 4 | 2 | 0 | 2 | 4-8 | 6 |
| 4. კლუჟი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |

### B ჯგუფი

**ანორთოსისი-ინტერი 3:3**

**ანორთოსისი:** ბეკაი, გეორგიუ, კაცავაკისი, ა. კონსტანტინუ, ლეივაკაბესი, დობრაშინოვიჩი, ბარდონი (78. ოკოკოლიჩი), ლაბანი, პაულო კოშტა (43. პანაგი), პავარი, ფრუსოსი (63. სკოპელიტისი).

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, ბურდისო (58. ვიეირა), მატერაცი, ხ. ძანეტი, კარეშმა, სტანკოვიჩი (58. კრუსი), კამბიასო, მანსინი (58. მაქსველი), ბალოტელი, იბრაჰიმოვიჩი.

**გოლები:** 0:1 ბალოტელი (13), 1:1 ბარდონი (31), 1:2 მატერაცი (44), 2:2 პანაგი (45), 3:2 ფრუსოსი (50), 3:3 კრუსი (81)

**მსაჯი:** ლორან დუჰამელი (საფრანგეთი)

**მაყურებელი:** 20 000

სტატისტიკა

**პირველი ჯარიმა: ინტერი**

**პირველი კუთხური: ანორთოსისი**

**პირველი გაფრთხილება: არ ყოფილა**

| | | |
|---|---|---|
| 12(5) | დარტყმა | 20(13) |
| 12 | ჯარიმა | 15 |
| 5 | კუთხური | 6 |
| 2 | თამაშგარე | 1 |
| 0 | გაფრთხილება | 0 |
| 45% | ბურთის ფლობა | 55% |

**ვერდერი-პანათინაიკოსი 0:3**

**ვერდერი:** ვიზე, პრიოდლი (46. ფრიტცი/68. სანოგო), მერტეზაკერი, ნალდო, პასანენი, ბაუმანი, ვრანიესი (64. ჰუნტი), ოზილი, დიეგო, პისარო, როზენბერგი.

**პანათინაიკოსი:** გალინოვიჩი, მ. ნილსონი, ვინტრა, სარიეგი, სპიროპულოსი, ციოლისი, სიმაო, ჟილბერტო სილვა, გარბიელი (75. მოონი), კარაგუნისი (79. გუმასი), მანციოსი (89. სალპინგიდისი).

**გოლები:** 0:1 მანციოსი (58). 0:2 კარაგუნისი (70), ციოლისი (83)

**მსაჯი:** ვიქტორ კასაი (უნგრეთი)

**მაყურებელი:** 35 000

სტატისტიკა

**პირველი ჯარიმა: ვერდერი**

**პირველი კუთხური: ვერდერი**

**პირველი გაფრთხილება: არ ყოფილა**

| | | |
|---|---|---|
| 14(6) | დარტყმა | 15(4) |
| 16 | ჯარიმა | 14 |
| 8 | კუთხური | 2 |
| 0 | თამაშგარე | 6 |
| 0 | გაფრთხილება | 0 |
| 58% | ბურთის ფლობა | 42% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 4 | 2 | 2 | 0 | 7-4 | 8 |
| 2. ანორთოსისი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-5 | 5 |
| 3. პანათინაიკოსი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-7 | 4 |
| 4. ვერდერი | 4 | 0 | 3 | 1 | 3-6 | 3 |

### C ჯგუფი

**სპორტინგი-შახტარი 1:0**

**სპორტინგი:** რუი პატრისიო, აბელი, კანეირა, ანდერსონ პოლგა, გრიმი, მიგელ ველოზო, ჟოაო მუტინიო, როშემბაკი, იზმაილოვი (90. პერეირინია), ლიედსონი, ელდერ პოშტიგა (69. დერლეი).

**შახტარი:** პიატოვი, სრნა, კუჩერი, ჩიგრინსკი, რატი, ჟადსონი (75. ლუიშ ადრიანო), ვილიანი, ჰუბშმანი (74. ლევანდოვსკი), ფერნანდინიო, მარსელო მორენო, ბრანდაო.

**გოლი:** 1:0 დერლეი (73)

**მსაჯი:** ალენ ჰამერი (ლუქსემბურგი)

**მაყურებელი:** 20 000

სტატისტიკა

**პირველი ჯარიმა: სპორტინგი**

**პირველი კუთხური: სპორტინგი**

**პირველი გაფრთხილება: სპორტინგი**

| | | |
|---|---|---|
| 16(3) | დარტყმა | 12(4) |
| 19 | ჯარიმა | 25 |
| 7 | კუთხური | 2 |
| 1 | თამაშგარე | 2 |
| 2 | გაფრთხილება | 5 |
| 47% | ბურთის ფლობა | 53% |

**ბარსელონა-ბაზელი 1:1**

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, სილვინიო, მარკესი, პუიოლი, პიკე, გლები, ბუსკეტსი, ვიქტორ სანჩესი (60. ჩავი), ინიესტა (67. ეტო'ო), ანრი, კრკიჩი (60. მესი).

**ბაზელი:** კოსტანსო, ზანი, ფერატი, მარკე, საფარი, ჰუგელი, ჭარლიტოსი, შტოკერი (84. ჟელაბერი), ერგიჩი, პეროვიჩი (59. ედუარდო), შტრელერი (70. დერდიოკი).

**გოლები:** 1:0 მესი (62), 1:1 დერდიოკი (82)

**მსაჯი:** ალექსანდრუ ტუდორი (რუმინეთი)

**მაყურებელი:** 67 000

სტატისტიკა

**პირველი ჯარიმა: ბაზელი**

**პირველი კუთხური: ბარსელონა**

**პირველი გაფრთხილება: ბაზელი**

| | | |
|---|---|---|
| 22(8) | დარტყმა | 5(2) |
| 6 | ჯარიმა | 13 |
| 7 | კუთხური | 2 |
| 1 | თამაშგარე | 2 |
| 0 | გაფრთხილება | 1 |
| 69% | ბურთის ფლობა | 31% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 4 | 3 | 1 | 0 | 11-3 | 10 |
| 2. სპორტინგი | 4 | 3 | 0 | 1 | 5-3 | 9 |
| 3. შახტარი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-5 | 3 |
| 4. ბაზელი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-10 | 1 |

### D ჯგუფი

**ლივერპული- ატლეტიკო 1:1**

**ლივერპული:** რეინა, არბელოა, კარაგერი, აგერი, ფაბიო აურელიო, მასკერანო (77. ლუკასი), ჩაბი ალონსო, კუიტი, რიერა (61. ბაბელი), ჯერარდი, კინი (71. ნგოგი).

**ატლეტიკო:** ლეო ფრანკო, ანტონიო ლოპესი, ჰეიტინგა, პერეა, პერნია, მაქსი როდრიგესი, პაულო სანსუსაო, მანიშე, სიმაო (90. ლუის გარსია), ფორლანი (71. აგუერო), რაულ გარსია.

**გოლები:** 0:1 მაქსი როდრიგესი (37), 1:1 ჯერარდი (90+5-პენ)

**მსაჯი:** მარტინ ჰანსონი (შვედეთი)

**მაყურებელი:** 45 736

სტატისტიკა

**პირველი ჯარიმა: ლივერპული**

**პირველი კუთხური: ლივერპული**

**პირველი გაფრთხილება: ატლეტიკო**

| | | |
|---|---|---|
| 22(7) | დარტყმა | 6(2) |
| 7 | ჯარიმა | 15 |
| 11 | კუთხური | 2 |
| 2 | თამაშგარე | 0 |
| 0 | გაფრთხილება | 4 |
| 60% | ბურთის ფლობა | 40% |

**მარსელი-ეინდჰოვენი 3:0**

**მარსელი:** მანდანდა, ბონარი, კანა, ჰილტონი, ტაივო, მ'ბამი, ზიანი, ბენ არფა (74.კაბორე), ბენ. შეირუ, ბ. კონე (83. ვალბუენა), ნიანგი (86. გრანდენი).

**ეინდჰოვენი:** ისაქსონი, მარსელისი, ადო (66. კრომკამპი), სიმონსი, სალსიდო, ვუიტენსი, მენდე, ბაკალი (62. დჟუდჩაკი), კულინა, აფელეი (78. ნიილანდი), კოვერმანსი.

**გოლები:** 1:0 კონე (30), 2:0 ნიანგი (64), 3:0 ნიანგი (72)

**მსაჯი:** ნიკოლა რიცოლი (იტალია)

**მაყურებელი:** 45 000

სტატისტიკა

**პირველი ჯარიმა: ეინდჰოვენი**

**პირველი კუთხური: მარსელი**

**პირველი გაფრთხილება: ეინდჰოვენი**

| | | |
|---|---|---|
| 18(7) | დარტყმა | 7(2) |
| 6 | ჯარიმა | 13 |
| 5 | კუთხური | 2 |
| 3 | თამაშგარე | 2 |
| 0 | გაფრთხილება | 2 |
| 46% | ბურთის ფლობა | 54% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლეტიკო | 4 | 2 | 2 | 0 | 7-3 | 8 |
| 2. ლივერპული | 4 | 2 | 2 | 0 | 7-4 | 8 |
| 3. მარსელი | 4 | 1 | 0 | 3 | 5-6 | 3 |
| 4. ეინდჰოვენი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-9 | 3 |

## არგენტინის ნაკრები

# მარადონა დამტკიცებულია

გუშინ **დიეგო მარადონა** არგენტინის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაამტკიცეს. მას მერე, რაც გასულ კვირას **ხულიო გრონდონამ** პრინციპული გადაწყვეტილება მიიღო, 4 ნოემბერს ამ საქმის ფორმალური მხარეღა იყო მოსაგვარებელი. უკვე გარკვეულია ისიც, რომ დიეგოს დებიუტი 19 ნოემბერს გლაზგოში, შოტლანდიის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში შედგება.

რაც შეეხება მარადონას შტაბს, აქ თითქოს **სერხიო ბატისტასა** და **ხოსე ლუის ბრაუნს** უნდა ემუშავათ, მაგრამ ახალმა მწვრთნელმა საბოლოოდ არჩევანი ასევე ყოფილ თანაგუნდელებზე – **ოსკარ რუჯერისა** და **ალეხანდრო მანკუსოზე** (თბილისში რომ ბრძანდებოდა) შეაჩერა. „ალბისელესტეს" თავკაცის რანგში მარადონამ პირველი საკადრო ნაბიჯიც გადადგა – კაპიტნად **ხავიერ მასკერანო** დანიშნა, რაც **ხავიერ ძანეტისთვის** სანაკრებო კარიერის დასრულებას უნდა მოასწავებდეს...



## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ინგლისი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ბრაიტონი-დერბი | 1:4 |

**League Trophy**

| | |
|---|---|
| შრიუსბერი-დაგენჰემი | 5:0 |
| ტრანმერი-მორეკამბი | 1:0 |
| სკანთორპი-როჩდეილი | 1:0 |
| ბორნმუთი-კოლჩესტერი | 0:1 |
| დარლინგტონი-ბერი | 1:0 |
| როტერჰემი-ლესტერი | 2:0 |
| უოლსოლი-ლუტონი | 0:1 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| რეინჯერსი-დანდი იუნ | 3:3 |

**I დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ეირდრი-დანფერმლაინი | 1:3 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| აუსტრია (კ)-რაპიდი | 3:3 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| სტ. პატსი-კორკი | 0:1 |

**უელსი**

| | |
|---|---|
| ებერისვითი-კარმარტენი | 0:3 |

**სლოვაკეთის თასი**

| | |
|---|---|
| დ. სტრედა-არტმედია | 1:1 |
| რუჟემბეროკი-დუბნიცა | 2:0 |
| მორავცე-კოშიცე | 1:1 |

### კალათბურთი

**ევროჩელენჯერი**

| | |
|---|---|
| ბანვითსფორი-აელ | 93:100 |
| ცსკ ვვს-ზაგრები | 80:60 |
| სკაილაინერსი-ანთალია | 60:60 |
| შიროკი-სუმიხიმპრომი | 73:73 |
| ტულონი-ასესოფტი | 103:77 |
| ოლდენბურგი-ბორაცი | 76:46 |
| ეიფელ ტაუერსი-ამაკი | 94:66 |
| ლიეჟი-ვიში | 74:67 |

**ევროთასი**

| | |
|---|---|
| უნიქსი-ჰაპოელი (ი) | 88:66 |
| ჟელეზნიკი-ურალ გრეიტი | 69:61 |
| ჰავრი-ოსტენდე | 84:85 |
| გალათასარაი-ბუდიველნიკი | 85:83 |
| გმუნდენი-ცრ. ზვეზდა | 82:82 |
| პანელინიოსი-კიევი | 96:69 |
| ფრიბურგი-გრან კანარია | 64:92 |

### ჰოკეი

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| ჩეხეთი-სლოვაკეთი | 7:0 |

### ჩოგბურთი

**WTA. დოჰა**

| | |
|---|---|
| ზვონარევა-კუზნეცოვა | 6:2, 6:3 |
| იანკოვიჩი-ივანოვიჩი | 6:3, 6:4 |
| ვ. უილიამსი-საფინა | 7:5, 6:3 |

## TV სპორტი

### 5 ნოემბერი. ოთხშაბათი

**რუსთავი 2**

23:25 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. რეალი-იუვენტუსი (LIVE).
02:50 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ფიორენტინა-ბაიერნი.

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

08:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. სპორტინგი-შახტარი.
10:00 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ვერდერი-პანათინაიკოსი.
15:15 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ლივერპული-ატლეტიკო.
17:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. რომა-ჩელსი.
19:20 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ანორთოსისი-ინტერი.
21:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:35 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. სპორტინგი-შახტარი.
23:25 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).
01:45 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. არსენალი-ფენერბაჰჩე.
03:50 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. დინამო-პორტუ.
05:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტურის მიმოხილვა.
10:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ლივერპული-ატლეტიკო.
12:25 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ანორთოსისი-ინტერი.
14:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. კლუჟი-ბორდო.
16:05 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. მარსელი-ეინდჰოვენი.
17:55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ვერდერი-პანათინაიკოსი.
19:50 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
21:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ბარსელონა-ბაზელი.
21:45 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტურის წინ.
23:25 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. რეალი-იუვენტუსი (LIVE).
03:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ლიონი-სტიაუა.

05:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
06:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
07:20 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**EUROSPORT**

11:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. იაპონია.
12:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. აშშ-საფრანგეთი. ახალი ზელანდია.
14:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. ინგლისი-ს. კორეა. ახალი ზელანდია.
15:45 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. ნიგერია-ბრაზილია. ახალი ზელანდია.
17:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ტურნირი. დოჰა. კატარი.
18:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ტურნირი. დოჰა. კატარი (LIVE).
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ტურნირი. დოჰა. კატარი (LIVE).
23:15 ფიგურული სრიალი. კანადის გრან-პრი. თავისუფალი ცეკვა.
00:30 მულტისპორტი.
00:40 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
00:45 გოლფი. PGA-ის ტური.
01:45 გოლფი. ევროპის ტური.
02:15 გოლფ-კლუბი.
02:20 აფროსნობა.
02:50 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
02:55 მულტისპორტი.
03:00 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
03:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. იაპონია.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ავსტრალიური ფეხბურთი. საერთაშორისო სერია. ავსტრალია-ირლანდია.
14:00 ახალი ამბები.
14:30 კალათბურთი. ევროთასი. საკვალიფიკაციო რაუნდი. პანელინიოსი (საბერძნეთი)-კიევი (უკრაინა).
15:30 ახალი ამბები.
17:00 ფეხბურთი. უეფას თასი.
18:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. ნიგერია-ბრაზილია. ახალი ზელანდია.
19:15 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:45 ახალი ამბები.
20:00 ფეხბურთი. უეფას თასი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 ნარდი. მსოფლიოს სერია. დანია.
22:30 კალათბურთი. ევროლიგა. ქალები. საკვალიფიკაციო რაუნდი. რიგა (ლატვია)-კახასოლი (ესპანეთი) (LIVE).
00:15 არმრესტლინგი.
00:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ჰამბურგი (გერმანია)-კოპენჰაგენი (დანია)
02:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ახალი ამბები

# აივერსონი დეტროიტში გაუშვეს

## NBA-ის ვარსკვლავი სამ კალათბურთელში გაიცვალა

უახლოეს დღეებში, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ოფიციალურად გამოაცხადებენ ერთი საინტერესო ტრეიდის შესახებ. ამ გაცვლის შედეგად, NBA-ის ვარსკვლავი **ალენ აივერსონი** "დეტროიტ პისტონზის" შემადგენლობაში გააგრძელებს კარიერას.

ვეტერანი მცველი ახალ კლუბში "დენვერ ნაგეტსიდან" გადადის, მის ნაცვლად კი "დეტროიტი" სამ კალათბურთელს თმობს - გამთამაშებელ **ჩონსი ბილაპსს**, ფორვარდ **ანტონიო მაკდაესსა** და ცენტრალურ თავდამსხმელ **ჩეიხ სემბს**, რომელიც 2006 წლის დრაფტზე 51-ე ნომრად არის არჩეული.

აივერსონის კონტრაქტი "დეტროიტთან" ამ წლის ბოლომდე იქნება ძალაში. შეგახსენებთ, რომ NBA-ის 2000-01 წლების სეზონის საუკეთესო კალათბურთელის ამჟამინდელი წლიური ხელფასი 20.8 მილიონ დოლარს შეადგენს.

წლევანდელი სეზონის პირველ სამ მატჩში აივერსონის სტატისტიკა 18.7 ქულასა და 6.7 შედეგიან გადაცემას შეადგენდა. ბილაპსის ანალოგიური მაჩვენებლები 12.5 ქულას და 7.5 პასს უდრის.

სხვათა შორის, ანტონიო მაკდაესმა უკვე დააფიქსირა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ამ ტრეიდის მიმართ. კალათბურთელის აგენტი **ენდი მილერი** აცხადებს, რომ მის კლიენტს არ სურს "დენვერში" გადაბარგება. ამიტომაც მაკდაესი სხვადასხვა ვარიანტს განიხილავს, მათ შორის, კარიერის დასრულებასაც კი.

ამასობაში, ვეტერანი ფორვარდით "სან ანტონიო სპურსის" ხელმძღვანელობა დაინტერესდა. თუ მაკდაესი "დენვერთან" კონტრაქტის გაწყვეტას შეძლებს, სავარაუდოდ, ის "სპურსის" შემადგენლობაში ჩაირიცხება. არ არის გამორიცხული "დეტროიტში" დაბრუნებაც.

■ ■ ■

ამავე დღეს, "პისტონზის" ხელმძღვანელობამ კიდევ ერთი გარიგება განახორციელა. კლუბმა კონტრაქტი გააგრძელა ძირითად მცველ **რიჩარდ ჰემილტონთან**.

ტელეკომპანია ESPN-ის ცნობით, ახალი ხელშეკრულება სამწლიანია, რომლის დროსაც ჰემილტონი 34 მილიონ დოლარს მიიღებს. ამასთან, კონტრაქტში ჩადებულია პუნქტი, რომლის მიხედვითაც კლუბს ორი წლის შემდეგ ხელშეკრულების გაწყვეტის უფლება აქვს მინიჭებული.

■ ■ ■

"ნიუ იორკ ნიქსის" მთავარი მწვრთნელი **მარკ დ'ენტონი** შემტევი მცველის **სტეფონ მარბერის** ტრანსფერზე დაყენებას აპირებს.

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი კალათბურთელი (სეზონში 21.9 მილიონი ) სეზონის სტარტზე "ნიქსის" განაცხადში არ შეიყვანეს.

ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში მიიღებენ, მანამდე კი "ნიქსის" პრეზიდენტი **დონი უოლში** მარბერისთან შეხვედრას აპირებს.





### NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**შარლოტი–დეტროიტი 83:101**

14:23, 29:22, 20:29, 20:27

**შ:** შ. ბრაუნი (16+4 ჩაჭრა), ჯ. უოლასი (15+12 მოხსნა), ოკაფორი (11), ფელტონი (10), მორისონი (10).

**დ:** ჰემილტონი (19), რ. უოლასი (15), ა. ჯონსონი (12), უ. ბინუმი (12), პრინსი (10), მაქსიელი (10).

**ორლანდო–ჩიკაგო 96:93**

31:21, 19:26, 26:21, 20:25

**ო:** დ. ჰოვარდი (22+15 მოხსნა+5 დაფარება), ლუისი (21+11 მოხსნა), ნელსონი (13+3 ჩაჭრა), ბოგანსი (13), პიეტრუსი (10), თურქოგლუ (10+7 მოხსნა+7 პასი).

**ჩ:** გუდენი (21), ნოჩიონი (20+7 მოხსნა), გორდონი (17), დ. როუზი (14).

**ფილადელფია–საკრამენტ 125:91**

35:23, 33:25, 25:17, 32:26

**ფ:** ტ. იანგი (18), ლ. უილიამსი (17), უ. გრინი (16), ბრენდი (15), ა. მილერი (12), მარშალი (12), იგუოდალა (10), რაში (10).

**ს:** ტომპსონი (17), ჰოვსი (15+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), მარტინი (14), სალმონსი (11+3 ჩაჭრა), უილიამსი (10).

**მემფისი–გ. სტეიტი 90:79**

29:24, 20:21, 24:22, 17:12

**მ:** მ. გასოლი (27+16 მოხსნა+3 დაფარება), გეი (14), მაიო (13), უორიკი (9+7 მოხსნა).

**გ-ს:** ს. ჯექსონი (17), ბიედრინსი (16+22 მოხსნა), მაგეტი (13), აზუბუიკე (10).

**დალასი–კლივლენდი 81:100**

16:28, 26:23, 24:21, 15:28

**დ:** ჰოვარდი (18), ა. რაიტი (10), გრინი (10), კიდი (9+6 პასი), ნოვიცკი (8).

**კ:** ლ. ჯეიმსი (29+8 მოხსნა), ილგაუსკასი (17+11 მოხსნა), დ. უესტი (14+3 ჩაჭრა), მ. უილიამსი (14+6 პასი), ბ. უოლასი (0+13 მოხსნა), შჩერბიაკი (10).

**კლიპერსი–იუტა 73:89**

20:16, 15:20, 25:29, 13:24

**კ:** კამანი (19+10 მოხსნა+3 დაფარება), ბ. დევისი (14+9 პასი), ტორნტონი (11+7 მოხსნა), მობლი (10), კემბი (5+9 მოხსნა+3 დაფარება).

**ი:** მილსეპი (24+9 მოხსნა), ოქური (16), კირილენკო (15+11 მოხსნა+4 ჩაჭრა), ბუზერი (13+8 მოხსნა).

ფორმულა 1

# ვირტუალური რასიზმი




ფორმულა 1-ის წლევანდელი სეზონი "მაკლარენის" ბრიტანელი პილოტის **ლუის ჰემილტონის** ტრიუმფით დასრულდა, თუმცა ბრაზილიის გრანპრის წინ, "დიდი ცირკის" ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონზე ვირტუალური შეტევა მიიტანეს. ამ აქციის ავტორები **ფერნანდო ალონსოს** ფანები არიან, რომლებიც ჰემილტონს ესპანელ პილოტთან შარშანდელ კონფლიქტს ვერ პატიობენ.

ფორმულა 1-ის ნებისმიერი პილოტი გრძნობს უდიდეს ზეწოლას როგორც თავისი, ასევე სხვა ავტომრბოლების გულშემატკივართა მხრიდან. ასეთ მდგომარეობას მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ სარბოლო სერიაში მოხვედრილი ნებისმიერი პილოტი გაგებით ეკიდება. მაგრამ ის სიტუაცია, რომელშიც ლუის ჰემილტონი აღმოჩნდა, არამარტო ავტოსპორტისთვის, არამედ მთლიანად სპორტისთვის არის უნიკალური.

თითოეული სპორტსმენის პოპულარობის ობიექტურ საზომს წარმოადგენს ინტერნეტში ვებგვერდების რაოდენობა, რომელიც მის კარიერასა თუ პირად ცხოვრებას ეხება. ბუნებრივია, ჰემილტონი ფორმულა 1-ის ყველაზე პოპულარული პილოტების რიცხვს განეკუთვნება. ინტერნეტის საძიებელ სისტემებში მისი გვარი და სახელი რამდენიმე მილიონჯერ არის მოხსენიებული, ხოლო ფანების მიერ მასზე შექმნილი ასობით ვებგვერდის მონახვა შეიძლება.

მაგრამ ბრაზილიის გრანპრის წინ, სადაც ჰემილტონსა და **მასას** შორის ახალი ჩემპიონის ვინაობა უნდა გარკვეულიყო, ცნობილი გახდა, რომ თურმე ბრიტანელის პოპულარობა ყველანაირ საზღვრებს სცილდება. როგორც აღმოჩნდა, ჰემილტონი ერთადერთი პილოტი ყოფილა ფორმულა 1-ში, რომელსაც მისი მოძულეების მიერ შექმნილი ვებგვერდი გააჩნია.

მსგავსი პროექტის ჩაშვების ინიციატორები ფერნანდო ალონსოს ტემპერამენტიანი ესპანელი გულშემატკივრები აღმოჩნდნენ, რომლებმაც ჯერ კიდევ შარშანდელი სეზონის ბოლო ეტაპის წინ გადაწყვიტეს კონსოლიდირება. შეგახსენებთ, რომ მაშინ ალონსოს ჩემპიონატის საერთო ჩათვლაში ჰემილტონის გასწრების შანსი ჰქონდა, ოღონდ ეს იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ ბრიტანელ პილოტს "ინტერლაგუშის" ტრასაზე პრობლემები შეექმნებოდა.

იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ 2007 წელს, ორივე პილოტი "მაკლარენის" ღირსებას იცავდა, ესპანელის ნიჭის თაყვანისმცემლები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ბრიტანული საჯინიბოს ხელმძღვანელობა ალონსოს ტრასაზე ლუისისთვის დახმარებას გაწევას მოსთხოვდა. სწორედ ამ ეჭვების გამო, მაშინ ინტერნეტში გაჩნდა ვებგვერდი, რომელსაც დაახლოებით ასეთი სახელი ჰქონდა - "გახვრიტე ჰემილტონის საბურავი".

ნებისმიერ მსურველს შეეძლო "ინტერლაგუშის" ტრასის მაკეტზე ვირტუალური ბარიერი დაეყენებინა, რათა ჰემილტონისთვის ფინიშზე მისვლის საშუალება არ მიეცა. საიტის სტუმრებს ასარჩევად სამი ვარიანტი შესთავაზეს - ლურსმანი, ჭიკარტი და ზღარბი.

წლევანდელი სეზონის ბოლო რბოლისთვის ვებგვერდი აღადგინეს. ორ დღეში საიტზე 32 ათასი მომხმარებელი დარეგისტრირდა, "ინტერლაგუშის" ვირტუალური ტრასა კი სავსე იყო უცხო საგნებით. მაგრამ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციისა და ესპანელი სპორტული ჟურნალისტების შეშფოთება სულ სხვა ფაქტმა განაპირობა.

წელს, ვებგვერდის ფორუმზე ჰემილტონისადმი მიმართული უამრავი რასისტული გამონათქვამი დაფიქსირდა. არსებობს კიდევ სხვა მომენტები, რაც შავკანიანი ბრიტანელის ნამდვილ გულშემატკივართა აღშფოთებას იწვევს. მაგალითად, "ინტერლაგუშის" ტრასის ერთ-ერთი მონაკვეთში, აშკარად ჩანს ჭიკარტებით გამოხატული სვასტიკა.

*"ჩვენ არ ვიცით, ვინ დგას ამ ვებგვერდის უკან. ერთადერთი, რაც დადასტურებულად შეგვიძლია ვთქვათ, ისაა, რომ საიტის მოდერირება არ ხდება,* - წერს El Mundo-ს ჟურნალისტი **ხაიმე როდრიგესი**. - *ესპანური სპორტის მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ რასიზმთან დაკავშირებულ სერიოზულ პრობლემებს ვაწყდებით. შეიძლება გავიხსენოთ კატალონიის გრანპრი ან ესპანეთის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელის ლუის არაგონესის გამონათქვამები ტიერი ანრიზე. ეს ყველაფერი შეიძლება ჩვენთვის ძალიან ცუდად დამთავრდეს".*

ასეთი ხელისშემშლელი პირობების მიუხედავად, ჰემილტონმა სარბოლო უიქენდი ძალიან მშვიდად, აუღელვებლად ჩაატარა და კარიერაში მსოფლიოს ჩემპიონის პირველი ტიტულიც მოიპოვა. ამით მან თავისი მოძულეები მათსავე ბოღმასთან და რასისტულ გამოხდომებთან მარტო დატოვა. ეს გამარჯვება ლუისის საუკეთესო პასუხი იყო რეალური თუ ვირტუალური მოწინააღმდეგეებისთვის.

# რონ დენისი მაკლარენიდან მიდის და... რჩება

"მაკლარენის" შეფმა **რონ დენისმა** გამოაცხადა, რომ მომავალ სეზონში ბრიტანულ საჯინიბოში მისი როლი შეიცვლება.

*"ჩემი საბოლოო გადაწყვეტილება რამდენიმე თვეში გახდება ცნობილი. სწორედ მაშინ დავასახელებ მიზეზებსაც, ოღონდ ეს წლევანდელი ჩემპიონატის ბოლო რბოლასთან არ არის დაკავშირებული. უბრალოდ, არარეალიზებული ამბიციები დამიგროვდა, რომელთა განხორციელებას მომავალში ვაპირებ. მიუხედავად ყველაფრისა, გაისად ყველა რბოლას დავესწრები და კვლავ მიხილავთ "მაკლარენის" ბოქსებში.*

*ჩვენი სურვილია, არამარტო სარბოლო გუნდი გვყავდეს, არამედ სპორტული მანქანების მწარმოებლებადაც ვითვლებოდეთ. ეს "მაკლარენის" ფინანსური კეთილდღეობისთვის საუკეთესო გამოსავალი იქნება. ბევრი ისეთი მაგალითი არსებობს, როცა ფორმულა 1-ის გუნდები არ ვითარდებოდნენ და დროთა განმავლობაში წყვეტდნენ არსებობას. ასე რომ, თუ გვინდა ვიცოცხლოთ და მათი ბედი არ გავიზიაროთ, უნდა განვითარდეთ"*, - ამბობს რონ დენისი.




გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**